DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Licheli, V. / ლიჩელი, ვ. /
- Title: Pipeline Archaeology Volume II / მილსადენის არქეოლოგია ტომი II
- Publication Date: 2003
- Publisher: Georgian Academy of Sciences, Center for Archaeological Studies
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_b73a81fcdc

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

# მილსადენის არქეოლოგია
## II

# PIPELINE ARCHAEOLOGY
## II

IVE
5087

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences

# მილსადენის არქეოლოგია

# PIPELINE ARCHAEOLOGY

234/93

საქართველოს მილსადენის კომპანია
Georgian Pipeline Company

საქ. სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკა

ტომი II
Vol. II

თბილისი 2003 Tbilisi

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ძ 68

მთავარი რედაქტორი: ვ. ჯაფარიძე
Editor-in-Chief: **V. Japaridze**

სარედაქციო საბჭო: ბ. მაისურაძე, დ. კაჭარავა,
გ. კვირკველია, მ. ნიორაძე,
რ. რამიშვილი

Editorial council: **B. Maisuradze, D. Kacharava, G. Kvirkvelia,
M. Nioradze, R. Ramishvili**

ტომის რედაქტორი: ვ. ლიჩელი

Editor of the volume: **V. Licheli**

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2003
© Centre for Archaeological Studies. 2003

# შინაარსი
# Contest


ვ. ლიჩელი. ქართული არქეოლოგიის საინტერესო აღმოჩენები .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 5

**V. Licheli.** Georgian Archaeology of 2000-2002 .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 7

**ც. ჩიკოიძე, გ. მინდიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი, ნ. პაჭიკაშვილი.** კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 10

**ც. ჩიკოიძე, მ. ჩხატარაშვილი, გ. მინდიაშვილი, ნ. პაჭიკაშვილი.** კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 41

**ნ. მირიანაშვილი.** ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია მილსადენის მშენებლობის ზონაში 2001 წელს .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 53

**გ. მინდიაშვილი, ბ. მურვანიძე, ალ. რამიშვილი, გ. ჩიქოვანი.** არქეოლოგიური გათხრები დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის 143-ე კილომეტრზე .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 65

**ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, კ. კახიანი, ე. ღლიღვაშვილი, მ. ყარაშვილი.** გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია სუფსის ტერმინალის დეოლინგის ზონაში – 2000 .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 95

ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, ღ. ახვლედიანი, კ. კახიანი, ლ. ჯიბლაძე, ე. ღლიღვაშვილი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გვიმბალაურის ნამოსახლარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 2001 წელს .. .. .. .. .. 115

ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, ლ. ჯიბლაძე, მ. ყარაშვილი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფ. ნიგოითის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე. 2002 წელი. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 161

რ. პაპუაშვილი. ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 203

Summaries .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. 204

ვახტანგ ლიჩელი

# ქართული არქეოლოგიის საინტერესო აღმოჩენები

ქართული არქეოლოგიის წარმატებები, რომლებიც ასე თვალნათლივაა წარმოჩენილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, გარდა ქართული არქეოლოგიის უმდიდრესი ტრადიციისა, მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული ორი მომენტით – 1. ფართო კონტაქტები უცხოეთის სხვადასხვა მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან. 2. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი მშენებლობები, რომელთა უმეტესი ნაწილი ასევე უცხოურ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული.

თავს უფლებას მივცემ ორიოდ სიტყვით შევეხო იმ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებს, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიის, არამედ, რიგ შემთხვევებში, ზოგადად კაცობრიობის განვითარების ეტაპების განსაზღვრაში. სრულიად ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ხაზგასმით უნდა ითქვას დმანისის ცნობილი აღმოჩენების შესახებ. არ დარჩენილა მსოფლიოს მეტ-ნაკლებად ცნობილი პერიოდული გამოცემა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი არ დაეთმო დმანისელი ადამიანის ისტორიისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უძველესი ნაშთები, რომელთა პირველი ნიმუშები – ქვის იარაღი, ქართველმა არქეოლოგებმა ჯერ კიდევ 1983 წელს, ხოლო ძვლოვანი მასალა (ჰომინიდის ქვედა ყბა) 1991 წელს მოიპოვეს და თავიდანვე ზუსტად განსაზღვრეს მისი ასაკი და კულტურული კუთვნილება, დღეს რამოდენიმე უცხოური არქეოლოგიური დაწესებულების ინტერესების სფეროშიც მოექცა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ფიქრობენ, ,,კავკასია, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, ევრაზიის ერთი იმ უბანთაგანია, სადაც პლიოცენის ბოლოს, დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდა ხმელეთის ხერხემლიანთა თავისებური ასოციაცია, რომლის ყველაზე ღირსშესანიშნავი წევრი სულ მალე გახდა თვით ადამიანი... დმანისის უახლესი აღმოჩენები სწორედ იმის გარკვევის საშუალებას იძლევა, თუ როგორი იყო ის გეოგრაფიული გარემო, რამაც ხელი შეუწყო უძველესი ადამიანის პირველადი განსახლების კერის ჩამოყალიბებას ჯერ სამხრეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ მის გავრცელების უბნებში; რა ადგილი ეკავა აქ გავრცელებულ ადამიანს ჰომინიდების სისტემაში; საიდან მოვიდა იგი, რით ხასიათდებოდა მისი ევოლუციის ძირითადი ეტაპები, რა ურთიერთობა აკავშირებდა ევრაზიისა და აფრიკის მონათესავე ფორმებთან. ამდენად, უდავოა, რომ დმანისში უძველესი ადამიანის ნაშთების აღმოჩენა ბოლო დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა პალეოანთროპოლოგიაში“ (ლ. გაბუნია, ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე). როგორც წესი, დმანისის ამ აღმოჩენებთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა მათი დათარიღების კორექტულობის შესახებ. დმანისელი ადამიანისა და ქვის იარაღის თარიღი 1.800000 წელი დაფუძნებულია არა მხოლოდ ტიპოლოგიურ და თანმხლები ფაუნისტური მასალის (სირაქლემა, ანტილოპა, ჟირაფი, ბიზონი, ხმალკბილა ვეფხვი, გიგანტური ირემი, ირემ-ლაღი და შველი, ჯეირანი, სამხრეთის სპილო, ე.წ. ,,სტენონის ჯგუფის“ ცხენი, ეტრუსკული მარტორქა, მგელი, დათვი, თხუნელა) სიძველეზე (ცხოველთაგან ბევრი უკვე 1 მილიონი წლის წინ იყო გადაშენებული). ამერიკელმა მეცნიერმა კ. სვიშერმა (კალიფორნიის უნივერსიტეტი) განმეორებით ჩაატარა გაზომვები დმანისის ძვლოვანი შრეების ქვეშ მდებარე დოლერიტული ლავების იზოტოპური ასაკის დასადგენად. შედეგებმა, რომელიც მან მიიღო (1,85 მლნ. წ. ±10,000), დაადასტურა ჯერ ქართველი მკვლევარების, ხოლო შემდგომ ჰ. შმინკეს (გერმანია) მიერ 1995 წელს დადგენილი ასაკი.

ადამიანის (Homo erectus) ნაშთები აქ წარმოდგენილია ძირითადად რამოდენიმე თავის ქალით, რაც თავისთავად უკვე უნიკალური მოვლენაა ამ ხანისათვის. დმანისის არქეოლოგიური კვლევა საქართველოს ყველაზე მსხვილი საერთაშორისო პროექტია, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელმძღვანელობს დოქტორი დ. ლორთქიფანიძე.

დმანისში ჯერ კიდევ გრძელდება გამოკვლევები, თუმცა უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. ვარაუდობენ, რომ ამ უძველესმა ადამიანმა აღმოსავლეთ საქართველოში აფრიკიდან ე.წ. ლევანტური დერეფნით შემოაღწია და შესაბამისად, დმანისი იქცა იმ ერთერთ კარად, რომლიდანაც ადამიანი ევროპასა და აზიაში გავრცელდა (ლ. გაბუნია, ა. ვეკუა).

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამავე ხანის კიდევ ერთი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ახალქალაქში, თუმცა მისი კვლევა პრაქტიკულად შეწყვეტილია უსახსრობის გამო.

უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიგს განეკუთვნება აგრეთვე თრიალეთის ტერიტორიაზე გამოკვლეული ე.წ. სარიტუალო გზები და ციკლოპური ნამოსახლარები. წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლინდა ასეულობით ორმოსამარხი, ყორღანები და სამაროვნები. ყორღანებთან დადასტურდა სარიტუალო-საპროცესიო გზები. ერთ-ერთი მათგანი 356 მ სიგრძისა და 6 მ სიგანისაა, თუმცა არის ამავე სიგანისა და 500 მ სიგრძის საპროცესიო გზა, რომელიც ქვებითაა მოკირწყლული. ყველა შემთხვევაში გზები ყორღანებიდან მკაცრად აღმოსავლეთისკენაა მიმართული. ისინი ძვ.წ. II

ათასწლეულის I ნახევარში ჩანს აგებული (გ. ნარიმანიშვილი).

ძალზე საყურადღებოა აღმოჩენები კახეთის ტერიტორიაზე. ექსპედიციის ხელმძღვანელმა, აკადემიის წ/კ, პროფ. კ. ფიცხელაურმა დედოფლისწყაროს რაიონში პირველად საქართველოში მიაკვლია ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის სინქრონული ნამოსახლარის ციტადელს, რომლის ე.წ. Murus Gallicus-ის ტიპის სასიმაგრო კედლების სიგანე 6 მ-ს აღწევს. ამ ფაქტს წინ უძღოდა უნიკალურ აღმოჩენათა მთელი წყება საგარეჯოს რაიონში, უდაბნოში, სადაც სრულიად განსაკუთრებული გეგმარებისა და არქიტექტურული იერსახის მქონე სამი ძეგლია მიკვლეული, რომლებიც ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. სხვათა შორის, აქაური სასიმაგრო კედლები, რომლებიც მასიური ქვითაა ნაგები, საკმაოდ განიერია – იგი 5 მ-ს აღწევს.

აწყურში (ახალციხის რაიონი) ჩატარებულმა გათხრებმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო (ექსპედიციის ხელმძღვანელი ვ. ლიჩელი). აქ აღმოჩნდა მცირე ზომის (დაახ. 3,5×3,5 მ) ყორღანული სამარხი, რომელშიც 63 მიცვალებული იყო დაკრძალული ათასზე მეტ ნივთთან ერთად (ბრინჯაო, თიხა, სარდიონი, გიშერი, ოქრო) დაკრძალულთა შორის 40 ქალია, მამაკაცი - 22. რამოდენიმე მათგანზე შეინიშნება ოსტეოქონდროზით დაავადების ნიშნები. სამარხი ძვ.წ. XVII-XVI – საუკუნეებს განეკუთვნება.

ბოლო წლების მცხეთურ აღმოჩენათა შორის უთუოდ საყურადღებოა სვეტიცხოვლის ეზოში, უშუალოდ კათედრალური ტაძრის აღმოსავლეთით, საძირკველთან აღმოჩენილი ქვაყუთი, რომელშიც აკად. ა. აფაქიძისა და პროფ. გ. ყიფიანის აზრით, 50 წლის ქალი იყო დაკრძალული. მას უხვად ჰქონდა ჩატანებული უაღრესად დახვეწილი გემოვნებით შესრულებული სხვადასხვა ნივთი (ოქროს ჰორელიეფური კამეები მამაკაცისა და ბავშვების გამოსახულებით, გიშრის სანელსაცხებლე ოქროს ხუფითა და ძეწკვებით, ოქროს თვალბუდეში ჩასმული სარდიონის საბეჭდავი ბეჭედი – II-III საუკუნეების), რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული საწერი მოწყობილობა. მისი კორპუსი, რომელშიც ვერცხლის სტილოსები (ანუ კალმისტრები) სპეციალურად დატალღულ ფირფიტაში ეწყობოდა, მოოქროვილი ვერცხლისგანაა დამზადებული. ამ ხელსაწყოს ერთ მხარეზე ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერაა, ხოლო მეორე – სამ ფრიზად განლაგებული მუზების გამოსახულებებითაა შემკული. ყველა ფიგურას შესაბამისი ატრიბუტი და წარწერა (ბერძნულ ენაზე) აქვს: კლიო, ევტერა, მელპომენე, ტერფსიხორე და ა.შ. ამავე საწერ მოწყობილობაში შედის ოქროს სამელნე, რომელიც ბუდეში ისმებოდა. თვით სამელნის მოოქროვილი ბუდე შემკული იყო გამოსახულებებით, რომელთაც ასევე წარწერებიც ახლავს. ეს ჰორელიეფები იმ ადამიანთა პორტრეტული გამოსახულებებია, რომელთაც არა მხოლოდ ძველ ბერძნულ, არამედ მსოფლიოს ლიტერატურისა და ფილოსოფიის განვითარებაში ითამაშეს გადამწყვეტი როლი: ჰომეროსი (ძვ.წ. VIII საუკუნე), ელინური პოეზიის ფუძემდებელი, მცირეაზიელი ბერძენი, არისტოკრატიასთან დაახლოებული გენიალური ბრმა; მენანდრე (ძვ.წ. IV-III საუკუნეები), ძველი სამყაროს უდიდესი კომედიოგრაფი, „ახალი კომედიის ვარსკვლავი,“ რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „რა დიდებულია ადამიანი, თუ ნამდვილად ადამიანია“; დემოსთენე (ძვ.წ. IV საუკუნე), ძველი საბერძნეთის უპირველესი ორატორი, რომლის ძეგლის კვარცხლბეკზე, პლუტარქეს მიხედვით, ამოტვიფრული იყო ყველასათვის ცნობილი წარწერა: „როგორიც იყავ გონიერი, ისეთივე ღონიერიც რომ ყოფილიყავ, შენ, დემოსთენე, მაშინ ელადას მაკედონიის ომის ღმერთი ვერ დაიპყრობდა.“

განსაკუთრებით ფართო მასშტაბები არქეოლოგიურმა გათხრებმა მიიღო ახალმშენებლობათა ზონებში. გარდა მილსადენებისა, აღსანიშნავია აგრეთვე, ყულევის საზღვაო ტერმინალის მშენებლობის ადგილზე ჩატარებული გათხრები (ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი). სს „ტერმინალ 2000“-მა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს, დააფინანსა ყულევის ნამოსახლარის სრული გამოკვლევა, გათხრილია ძვ.წ. IX-VI სს-ის ტიპური კოლხური სამოსახლო, რომელიც მოზვინულ ბორცვზე, მდ. ხობის შესართავთან გაუმართავთ. შენობები აგებულია ხის სარ-ლასტით და შელესილია თიხით. ადგილობრივი და უცხოური წარმოების მრავალსაუკუნოვან კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ლითონის წარმოების ნაშთები და რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ვერძების ტერაკოტული ფიგურები. საინტერესოა, რომ ქრონოლოგიურად ამ ფიგურების ასეთი რაოდენობით მოზღვავება კოლხეთში ემთხვევა არგონავტების პირველ მოხსენიებას ლიტერატურაში (ჰომეროსი – ძვ.წ. VIII საუკუნე – „ყველასათვის სანუკვარი არგო“; სტრაბონი – I საუკუნე – „ასევე იცნობდა ჰომეროსი კოლხებს, იაზონის მგზავრობას აიაში და მითებსა და მოთხრობებს კირკესა და მედეაზე მათი ჯადოსნობისა და ხასიათთა სხვა მსგავსების გარშემო“). უნებლიეთ ჩნდება კითხვა – ხომ არ შეიძლება ეს დამთხვევა იმის დამადასტურებელი იყოს, რომ ძვ.წ. VIII საუკუნეში ელინურ-კოლხურ სამყაროში უკვე არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული აზრი (მითოლოგიური ვერსია?) არგონავტების სწორედ კოლხეთში (resp. დღევანდელი დასავლეთ საქართველო) და სწორედ ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ. მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, თქმულება არგონავტების შესახებ, ჰომეროსის წინადროინდელ პოეზიაში რომ ეპიკური სიმღერების სახით იყო დამუშავებული, მის დროს კი უკვე

ერთიან სიუჟეტურ ბირთვად ჩამოყალიბდა (ა. ურუშაძე). ყოველ შემთხვევაში, ვერძების გამოსახულებების ეს სიმრავლე ვერ აიხსნება ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფაში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობით, რადგან ასეთი როლი ცხვარს კოლხეთის დაბლობში არა ჰქონია.

შავი ზღვის ტრანსგრესიის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ კულტურული ფენები ყულევის ნამოსახლარზე ზღვის დონიდან 1,5 მ-ზე დაბლა გვხვდება (რ. პაპუაშვილის გათხრები), რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შავი ზღვის დღევანდელი დონე (ამ ნიშნულზე) უკვე არსებობდა ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში.

ევროპა-აზიის შემაერთებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობის მარშრუტზე ჩატარებული გათხრებიდან აღსანიშნავია დმანისის რაიონში, სოფ. განთიადთან მიკვლეული ყორღანი (ძვ.წ. II ათასწლეული) და V-VI საუკუნეების ეკლესიის ნაშთები (ექსპედიციის ხელმძღვანელი კ. კახიანი). ესაა შვერილაბსიდიანი დარბაზული ტიპის ეკლესია (10,6×6,3 მ), რომელიც ადრეშუასაუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესიის გათხრისას აღმოჩნდა ტუფის ქვისაგან გამოთლილი კაპიტელის, სტელების, ქვაჯვარების და მცირე პლასტიკის სხვა ნიმუშთა სამოცზე მეტი დამტვრეული ფრაგმენტი. ზოგიერთ მათგანზე რამოდენიმე ქართული ასომთავრული ასო-ნიშანიც იკითხება. ეკლესიის მორთულობას უნდა განეკუთვნებოდეს სამხრეთ კედელთან აღმოჩენილი ცხოველის თავის გამოსახულებები – წითელი ტუფის ორი ჰორელიეფი, რომლებიც ლომის თავებს წარმოადგენს და სიმას ფუნქციას ასრულებდნენ. მათი სახეები სტილიზებულია და საქართველოში ანალოგები არა აქვს. ივარაუდება, რომ ისინი გენეტიკურად გვიანანტიკური ხელოვნების ნიმუშებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ცხადია, ყველაზე მასშტაბური გათხრები ბაქო-სუფსის მაგისტრალთან დაკავშირებით ჩატარდა. მათ შედეგებს უკვე მიეძღვნა ერთი სპეციალური ტომი – „მილსადენის არქეოლოგია. ტომი I“, აგრეთვე მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოშვებული გათხრების ანგარიშები „ნარეკვავი“ I და II. მაგრამ ვიდრე ქართული არქეოლოგიის დღევანდელი მდგომარეობის ამ მოკლე დახასიათებას დავასრულებდე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო კიდევ ერთი მოვლენის შესახებ. კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიის უდიდესი წარმატების აღიარება იყო უძველესი ქართული მელითონეობისადმი მიძღვნილი გამოფენა გერმანიაში სახელწოდებით „საქართველო – განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ (2001 წლის 28 ოქტომბერი – 2002 წლის 19 მაისი – ბოხუმი; 2002 წლის 1 დეკემბერი – 2003 წლის 1 ივნისი – ვისბადენი), რომელმაც არნახული ინტერესი გამოიწვია. აქ წარმოდგენილია ქართველი არქეოლოგების მიერ საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს, რკინის, ოქროს, ანთიმონის ნაწარმი ძვ.წ. V ათასწლეულიდან ვიდრე ახ.წ. V საუკუნემდე, აგრეთვე ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ხელსაწყოები, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის მაღაროებშია მოპოვებული სვანეთისა და რაჭის ტერიტორიაზე. მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ გამოფენისადმი მიძღვნილი სქელტანიანი კატალოგი "Georgien – Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001), რომლის ავტორები ძირითადად ქართველი სპეციალისტები არიან და რომლის გამოცემას დიდი შრომა დააბარჯა ქალბატონმა ი. ღამბაშიძემ. ესაა სრულიად უნიკალური გამოცემა, რომელშიც მოცემულია გამოკვლევები ძველი ქართული მეტალურგიის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ამ გამოფენის ლიდერი, უკანასკნელი წლების ქართული არქეოლოგიის სულის ჩამდგმელი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელი, ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ნამდვილი წევრი, მრავალი ევროპული და ამერიკული არქეოლოგიური ორგანიზაციისა და ინსტიტუტის წევრი, ჰუმბოლტის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე მოულოდნელად გარდაიცვალა 2002 წლის 19 მაისს. ესაა ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომელიც არა მხოლოდ ქართულმა, არამედ ევროპულმა მეცნიერებამაც განიცადა.

წინამდებარე კრებულში შესულია საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ 2000-2002 წლებში დაფინანსებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგები. მე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენო საქართველოს მილსადენის კომპანიას, გარემოს დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ თოფურიძეს, ქალბატონ ეკა რუხაძეს.

**V. Licheli**

## GEORGIAN ARCHAEOLOGY OF 2000-2002

Achievements of Georgian Archaeology, observed within as well as outside the country, save the rich tradition of Georgian archaeology, have been preconditioned by two facts - 1. Close contacts with different foreign scientific centres; 2 Constructions carried out in recent years, most of them related to foreign investments.

I shall allow myself to touch upon the important discoveries, which played considerable role in determining stages of development not only of Georgia and Caucasus, but in some cases, of entire humankind. Naturally, Dmanisi well known discovery of the human shall be noted. Nearly all, more or less famous

periodicals have given a special attention to the history of Dmanisi discovery of the human being. It is to be observed that these prehistoric artefacts, the first examples of which have been discovered by Georgian archaeologists in 1983 – stone tools, and bones (lower jaw of Hominidae)- in 1991, and from the very outset determined their age and cultural identity in precision, today stimulated the interest of several foreign archaeological institutions.

As it is considered "Caucasus, especially its southern part, is a region, were, by the end of the Pliocene era, about 2 million years ago, was developed an original associations of land vertebrates. Soon the human being became a "fabulous" member of it.... Recent discoveries of Dmanisi give the possibility to determine the geographic surroundings, which contributed to the development of the first settlement site of the prehistoric human beings in the south of Georgia and later in its environs; the importance of the local inhabitants in hominid system; where they came from, what were the characteristics, basic stages of their development, the kinship with the Eurasian and African forms. Thus, it goes without question that the discovery of prehistoric remnants of the humand in Dmanisi has been an important event in Paleoanthropology (L.Gabunia, D.Lortkipanidze). As a rule, with regard to this discovery in Dmanisi there arises a question concerning its precise dating. The date of Dmanisi human being and stone tool – 1,800 000 years – is based not only on the age of typological and accompanying faunal materials (ostrich, antilope, giraffe, bison, saber-toothed tiger, gigantic deer, fallow-deer and roe (deer), a mountain goat, southern elephant, the so called "Stenonic horse", Etruscan unicorn, wolf, bear, mole – the most of the animals became extinct already a million years ago). American scholar K. Shvisher (The University of Calirofnia) carried out activities for determining isotopic age of dolerite lava situated under the bone strata in Dmanisi. The results (1,85 million years ± 10,000), obtained by him, confirmed the age set by Georgian scholars and later by H. Schmink (Germany) in 1995).

The remnants of Homo Erectus are presented here only by a skull, which, in its turn, is a unique event for that age. Dmanisi archaeological research is the large-scale project which was headed by Doctor D.Lortkipanidze on Georgian side.

In Dmanisi studies are yet carried out, though some conclusions can be drawn It is supposed that this ancient human being came from Africa, via the so called Levantine corridor to East Georgia and, consequently, Dmanisi became one of the "gates" through which the humankind spread in Europe and Asia (L.Gabunia, A.Vekua).

The so called ritual routes and cyclopean settlement sites discovered on the territory of Trialety belong to recent discoveries. Hundreds of burial pit, tumulus, and necropolis were excavated on the territory of Tsalka reservoir. One of them is 356m in length and 6 m in width, though there is a ritual route of the same width with 500 m in length all cobblestoned. In all instances the route directions from the tumulus go towards sharp east. These ought to be constructed in the first half of the second millennium B.C. (The head of expedition G. Narimanashvili).

Of noteworthy are the discoveries in Kakheti. First in Georgia, the head of the expedition, Prof. K. Pitskhelauri found citadel of the synchronized settlement site of the Trialeti Culture. The width of the fortress walls of the so called Murus Gallicus type is almost 6 m. This fact was preceded by a range of discoveries in Sagarejo region, desert. Here, there were excavated three monuments of totally different planning and architectural form dated to the verge of 2nd and 1st millenniums. To be noted, the local fortress walls, built of huge stones, are of considerable width – about 5m.

The excavations carried out in Atskuri (Akhaltsikhe region), showed fascinating results (The head of expedition V.Licheli). Here were discovered small tumulus (about 3.5X3.5), in which 63 deceased were buried together with more than thousand objects (bronze, lime, sardion, gagate, gold). The tomb dates to 17-16th cc. B.C.

Among the recent discoveries in Mtskheta of noteworthy is a cist burial excavated in east of the cathedral church of Svetiskhoveli yard in which, according to Acad. A. Apakidze and Prof. G. Kipiani, was buried a 50 years old woman. Together with her different exquisite objects were placed (golden haut-relief cameo with man and children images, gagate **ungventarium** with golden cover and chains, golden seal rings with **sardion** – 2-3rd cc). Among this objects shall be pointed out golden and silver writing set. Its case, inside which silver pens were placed in undulated plates, is made of gilded silver. On one side of this object there is a Greek inscription, on the other side – images of muses. Each shape has its own inscriptions (in Greek): Clio, Evtera, Melpomene, Terfsikhore, etc. The very writing set includes golden ink-pot, which was place in its case. The ink-pot itself was decorated with images and inscriptions. These haut-reliefs are the images of people, who played a decisive role in the development of not only ancient but world literature and philosophy: Homer (8th B.C.), founder of Hellenic poetry, Greek from Asia Minor, a blind genius; Menander (4-3rd cc. B.C), great comedian of ancient world, "star of a new comedy", who said: How great the person is, if one is person; Demostenes (4th c. B.C.), the prime orator of ancient Greece, on whose monument, according to Plutarke, were inscribed well know words: If only you were as strong as witty you were, Demostenes, then Helados wouldn't be conquered by God of war of Macedonea.

Archaeological excavations became rather large scale in the new areas of reconstruction. Besides the pipeline, shall be mentioned the excavations carried out at the reconstruction site of Kulevi marine terminal (Head of expedition R. Papuashvili). JSC "Terminal 2000", which was implementing construction works, funded full research of Kulevi settlement site. A typical Colchian settlement site dated to 9-6th cc. B.C. was excavated. The site was founded on the hillock at the influx of Riv. Khobi. The buildings were made of

wooden wicker fence and plastered with lime. Together with the local and foreign old ceramics, were discovered remnants of metal objects. Of worth noticing are terracotta figures of ram. It is interesting that chronologically spread of such objects in Colchis coincides with the first mention of Argonauts in literature (Homer – 8th c. B.C. – "Argo precious to all". Can this coincidence be a proof that in Hellenic-Colchis world of 8th c. B.C. there was already a prevalent opinion about Argonauts' trip exactly to Colchis (today west Georgia) for golden fleece? Moreover, as it is known, the legend of Argonauts was already given in early poetry as epic songs before Homer. By his time it was already developed as a whole story (A.Urushadze). Anyhow, such a large number of ram images in ancient Colchis can not be explained by their practical importance, for ram did not appear to have such a role in Colchian lowlands.

From the point of view of study of the Black Sea transgress, it is notable that the cultural strata on the Kulevi settlement site are located 0,8-0,6 m below the sea level, that shall imply that the present level of the sea already exited in 1st millennium B.C.

Among the excavations carried out along the construction of fibre cable route shall be pointed out a tumulus (2nd millennium B.C.) in village Gantiadi, Dmanisi region and ruins of an old church of 5-4th cc. B.C. (Head of expedition K.Kakhiani). This is a protruded hall-type church (10,6×6,3m) dated to early Middle Ages. During the church excavations were discovered more than 60 fragments of capitel made of tuff, Stella, stone cross and other small plastic objects. On some of there are some Georgian letters. Images of animal heads – two haut-relief of red tuff, which are lion heads and function as sima , are to be the church decorations. Their images have no analogy in Georgia. It is supposed that they originally are related to the late ancient art.

Apparently, the most extensive excavations were carried out with regard to Baku-Supsa route. A special volume was dedicated to their results – " Pipeline Archaeology. Vol.1", as well as report on excavation "Narekvavi" 1 and 2nd by Mtrkheta Institute of Archaeology. But prior to finishing a brief description of present condition of Georgian Archaeology, I would like to highlight one more event. Particularly, an exhibition, dedicated to the ancient Georgian metallurgy in Germany named "Georgia – Treasure from the homeland of golden fleece" (October 28, 2001 – May19, 2002, Bochum; December 1, 2002-June 1, 2003- Visbaden), was a recognition of success of Georgian archaeology. There were presented bronze, iron, gold, antimone manufactures discovered in Georgia and dated to 5th c B.C. to 5th c A.D, as well as tools related to the metallurgy, excavated in the mine of 2nd millennium B.C. on Svaneti and Racha territories. But above all attention shall be given to catalogue dedicated to this exhibition "Georgien – Schätze aus dem Land des Goldenen Vlies"( Bochum, 2001), whose authors are mainly Georgian professionals. This is a full unique edition, which gives studies related to all issues of ancient Georgian metallurgy.

Unfortunately, the head of this exhibition, the leader of Georgian archaeology, founder of the Centre of Archaeological Studies, member of Royal Academy of Spain, actual member of Archaeological institute of Germany, member of many European and American Archaeological organizations and institutes, laureate of Homboldt award, Academician of Academy of Sciences of Georgia, Prof. Otar Lortkipanidze unexpectedly passed away on May 19, 2002. This is an irretrievable loss to not only Georgian but European science too.

The present collection includes the results of archaeological studied funded by the Georgian Pipeline Company in 2000-2002. I find it a delightful duty to express many thank to the Georgian Pipeline Company, to the head of the department of environmental protection, Mr. Zurab Topuridze, as well as, Ms. Eka Rukhadze.

ცისანა ჩიკოიძე, გიორგი მინდიაშვილი, მერი ჩხატარაშვილი,
ნაზი პაჭიკაშვილი

# კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში

კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია წლების განმავლობაში იკვლევდა ისტორიული კუხეთის რეგიონს (გარდაბნის რაიონში), რომელიც ძირითადად მოიცავდა ქალაქ რუსთავს თავისი შემოგარენით და კუხეთის ჩრდილოეთი მხარის მთის წინა ზოლს. მას შემდეგ, რაც საქართველოში აქტიურად დაიწყო ბაქო-სუფსის მილსადენის მშენებლობა, ექსპედიციას მიეცა საშუალება და გააფართოვა საკვლევი ტერიტორია კუხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრიდან – ჩრდილო-დასავლეთით, საგურამოს ქედის წინა ზოლამდე.

ტრასაზე აღმოჩენილი ძეგლების შესწავლას წინ უძღოდა მათი არქეოლოგიური დაზვერვები, რომლის შედეგად აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები: ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები: სოფ. ჯანდართან, ბეშელოს მთაზე, სამგორ-ვაზიანის მიდამოებში; გვიანანტიკური და შუა საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვანი ლოჭინის ხეობაში სოფ. საცხენისის მახლობლად, დიდი ლილოსა და გლდანის მიდამოებში.

ძეგლები, რომლებიც გაითხარა 1997-98 წწ. გამოქვეყნებულია „მილსადენის არქეოლოგიის“ I ტომში (1999, გვ. 17-27), ხოლო ამავე წლებში დაზვერვების შედეგად გამოვლენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია გვიანანტიკური ხანის ლოჭინის ნამოსახლარი (რომელიც 1-1,5 კმ-ზე იყო გავრცელებული) თავისივე სამაროვნით. სამწუხაროდ იგი დარჩა ტრასის მიღმა და მისი გათხრა ვერ მოხერხდა. გაიწმინდა მხოლოდ ერთი დაზიანებული სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა თიხის კარგად განლექილი, ჩალისფრად გამომწვარი და წითელი წერნაქით შეღებილი ჭურჭლები: სამტუჩა დოქი, ყურზე ამოკაწრული ნიშნით (ს.ნ. № 26), ყელწიბოიანი ჭურჭელი გრეხილი ორი ყურით (ს.ნ. № 28) და ჯამი, პირმოყრილი, ბორბლისებრი ქუსლით (ს.ნ. № 27) (ტაბ. II).

1999 წლის 7 ივლისიდან – 10 აგვისტომდე კუხეთის ექსპედიციამ გადარჩენითი და დაზვერვითი ხასიათის გათხრები ჩაატარა მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე. შეისწავლა ვაზიანის № 1 ყორღანი 28,8 კმ-ზე და 26,5 კმ-ზე – ქვაყრილიანი რამდენიმე სამარხი.[1]

არქეოლოგიური სამუშაოები ვაზიანის № 1 ყორღანზე დაიწყო ძეგლის ფოტოფიქსაციით, ასევე გაკეთდა ზედაპირის პროფილი (ჭრილი) S-N, W-O ხაზზე. ყორღანი (გორა) დაიყო ოთხ სექტორად (I-IV) ცენტრზე გავლებული ორი S-N და W-O ჭრილის შესაბამისად, დაიყო 2 მ-იან კვადრატებად და მთლიანად ჩაჯდა დიდ 24 მ-იან კვადრატში. გაკეთდა ზედაპირზე, ანუ კორდოვან ფენაში ქვების განფენის გეგმა და დაიწყო ორი, ჯვარედინი II-III სექტორის აღება იმ ვარაუდით, რომ მათ ნაპირებზე დაკვირვება საშუალებას მოგვცემდა აღგვედგინა ყრილის აგების-აღმართვის თავისებურებები.

III სექტორის თხრილში, რომელიც IV სექტორის საზღვართან გავაკეთეთ და SN ხაზს მიჰყვება, უკვე კორდოვანი ფენის ქვეშ დაიწყო ობსიდიანის ანატკეცებისა და ფირფიტების თუ მათი წატეხილი ბოლოების გამოჩენა, რომელთაგან ზოგი იარაღს წარმოადგენს და სამუშაო პირი საგანგებოდ აქვს დამუშავებული.

1,75 მ სიმაღლისა და 24 მ დიამეტრის ყორღანის წრიულ ბორცვს ძირთან, ფართო, ზოგჯერ არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ზომის რიყის ქვის ჯავშანი შემოსდევდა, რომელიც სხვადასხვა სიგანისა იყო. გარდა წრეზე შემოყოლებული ჯავშნისა, ქვაყრილი ჩანდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილშიც, ხოლო მსხვილი რიყის ქვის ცალკეული ჯგუფები გვხვდებოდა უსისტემოდ. თუმცა, ცენტრალურ ქვაყრილსა და წრიულ ქვის ჯავშანს შორის მაინც იყო დატოვებული, ზოგან მოყვითალო, ზოგან მოყავისფრო მიწის ზოლი. მილსადენის მშენებლობით ქვის ჯავშანი საგრძნობლად იყო დაზიანებული II სექტორში, ხოლო IV სექტორში – უფრო ადრე სამხედროებისა თუ მწყემსების მიერ. ქვის სარტყელი ანუ ჯავშანი, რომელიც ყორღანის ყრილს შემოსდევდა ბორცვის ძირთან – ქვედა ნაწილში უფრო მოზრდილი რიყის ქვებისაგან შედგებოდა, ვიდრე ზევით (ტაბ. III, IV).

დასაკრძალავი ნაგებობის ჩაღრმავება II და IV სექტორებში გამოიკვეთა. ამ ჩაღრმავების გვერდით კვ. 9/9-ის I მეოთხედში, მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე გაიწმინდა ერთ დონეზე განფენილი, ამავე ადგილზე საგანგებოდ დამტვრეული ობსიდიანის (ვულკანური მინის) ნამსხვრევები და ანატკეცები.

[1] ექსპედიციის ხელმძღვანელი ი.მ.კ. ც. ჩიკოიძე, მენეჯერი ი.მ.დ. ვ. ლიჩელი, ბრინჯაოს ხანის რაზმის უფროსი ი.მ.კ. გ. მინდიაშვილი, მხატვარ-არქიტექტორი მ. ჩიკოიძე, არქეოლოგები ი.მ.კ. ჩხატარაშვილი, ნ. პაჭიკაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ყორღანის ცენტრალურ ნაწილთან, უფრო სწორად ჩაღრმავებასთან ახლოს, ობსიდიანის აღმოჩენა ბევრად უფრო ხშირი იყო, ვიდრე ძეგლის სხვა ნაწილში. იგივე შეიძლება ითქვას კერამიკული ჭურჭლის ნატეხებზეც, რომლებსაც ერთი შეხედვით გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შედგენილობის თიხა აქვთ. თუმცა ზოგი ფრაგმენტი „ნაფოტის“ კვალს ატარებს ზედაპირზე და უფრო ადრეულს წააგავს. ასევე უფრო არქაული იერი აქვს იმ თიხის ჭურჭლის ნატეხებსაც, რომლებიც ამ ჩაღრმავების ფსკერის გაწმენდისას აღმოჩნდა. ეს ფრაგმენტები ძალზე მცირე ზომისაა და მათ მიხედვით ჭურჭლის ფორმაზე მსჯელობა არ ხერხდება, თუმცა ისეთი ტექნოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა გამოწვის ხარისხი და კეცის შედგენილობა, ენეოლითურის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საერთოდ, ძეგლი, არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, როგორც გასათხრელად, ისე ინტერპრეტაციისათვის ძალზედ რთული გამოდგა. ცენტრალური, ანუ ძირითადი წრიული ჩაღრმავება, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება დასაკრძალავი კამერა, ანუ სამარხი ეწოდოს, არ შეიცავდა მიცვალებულის ძვლებს. მის ფსკერზე აღმოჩნდა ენეოლითური (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრის) იერის მქონე თიხის ჭურჭლის რამდენიმე მცირე ფრაგმენტი და კერისებური ჩაღრმავება ცენტრთან ახლოს, რომელიც ნაცარსა და მურს შეიცავდა. ყოველივე ეს ეჭვს აღძრავს მის სამარხობასთან დაკავშირებით და ბადებს მოსაზრებას აქ წრიული საცხოვრებელი ნაგებობის არსებობის თაობაზე. მაგრამ ენეოლითის ჩვენში ცნობილი კულტურები მშენებლობაში ქვას არ იყენებენ, ამდენად ეს ვარაუდიც საეჭვო ხდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ქვის სარტყელი თუ ჯავშანი, რომელიც ყორღანის ყრილს გარშემოუყვება, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხის ნაწილად უნდა ჩაითვალოს. ბუნდოვანია იმ სამი ორმოდან დანარჩენი ორის დანიშნულებაც, რომლებიც ენეოლითური „წრის“ სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან იყო ჩაჭრილი და ქვით და მიწით შევსებული, რადგან არავითარი მასალა მათში არ აღმოჩენილა. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ისინი ამ ე.წ. კამერასთან შედარებით გვიანდელები არიან. ერთი, № 4, რომლის დანიშნულებაც გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, თავისი ხასიათით – ღრმა, სწორკედლიანი, ვერტიკალური – ძალიან ჰგავს რამდენიმე მეტრის მოშორებით ასევე ყრილში ჩაშვებულ ორმოს. ორმოში ხის ბოძის ნაშთიც აღმოჩნდა, რომელიც საქონლის ფარეხის გადახურვის საყრდენისთვის უნდა იყოს ამოღებული.

II-IV სექტორში გამოვლენილი ქვებით მოფენილი და ყორღანის წრის ცენტრიდან საგრძნობლად დაშორებული ენეოლითური წრიული ჩაღრმავება არ აღმოჩნდა ერთადერთი არქეოლოგიური ობიექტი ამ ძეგლზე. ზუსტად ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მსხვილი რიყის ქვის სიხშირე შეინიშნებოდა, თანდათან გამოიკვეთა უკვე არსებულ შემაღლებაში ჩაჭრილი ორმო (2,1×1,3 მ, სიღრმე – 1,3 მ), რომელიც ქვებითა და მიწით იყო შევსებული. სამარხის შუა ნაწილში დაფიქსირდა მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკუნტულ პოზაში, თავით NW-კენ იყო დაკრძალული. სამარხი ორმოს ჩრდილო-დასავლეთ ბოლოში, კედლის ძირში, სამი თიხის ჭურჭელი იდგა. იქვე გაიწმინდა წვრილფეხა ცხოველის ძვლები. ცხვრის(?) ძვლები გაიწმინდა აგრეთვე მიცვალებულის თავის ქალასა და თიხის ჭურჭლებს შორისაც. მიცვალებულს მსხვილფეხა საქონლის ბარკლის ძვალი ედო მხარსა და მაჯებზე. ყელის არეში აღმოჩნდა სარდიონის 35 მძივი, ბრინჯაოს 2 მძივი, ხოლო მაჯებთან – ბრინჯაოს გრეხილი ნივთის ნაშთები. ძვალი ძალიან ცუდად იყო დაცული (ტაბ. V). თიხის ჭურჭლების აღებისას მასში აღმოჩნდა ალაპის ნაშთი. თიხის ჭურჭლებს მეტი სიმყარისათვის ქვეშ ქვები ჰქონდათ შედგმული (ტაბ. VI).

როგორც ვნახეთ, ვაზიანის № 1 ყორღანი ორი სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლს შეიცავს. ამათგან უადრესია, თავიდან ძირითად დასაკრძალავ კამერად მიჩნეული II-IV სექტორების საზღვარზე გამოვლენილი, გვიანენეოლითური ნასახლარის წრიული ჩაღრმავება, რომელიც მის ირგვლივ და თავად მის შევსებასა და ფსკერზე აღმოჩენილი ობსიდიანის იარაღებისა და არქაული მსხვილმარცვლოვანი თიხის ჭურჭლების მიხედვით, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს (ტაბ. VII, VIII).

ბორცვის ცენტრალურ ნაწილში ჩაშვებული ორმოსამარხი კი, ისევე როგორც ყორღანის ყრილის ყველა დეტალი, მასში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურს, ანუ ძვ.წ. XVI საუკუნეს შეიძლება მიეკუთვნოს.

ექსპედიციამ 26,2 კმ-ზე გათხარა 1997 წლის დაზვერვების დროს გამოვლენილი გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის კუთვნილი სამაროვანი, სადაც დადასტურდა 21-მდე ქვაყრილი. ერთ-ერთ დაზიანებულ სამარხში ჩანდა გვერდწათლილი თავის ქალა და თიხის ჭურჭელი (ტაბ. IX). გაითხარა 4 სამარხი, მათგან № 1, 2, 3 სამარხებს საერთო ან შეწყვილებუ-

ლი ქვაყრილი ჰქონდა. № 3 სამარხი № 2 სამარხზე იყო გამართული.

სამარხი № 1 წარმოადგენდა თეთრი ფერის დედაქანში ამოღებულ 0,4-0,5 მ სიღრმის ოვალურ ორმოს (1,6×1,15 მ), რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – სამხრეთ-დასავლეთისკენაა წაგრძელებული და მიცვალებულიც ასევეა დამხრობილი თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი. მისი სახის წინ გაიწმინდა ხის ლანგრის წრიული ანაბეჭდი, თიხის მცირე ზომის ჯამი, ქოთანი თუ კოჭობი და მცირე კოჭობი (ტაბ. X). ჭურჭლები დაშლილი იყო და მათი აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ თიხის ჭურჭელი სამარხში მიცვალებულზე უფრო მაღლა ეწყო, ხოლო ერთი მცირე კოჭობი პირდაპირ შუბლზე ედგა თავის ქალას. ზოგი ნიშანი იმაზეც მიგვითითებს, რომ მიცვალებულს ჭილოფი უნდა ჰქონოდა გადაფარებული.

დაზიანებული სამარხი № 3 თავის მხრივ № 2 სამარხის ქვის ყრილზე ყოფილა გამართული. კიდურების ნაშთების მიხედვით მიცვალებული აქაც მარჯვენა გვერდზე ფეხმოკეცილი დაუკრძალავთ თავით ჩრდილოეთისკენ, თავს ზემოთ ედგა ორი თიხის ჭურჭელი, თუმცა სამარხის დასავლეთ ნაპირში, რომელიც ჩამოჭრილია, შესაძლოა კიდევ ყოფილიყო თიხის ჭურჭელი. ძვლოვანი მასალა და კერამიკა ამ შემთხვევაშიც ძალიან ცუდად იყო შენახული (ტაბ. XI).

ორმოს კონტური დარღვეული ჰქონდა № 2 სამარხსაც, რომელიც № 3 სამარხით იყო ზემოდან გადაფარული. თიხის ჭურჭლის განლაგების მიხედვით მიცვალებული აქაც გვერდზე მოკუნტული უნდა იყოს დაკრძალული. ამ სამარხშიც დადასტურდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები (ტაბ. XII). აქაც ძალიან ცუდი იყო ძვლისა და კერამიკის დაცულობის ხარისხი, რის გამოც კერამიკა პრაქტიკულად აღდგენას არ ექვემდებარება. მხოლოდ გრაფიკულად მოხერხდა ჯამის ტიპის 3 ჭურჭლის აღდგენა (ტაბ. XIII). ამ მასალაზე ადგილზე გაკეთებული დაკვირვება №№ 1-3 სამარხებს და მთლიანად ძეგლს ზოგადად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურით და შესაძლოა თვით შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდითაც კი განსაზღვრავს.

ამრიგად, მიკვლეულია ძალზე საინტერესო კომპლექსი, რომელიც ნამოსახლარს და სამაროვანს შეიცავს. ამას თუ დავუმატებთ აქვე არსებულ ყორღანულ ველსაც, რომელიც ასევე გარდამავალი საფეხურით თარიღდება, აშკარა გახდება, რომ მილსადენის წყალობით საშუალება მოგვეცა, ვაზიანის არქეოლოგიური ძეგლის სახით ძალზე საინტერესო კომპლექსი აღმოგვეჩინა.

შემდეგი ძეგლი, რომელიც კუხეთის ექსპედიციამ შეისწავლა არის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანი № 3 (ტაბ. XIV) მილსადენიდან 150 მ-ზე. იგი ივრის ზეგნის გორაკების ზოლის დასავლეთ განაპირას არსებულ ერთ მცირე შემაღლებაზე აღმოჩნდა. ყორღანი ზედ გაშენებული სამხედრო სანგრით იყო დაზიანებული. სანგარი მხოლოდ ერთი მეტრის სიღრმეზე ვრცელდებოდა და სამარხის კომპლექსი ამით არ იყო დაზიანებული. რიყის ქვით ამოვსებული კუთხეებმომრგვალებული ყორღანის ორმო (3×3,5×1,7 მ) იმეორებს ურმის მოყვანილობას, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს ორი ხელანის ადგილი აქვს ამოღებული. ხელნებისათვის გაჭრილ „მკლავებში“ ხის უცეცხლოდ დანახშირებული ნაშთი დადასტურდა. მარცხენა მკლავში აღმოჩნდა ობსიდიანის ორი მოზრდილი ბასრი ნატეხი და მსხვილფეხა საქონლის წინა ფეხების ძვლები. კამერის ფსკერზე, „სახელნე მკლავებს“ თუ ნიშებს შორის მოქცეული უძრავი მატერიალური მასის ძირში, გაიწმინდა ბრინჯაოს ქედიანი სატევარი, რომელსაც ბრტყელი, ერთნახვრეტიანი სატარე ყუნწი და მომრგვალებულმხრებიანი ვადა აქვს. ორმოს ფსკერიდან 0,35-0,40 მ-ზე გამოვლინდა ძელური გადახურვის სუსტი ნაშთები. კამერის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ერთმანეთზე დაწყობილი, ჩვენი ვარაუდით ხარის, ცხვრის და მოზვრის ნეკნები და ბეჭის ძვალი. კამერის ფსკერის ნაპირები უფრო მაღალი იყო ცენტრთან შედარებით. დაბალი, შუა ნაწილი კი შევსებული აღმოჩნდა დიდი ზომის შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხებით, რომელთა აღდგენამაც შუა ბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ფორმები მოგვცა, მოყავისფრო ლეგა კეცითა და შიდაპირით (ტაბ. XV). მოპოვებული მასალაც და სამარხის კონსტრუქციაც საშუალებას იძლევა კომპლექსის ძვ.წ. XVIII საუკუნით დათარიღებისათვის.

2000 წლის 7 ივლისიდან – 6 აგვისტომდე კუხეთის ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა მდ. გლდანულას მარჯვენა სანაპიროზე, შემაღლებულ კონცხზე, ადგილში „ხოდაბუნებში,“ მილსადენის 62-63-ე კმ-ზე. 1998 წელს, მილსადენის მშენებლობის დროს, ამ ადგილებში დაზიანდა ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარები. ექსპედიციამ, რომელიც იმჟამად მუშაობდა ტრასის 528-ე კმ-ზე, მილსადენის სათავიდან, მიიღო ცნობა ძეგლის დაზიანების შესახებ. დათვალიერებისას აღმოჩნდა ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლართა მნიშვნელოვანი ნაშთები: მთლიანი ქვევრი, საწნახელის ფრაგმენტები; ზედაპირზე მოიკრიფა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები: ქვევრის პირ-ყელის (ნ.ს. 04-98-41), ქოცოს ნატეხები (ნ.ს. -04-98-42), ჩალისფრად გამომწვა-

რი ჭურჭლის ნატეხები (ნ.ს.-04-98-43, 44, 45), მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები (ნს-04-98-47) და სხვ. იმ მომენტში ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა ვერ მოხერხდა. იგი დაფინანსდა მხოლოდ 2000 წლისათვის.

მილსადენის 63-ე კმ-ზე ნამოსახლარის ზედაპირული დათვალიერებისთანავე ცხადი გახდა, რომ იგი მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მილსადენის ირგვლივ მიწის რეკულტივაციის შედეგად უფრო მეტად დაზიანდა. ადგილზე არ დაგვხვდა ნამოსახლარის ერთ-ერთ სათავსოში ჩვენს მიერ დაფიქსირებული მთელი ქოცო, საწნახელი და ნაგებობათა მოშიშვლებული კედლების ნაშთები. აქა-იქ, ჰუმუსური საფარის ქვეშ, მოჩანდა დამწვარი, ნაცროვანი ფენით დაფარული, თიხატკეპნილი იატაკების ნაშთები და მთელ ხეობაში გაბნეული მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭლის ნატეხები (№№ 04-62-00-1-13).

გათხრა დაიწყო ძეგლების ფოტოფიქსაციით, გაკეთდა ტოპოგეგმა (ტაბ. XVI), ტოპოგრაფიული ჭრილი და სიტუაციური გეგმა. შესასწავლი ფართობი დაკვადრატდა 10 კვ. მეტრიან კვადრატებად და ნაგებობათა მოკვლევის მიზნით გაკეთდა რვა საცდელ-სადაზვერვო თხრილი (უბანი I).

I უბანზე მუშაობის დაწყებიდან მეხუთე დღეს, ექსპედიციამ მილსადენის 62-ე კმ-ზე, კონცხის თხემზე შეამჩნია დამწვარ-ნაცროვანი შრეები და სხვადასხვა ზომის დიდ-პატარა ორმოები. ერთ-ერთ მათგანში კარგად მოჩანდა კედლის ნაშთები. ძეგლის გადარჩენის მიზნით, მილსადენის კომპანიასთან შეთანხმებით ექსპედიციამ I უბნის პარალელურად დაიწყო აღნიშნული – II უბნის შესწავლაც.

I უბანზე საცდელ-სადაზვერვო თხრილები გაკეთდა მილსადენის 30 მ-იანი დერეფნის ორივე მხარეს. გაკეთდა 8 თხრილი (ტაბ. XVII). მათგან კულტურული ფენები და ნამოსახლარის კვალი ყველაზე უკეთესად იყო შემორჩენილი № 1 თხრილში.

I უბნის № 1 თხრილი გაიჭრა კვ. 21-22-ში, მილსადენის მარჯვენა მხარეს, ფერდობზე. ფერდის ძირში, საღვარცოფე რუს ჭრილში კარგად იკითხებოდა 0,10-0,15 მ სიმძლავრის დამწვარ-ნაცროვანი ფენა, რაც იატაკის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ, თხრილის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, გაკეთდა სიგრძივი ჭრილი (6×2), სადაც დაფიქსირდა რეკულტივაციის დროს დაყრილ-დატკეპნილი ფენა, რომელიც შეიცავდა კერამიკისა და შინაური ცხოველების ძვლოვან მასალას. მას ნულოვანი წერტილიდან 0,85 მ სიღრმეზე მოჰყვა 1,25 მ სიმძლავრის ნაცრით, მოყვითალო გრუნტოვანი ქვიშით და კლდის ქვის ნაფლეთებით უხვად შეჯერებული ფენა. ორივე შრე მილსადენის კომპანიის მიერ ჩატარებული მიწის რეკულტივაციის შედეგად იყო წარმოქმნილი. უძრავმა კულტურულმა ფენამ თავი იჩინა ნულოვანი წერტილიდან 1,4 მ სიღრმეზე. თხრილის აღმოსავლეთ ჭრილში გამოიკვეთა ფლეთილი ქვის წყობა, რომელსაც თავზე დამწვარ-ნაცროვანი შრე გასდევდა. ამგვარივე ფენა ვრცელდებოდა თხრილის ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ ჭრილებში. ამის გამო თხრილი გაფართოვდა სამივე მიმართულებით. საცდელ თხრილსა და გაფართოებულ ფართობს შორის, განათხარის სტრატიგრაფიის უკეთ განსაზღვრის მიზნით, კულტურული ფენის დონიდან დატოვებული იქნა ულელი. გაფართოებულ ნაწილში კულტურული ფენა აღმოჩნდა 0,15-0,50 მეტრით უფრო ღრმად. ორივე დონეზე დამწვარი ფენა შეიცავდა ადგილზე ჩამტვრეულ და დამწვარ თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ნაცროვანი ფენის პრეპარაციის შემდეგ გამოიკვეთა ორი სხვადასხვა დონის თიხატკეპნილი იატაკი. იატაკები გამართული იყო გრუნტზე და მხოლოდ ალაგ-ალაგ ეფინა მომცრო ზომის ბრტყელი ქვები. შედარებით მოზრდილი ქვების მწკრივით იყო შემაგრებული ზედა დონის ტერასულად გამოყოფილი იატაკი (ტაბ. XVIII). ორივე დონის იატაკი შეიცავდა ერთგვაროვან თიხის ნაწარმს: მოჩალისფროდ გამომწვარი ყელწიბოიანი კოკის პირ-ყელისა და ძირის ნატეხებს (09-ნს-00-26, 29, 30), ამოკაწრული ტალღისებრი ორნამენტით შემკული ხელადის (04-ნს-00-48), ჩალისფრად და მოწითალოდ გამომწვარ ჯამებს და ბადიებს (04-ნს-00-8, 63, 80, 85), ქვევრების, ქილების, ქოთნის ნატეხებს (04-ნს-00-19, 20, 34, 35, 51, 98) და სხვ. (ტაბ. XIX, XX, XXI). მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობები ძალიან იყო დაზიანებული, ჩვენი ვარაუდით მისი შემორჩენილი იატაკები მოზღუდული უნდა ყოფილიყო ალიზის კედლებით. იგი, როგორც ამ პერიოდის ნამოსახლარებს ახასიათებს, წარმოადგენდა ტერასულად განლაგებულ ორ სათავსოიან მიწურის ტიპის ნაგებობას.

I უბნის № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 თხრილებში ნამოსახლარების კვალი ძირითადად წაშლილი იყო. შემორჩა მხოლოდ დამწვარი იატაკების ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები (04-ნს-101-120).

№ 4 თხრილი, რომელიც I უბნის ზედა ნაწილში, თხემის მოვაკებულ ადგილას მდებარეობდა, საკონტროლო მიზნით ჩაიჭრა კულტურული ფენების ქვემოთაც 261 მ სიღრმემდე და დაფიქსირდა გეოლოგიური ქანების შრეები (ტაბ. XXII).

I უბანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ერთგვაროვანია და წარმოდგენილია მოუჭიქავი ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ნატეხებით. თიხის ნაწარმიდან ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი, რომელთა დიდი ნაწილი უხეში თიხისგანაა დამზადებული და გადანატეხში არასრული გამოწვის ნაცრისფერი კეცი გააჩნია. შედარებით უკეთესადაა გამომწვარი სუფრის ჭურჭელი. მოპოვებული მასალიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს მინის სასმისის ძირ-ქუსლი (04-ნს-00-12), რომლის აღმოჩენა სოფლური ტიპის დასახლებაში ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენს.

ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა ზოგადად მსგავსია რუსთავის, მცხეთის, ურბნისის და სხვა ადრე შუასაუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი მასალისა და თარიღდება VI-VIII სს-ით.

II უბანზე მილსადენის განსწვრივ გაყვანილი გზის ზედაპირზევე ჩანდა კულტურული ფენა. გზის ფუნჯით გაწმენდისთანავე გამოიკვეთა კლდოვან ქანში ჩაჭრილი სხვადასხვა ზომის 11 ორმო (ტაბ. XXIII). № 4 და № 10 ორმოს გარდა ყველა ამოვსებული იყო დამწვარ-ნაცროვანი მიწის, ალიზის გოროხების და უსახური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. № 3 ორმოს წინ აღმოჩნდა მოწითალოდ გამომწვარი დერგის ძირი (04-ნს-00-139), № 4 ორმოში – ქვევრი (04-ნს-00-145), ხოლო № 10 ორმოში შავად გამომწვარი ქოთნის ნაშთები, რომელიც პრეპარაციის დროს დაიშალა (04-ნს-00-144).

II უბნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პრეპარაციის შედეგად გამოიკვეთა კლდის ნატეხი ქვებით თიხის ხსნარზე ნაშენი ნაგებობის ნაშთი. ნაგებობის საძირკველი ამოყვანილი იყო 0,15-0,2 მ სიღრმეზე ამოჭრილ ქანში. მისგან შემორჩა სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, სამხრეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლის ფრაგმენტები. ნაგებობას ზღურბლი დატანებული ჰქონდა სამხრეთის კედელში, რომელიც ასევე ქანში იყო ამოჭრილი. სავარაუდოდ, ნაგებობა რამოდენიმე სათავსოსაგან შედგებოდა. ნაგებობის პრეპარაციისას გამოვლინდა ძალზე მწირი, უსახური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (04-ნს-00-149-161).

ნაგებობის დანიშნულების და მისი ორმოებთან მიმართების საკითხი საბოლოოდ გასარკვევია. სავარაუდოა, რომ იგი სამეურნეო ან საკულტო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა.

II უბანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ერთფეროვანია და შუა საუკუნეების კუთვნილი უნდა იყოს, მაგრამ გვხვდება ორიოდე ნატეხი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის (04-ნს-00-123, 124) და ერთიც ელინისტური ხანის ჭურჭლისა (04-ნს-00-121), რაც აქ სხვადასხვა პერიოდის ძეგლის არსებობასაც გვაფიქრებინებს.

გათხრითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპედიციამ ეკოლოგიური უსაფრთხოების ყველა პირობის გათვალისწინებით მოახდინა შესწავლილი უბნების რეკულტივაცია.

გარდა აღნიშნული სამუშაოებისა, ექსპედიციამ გულდასმით დაზვერა მდ. გლდანულას მარჯვენა ხეობა და მილსადენის 64-ე კმ-ზე რამოდენიმე ადგილას მოიძია ახალი პუნქტები, სადაც მოუჭიქავ კერამიკასთან ერთად აიკრიფა მოჭიქული ჭურჭლების ნატეხები (04-ნს-00-13), რომლებიც IX-XII სს-ით თარიღდება. როგორც მოველოდით გლდანულას ხეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული VI-XIII სს-ში.

ანალოგიური ვითარება გვაქვს საგურამოს ქედის მთის წინა სამხრეთ ფერდობებზე, მარტყოფ-ნორიო-ლილოს ნამოსახლარებზეც.

აღსანიშნავია, რომ 1998 წელს, სოფ. დიდ ლილოსთან, მილსადენის რადიოგადამცემი პუნქტის მშენებლობის ადგილას ექსპედიციამ შეისწავლა განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები.

ამრიგად, ერთხელ კიდევ დადასტურდა ექსპედიციის მიერ 80-იან წლებში, დაზვერვების შედეგად გამოთქმული მოსაზრება, რომ ისტორიულ პერიოდში ნამოსახლარები მდებარეობდა მთიან ზოლში და დღევანდელი სოფლები გვიან შუასაუკუნეებშია გაჩენილი.

## კატალოგი



1. დოქი – თიხისა, კარგად განლექილი, ჩალისფრად გამომწვარი, წითელი წერნაქით შეღებილი. აქვს სამტუჩა პირი, სფერული მუცელი, უქუსლო ბრტყელი ძირი, პირიდან მუცელზე მირჩილული ოვალურგანივკვეთიანი ყური. ტანი შემკულია ოდნავ შესამჩნევი ამობურცული კო-

პებით. ყურზე დატანილია დამღა (გრაფემა?). სიმაღლე – 18,5 სმ., მუცლის დიამეტრი – 17 სმ., ძირის დიამეტრი – 11 სმ. (ს.წ. № 04.ნს-26-97). ძვ.წ. I-ახ.წ. I-II სს. ლოჭინი, სამარხი.



2. ქილა – თიხისა, კარგად განლექილი, ჩალისფრად გამომწვარი, წითელი წერნაქით შეღებილი. აქვს მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი, წიბოიანი ყელი, ყელიდან მხარზე მირჩილული ორი გრეხილი ყური, სფერული მუცელი, უქუსლო, ბრტყელი ძირი. სიმაღლე – 18,5 სმ., პირის დიამეტრი – 9,5 სმ., მუცლის დიამეტრი – 16 სმ., ძირის დიამეტრი – 11 სმ. (ს.წ. № 04.ნს-28-97). ძვ.წ. I-ახ.წ. I-II სს. ლოჭინი, სამარხი.



3. ჯამი – თიხისა, კარგად განლექილი, ჩალისფრად გამომწვარი, წითელი წერნაქით შეღებილი. პირმოყრილი, აქვს დაქანებული კალთა, ოდნავ გამოყოფილი ქუსლი და შეზნექილი ბრტყელი ძირი. სიმაღლე – 5 სმ., პირის დიამეტრი – 14,5 სმ., ძირის დიამეტრი – 7,5 სმ. (ს.წ. № 04-ნს-27-97). ძვ.წ. I-ახ.წ. I-II სს. ლოჭინი. სამარხი.



4. ქოთანი – თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი უთანაბროდ, წვრილი თეთრი კენჭოვანი მინარევებით. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფეროსებრი მუცელი, უქუსლო ბრტყელი ძირი. ქოთანი შემკულია: პირზე შემოვლებული სამი ამოღარული წრეხაზით, მხართან ღრმად დაკეჭნილი რელიეფური წრიული სარტყლებით, რომელშიც ჩასმულია ამოღარული გაშლილი ტალღები, მუცელზე – წვრილი ჩარხისმიერი კონცენტრული ხაზებით. ძირი შემკულია დაკეჭნილი ორნამენტითა და კონცენტრული ხაზებით. პირის დიამეტრი – 19,5 სმ., მხრის დიამეტრი – 28 სმ., ძირის დიამეტრი – 12 სმ. (ს.წ. № 04.ნს-55-99). ძვ.წ. XVI ს. ვაზიანი, ყორღანი № 1.



5. კოჭობი – თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, გამობერილი მხარი, სფეროსებრი მუცელი, უქუსლო ბრტყელი ძირი. ზედაპირი გაპრიალებულია, ძირთან შებოლილია. მხარზე შემკულია წრიულად ამოღარული სარტყლით, რომელშიც ჩასმულია ნაპრიალები ზოლებით მიღებული სამკუთხედები. პირის დიამეტრი – 10 სმ., მუცლის დიამეტრი – 14 სმ., ძირის დიამეტრი – 6 სმ. (ს.წ. № 04.ნს-53-99). ძვ.წ. XVI ს. ვაზიანი, ყორღანი № 1.



6. სატევარი – ბრინჯაოსი, ფოთლისებრი ფორმის, შედგენილტარიანი, ქედიანი. აქვს სამან-

ჭვლე ნახვრეტი ტარისათვის. სიგრძე – 20 სმ., მხარის სიგანე – 4 სმ. (ს.წ. № 04-ნს-83-99). ძვ.წ. XVIII ს. ვაზიანი, ყორღანი № 3.



7. დერგი – თიხისა, მსხვილმარცვლოვანი, უთანაბროდ ლეგად გამომწვარი. ალაგ-ალაგ შავად ნაპრიალები. აქვს ფართოდ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, გაშლილი მხარი, ძირისკენ შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი. პირის დიამეტრი – 24 სმ., ძირის დიამეტრი – 17 სმ. (ს.წ. № 04-ნს-85-99). ძვ.წ. XVIII ს. ვაზიანი, ყორღანი № 3.



7[1]. დერგი – თიხისა, მსხვილმარცვლოვანი, მოყავისფროდ გამომწვარი, ვარდისფერი სარჩულით. შავად ნაპრიალები ზედაპირით. აქვს გადაშლილი პირი, განიერი მხარი და ბრტყელი ვიწრო ძირი. პირის დიამეტრი – დაახ. 21 სმ. (ს.წ. № 04-ნს-84-99). ძვ.წ. XVIII ს. ვაზიანი, ყორღანი № 3.



8. სადღვებლის პირ-ყურის ნატეხი – თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი, თხელკედლიანი. აქვს ფართო, ოვალურგანივკვეთიანი ყური, ყურის მარჯვენა მხარეს მრგვალი პირის ნახვრეტი (ჭიპი). ყურის სიგანე – 3 სმ., კედის სისქე – 0,5 სმ., ნახვრეტის დიამეტრი – 2 სმ. (ს.წ. № 04.ნ.ს. – 114-00). ახ.წ. VI-VIII სს. გლდანი, „ხოდაბუნები.“



9. ქილის პირ-ყელის ნატეხი – თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი. აქვს ფართო პირი, ბრტყელი ბაკო, დაბალი ყელი, გამობერილი მხარი. პირის დიამეტრი – 18 სმ., ბაკოს სიგანე – 1 სმ., კედის სისქე – 0,4 სმ. (ს.წ. № 04-ნს-62-00). ახ.წ. VI-VIII სს. გლდანი, „ხოდაბუნები.“



10. კოკა – ძირ-კედლის ნატეხი, თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი, თხელკედლიანი, აქვს უქუსლო, ბრტყელი ძირი. (ს.წ. № 04-ნს-26-00). ახ.წ. VI-VIII სს. გლდანი, „ხოდაბუნები.“




11. სასმისი – მინისა, ფეხიანი, ძირ-ქუსლის ნატეხი ორმაგი კედლებით. ღია მწვანე ფერის, დიდ-პატარა ბუშტულებით. გამოფიტული. შემორჩენილია მცირედ გამობერილი ფეხი მთლიანად და ტანის კედლების დასაწყისი. ქუსლის

დიამეტრი – 5,5 სმ., ფეხის სიმაღლე – 2 სმ (ს.წ. № 04-ნს-12-00). ახ.წ. VI-VIII სს. გლდანი, „ხოდაბუნები,“ ზედაპირული.



12. ქილის პირ-ყელის ნატეხი – თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი. აქვს ბრტყელი ბაკო, დაბალი სწორი ყელი, გაშლილი მხარი. პირის დიამეტრი – დაახ. 16 სმ. (ს.წ. № 04-ნს-7-00). ახ.წ. VI-VIII სს. გლდანი, „ხოდაბუნები.“



13. ბათქაშის ნატეხი – თიხისა, ბზენარევი, აგურისფერი, დამწვარი (ს.წ. № 04-ნს-154-00). გლდანი, „ხოდაბუნები,“ უბანი II.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ლოჭინის ხევი. თხრილის გეგმა და კულტურული ფენის პროფილი.

ტაბ. II – ლოჭინის ხევი. სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის გრაფიკული ჩანახატები.

ტაბ. III – ვაზიანის № 1 ყორღანის კვადრატების სისტემა და ქვაყრილი II-IV სექტორების გეგმა კორდოვანი ფენის აღების შემდეგ.

ტაბ. IV – ვაზიანის № 1 ყორღანის ჭრილები და პროფილები.

ტაბ. V – ვაზიანის № 1 ყორღანის სამარხის გეგმა.

ტაბ. VI – ვაზიანის № 1 ყორღანის სამარხის თიხის ჭურჭელი.

ტაბ. VII-VIII – ვაზიანის № 1 ყორღანი, ობსიდიანის იარაღები ენეოლითური ნასახლარიდან.

ტაბ. IX – ვაზიანის სამაროვნის ქვაყრილების განლაგების სიტუაციური გეგმა.

ტაბ. X – ვაზიანის სამაროვნის № 1 სამარხის გეგმა.

ტაბ. XI – ვაზიანის სამაროვნის № 3 სამარხის გეგმა.

ტაბ. XII – ვაზიანის სამაროვნის № 2 სამარხის გეგმა.

ტაბ. XIII – კერამიკული მასალა № 1-3 სამარხებიდან.

ტაბ. XIV – ვაზიანის № 3 ყორღანის გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XV – ვაზიანის № 3 ყორღანის ნივთები: 1, 2 – თიხის ჭურჭელი; 3 – ბრინჯაოს სატევარი.

ტაბ. XVI – მილსადენის 63-ე კმ-ზე, მდ. გლდანულას მარჯვენა ხეობა, ადგილი „ხოდაბუნები,“ I უბნის ტოპოგრაფიული გეგმა.

ტაბ. XVII – I უბანი, სიტუაციური გეგმა.

ტაბ. XVIII – I უბანი, № 1 თხრილის ჭრილები.

ტაბ. XIX-XXI – I უბანი, № 1 თხრილში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხების გრაფიკული ჩანახატები.

ტაბ. XXII – I უბანი, № 4 თხრილი, შურფის პროფილების განშლა.

ტაბ. XXIII – II უბანი, გეგმა და ჭრილები.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

ტაბ. I


0 3 6 9
0 2 4 6

ვაზიანის №1 ყორღანი
ქვაყრილის გეგმა



# ვაზიანის № 1 ყორღანი

± 0.00

## ჭრილი 6-6




± 0.00

## ჭრილი 10-10




± 0.00

## ჭრილი 9-9




0,5 0 0,5 1 m

## ჭრილი 7-7

± 0.00




## ექსპლიკაცია

1. ჰუმუსი 2. ჰუმუსიანი ღორღი 3. თიხნარი ყვითელი 4. თეთრი ღორღი 5. თიხნარი თეთრი ჩანართებით 6. მოყავისფრო ღორღი 7. წითელი მატერიკი კრისტალიზებული ხოლებით 8. თიხა თეთრ-წითელი ძარღვებით 9. ნაცარი 10. განამარხებული ჰუმუსი

ტაბ. IV

ტაბ. V

ვაზიანის № 1 ყორღანი
ჩაშვებული სამარხის გეგმა






5 0 5 10




5 0 5 10




4 0 4 8

# ტაბ. VII




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16

## ტაბ. IX


ხიტუაციური გეგა
N
1 0 1 2 m
№ 1
№ 2
№ 3
№ 4
№ 5
№ 6
№ 7
№ 8
№ 10
№ 10
№ 11
№ 12
№ 13
№ 14
№ 15
№ 16
№ 17
№ 18
№ 19
№ 20
№ 21
№ 22
№ 23
1
2
3
2
3

## ვაზიანის სამაროვანი

### სამარხი № 1



ტაბ. XI

## ვაზიანის სამაროვანი
### სამარხი № 3



## ვაზიანის სამაროვანი

### სამარხი № 2



# ტაბ. XIII



## ვაზიანის № 3 ყორღანი




### ექსპლიკაცია

1. დამტვრეული ჭურჭლის განფენა
2. დანახშირებული ხის კოჭის ნაშთი
3. გრუნტი

ტაბ. XV



ვლდანი ხოდაბუნები 63-ე ჰმ
სიფრცხვირები ვვმა
N
0 5 10 15 20 25

ტაბ. XVII




ველური ხეხვენები 63-ე ად

სიფუძვური ვეძმა

## გლდანი ხოდაბუნები 63-ე კმ

უბანი №1 თხრილი № 1




### ექსპლიკაცია

1 ჰუმუსი
2 ნაცრიანი ფენა
3 ნაყარი მიწა
4 ნაცრიანი ყვითელი
5 გრუნტი
6 ყვითელი ფენა
7 ნაყარი

# ტაბ. XIX






1



2



3

# ტაბ. XXI



1



2



3



4






5

## გლდანი ხოდაბუნები 63-ე კმ

უბანი №1 თხრილი № 4

გეგმა



შურფის პროფილების განშლა




### ემსალიკაცია

1 შავი მიწა

2 ნაცრიანი ფენა

3 ყვითელი ფენა

4 ნაცრიანი ყვითელი (თ.ჭ.)

5 ბაცი ნაცრიანი ფენა

6 ბეტონი

7 გრუნტი

# ტაბ. XXIII

## გლდანი ხოდაბუნები

### უბანი № 2




### ჭრილი 1-1




ჭრილი 1-1



ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი, გიორგი მინდიაშვილი,
ნაზი პაჭიკაშვილი

# კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

2001 წლის 6 ოქტომბერს ბაქო-სუფსის მილსადენის 66-ე კილომეტრზე, მილსადენის მშენებლობის დროს გამოვლენილი ნასახლარის ნაშთის გამო, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კუხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა ამ ადგილზე გადარჩენითი და სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება, რაც ზამთრის უამინდობისა და იმის გამო, რომ გაშიშვლებული მილსადენის შეკეთება კვლავ გრძელდებოდა, გასულ წელს ვერ მოხერხდა.

კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად ექსპედიცია ველზე სამუშაოდ 2002 წლის 18 ივნისს გავიდა და 10 დღე მილსადენთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმუშავა.

არქეოლოგიური გათხრები მიზნად ისახავდა არქეოლოგიური ნაშთების ხასიათის, ასაკისა და ნამოსახლარის გავრცელების საზღვრების დადგენას.

გათხრები ტექნიკის გამოყენების გარეშე განხორციელდა მილსადენის კომპანიის წარმომადგენლის მიერ მოხაზულ ტერიტორიაზე.

ზედაპირული დათვალიერებით მილსადენის უშუალო სიახლოვეს არქეოლოგიური სიტუაცია, წინა წელთან შედარებით, უიმედოდ გამოიყურებოდა. მილსადენის კომპანიის მიერ 2002 წელს მილსადენის დერეფანში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად იგი რამდენჯერმე გადაიფხიკა ბულდოზერით.

მილსადენთან ახლოს, ანუ I უბანზე, ჩვენს მიერ გავლებულ იქნა ოთხი სასინჯი თხრილი. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს განსაკუთრებით საინტერესო არქეოლოგიური ინფორმაცია არ მოუცია (ტაბ. $I_{1, 2}$; $II_{1, 2}$). I უბნის პირველ თხრილში აღმოჩნდა დამწვარ-ნაცროვანი ფენა, რაც, სავარაუდოდ, ბანური ტიპის მიწური ნაგებობის იატაკის ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო. ამავე უბანზე გაიჭრა № 2, 3, 4 თხრილები, სადაც გამოვლინდა კედლის ფლეთილი ქვების გროვები, რაც შესაძლოა ჩაქცეულ ნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენდა. ნამოსახლართა კუთვნილი კერამიკული მასალა კი მთელ ხეობაში იყო გაბნეული. I უბანზე მოპოვებული იქნა მოწითალოდ გამომწვარი ქვევრის და დერგის კედლის ნატეხები, ჩალისფერი ქილის პირ-ყელის ნატეხები, რომლებიც ადრე შუა საუკუნეებით დათარიღდა.

ზედაპირული დაზვერვების პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია მილსადენის 66-ე კმ-ის ჩრდილოეთით, 500-600 მ მოშორებით, სომხეთისათვის გაზსადენის მშენებლობის დროს გაკეთებული ტერასების ჭრილებში არსებულმა ქვების ჯგუფებმა, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა შენობათა კედლების ნაშთებს წარმოადგენდა.

ნაგებობათა ამ ნაშთებს ეროზიის შედეგად უეჭველი დაღუპვა ემუქრებოდა. ამიტომ ამ ადგილას, ანუ ჯაჭვის ხევის „საჯინიბოს“ ნამოსახლართან, მცირე მასშტაბის გადარჩენითი ხასიათის გათხრები ჩავატარეთ. ამრიგად, ზღვის დონიდან 700-750 მ სიმაღლეზე შეიქმნა II უბანი, სადაც ერთმანეთისაგან 100-200 მეტრით დაშორებული ოთხი თხრილი გაიჭრა, რომლებიც I უბნისაგან განსხვავებით, მეტად საინტერესო გამოდგა (ტაბ. $III_1$).

II უბანზე სამუშაო ითვალისწინებდა მხოლოდ გადარჩენით ხასიათს. ამიტომ იძულებული ვიყავით გაგვეწმინდა ჭრილში გამოვლენილ ნაგებობათა კედლები, დაგვედგინა მათი დანიშნულება, გავრცელების არეალი და თარიღი.

№ 1 თხრილში (ზომები 3,70 მ × 2,40 მ) აღმოჩნდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი. ზედა ფენა წარმოდგენილია NO მიმართულებით დამხრობილი კედლით, რომელიც ნაგებია კლდის ნაწილობრივ დამუშავებული მოზრდილი ლოდებით კირხსნარზე, გარედან შელესილია კირხსნარითვე. სავარაუდოდ იგი ეკლესიის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. $III_2$, $IV_{1, 2}$). აღნიშნული კედლით ჩაჭრილი იყო ქვედა დონის კულტურული ფენა. ერთ-ერთი ნაგებობის კედელი, რომელიც დამხრობილი იყო SN მიმართულებით: იგი ნაგებია ასევე კლდის მოზრდილი ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. ამ კლდის ძირის დონეზე, მისგან SN ჭრილში ჩანდა თონის ნაშთი. თხრილში მოპოვებულ კერამიკულ მასალაში შეგვხვდა ადრე (VI-VIII სს.) და განვითარებული (XI-XIII სს.) შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა. შესაბამისად თხრილში გამოვლენილ ნაგებობათა ნაშთებიც ამ ორი პერიოდით უნდა დათარიღდეს.

№ 1 თხრილის ჩრდილო-დასავლეთით, ფერდობის მოვაკებულ ადგილას, გავწმინდეთ საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი. № 3 თხრილში მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ნაგებობის კონტური გამოვავლინეთ. მისი ზომებია 5,40 მ × 4,10 მ (ტაბ. $V_{1, 2}$).

საინტერესო ნაგებობათა კომპლექსი აღმოჩნდა № 2 თხრილში (ზომები 17,0 მ × 2,40 მ) (ტაბ. $VI_{1, 2}$). გამოვლინდა ორი სხვადასხვა საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი. კედლები ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე, დამხრობილია SO მიმართულებით. ზურგის კედელი მიდგმული ჰქონდა მთის ფერდობზე. ნაგებობათა ინტერიერი შევსებული იყო ნახშირ-ნაცროვანი ფენით. ერთ ადგილზე დაფიქსირდა დამწვარი ძელის ნაშთი, რაც მათ ბანურ გადახურვაზე

მიუთითებს. როგორც ჩანს, ნაგებობა ძლიერი ხანძრის შედეგადაა განადგურებული (ტაბ. VII). თხრილში და მის ირგვლივ აიკრიფა მრავალფერად მოჭიქული ჯამის პირის, ქვევრის, ქოთნის, კოკის ძირ-გვერდის ნატეხები. სათავსოში აღმოჩნდა სამი სპილენძის მონეტა, ამათგან ერთი მოჭრილია რუსუდან დედოფლის მიერ 1227 წ., მეორე – დიმიტრი I-ის მეფობის დროინდელია (1125-1154 წწ.), ხოლო მესამე – წინასწარული მონაცემებით – მე-12 საუკუნეში უნდა იყოს მოჭრილი.[1]

მეორე მონეტაზე ქსოვილის ნაშთია შემორჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მონეტები ქისაში უნდა ყოფილიყო შენახული. ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალისა და მონეტების მიხედვით აღნიშნული საცხოვრებელი XII-XIII საუკუნით თარიღდება. ნასოფლარებზე მონეტების აღმოჩენა დიდ იშვიათობას წარმოადგენს და ბევრ საინტერესო საკითხსა თუ მოსაზრებას ბადებს. დასანანია, რომ დროის სიმცირისა თუ სამუშაოს შეზღუდულობის გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული სამოსახლოს სრულყოფილად შესწავლა, რასაც შუასაუკუნეების საქართველოს ნასოფლართა ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხისათვის შეეძლო შუქი მოეფინა.

ჯაჭვის ხევის მარცხენა ნაპირის ტყიან ფერდობზე, ჭრილში ჩანდა ქვების რიგი. ამ უბანზე, № 4 თხრილში (ზომები: 10,5 მ × 5,15 მ), გათხრის შედეგად აღმოჩნდა მოზრდილი სათავსოს დასავლეთი კედელი. იგი ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის ფლეთილი ქვებით. შიდა და გარე პერანგი ამოყვანილია მსხვილი ქვებით თიხის ხსნარზე, ხოლო მათ შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვითა და თიხა-მიწით. იატაკი მჭიდროდაა მოგებული უსწორმასწორო, დაუმუშავებელი ფილებით (ტაბ. VIII$_{1,2}$).

სათავსოს სამხრეთ კიდეში აღმოჩენილი ქვის ფილებით მოგებული ზღვე გაგრძელდა შენობის თითქმის მთელ ფართობზე. იატაკის დონეზე დაფიქსირდა 20-30 სმ-ის სისქის კულტურული ფენა, რომელშიც აღმოჩნდა მოყავისფროდ გამომწვარი დერგის, წითელკეციანი ხელადების და ცისფრად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები (ტაბ. IX$_1$). მსგავსი კერამიკა დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის – XI-XIII სს. თხრის დროს კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლის ფრაგმენტებიც.

აღნიშნული კომპლექსი, თავისი გამორჩეული ნიშნებით გვაფიქრებინებს, რომ იგი შესაძლოა მსხვილფეხა საქონლის სადგომი (გომური) იყო.

ექსპედიციის მონაწილე გ. რჩეულიშვილი, რომელმაც დაზვერა ჯაჭვის ნასოფლარების ტერიტორია, სადაც მას არ შეხვედრია გაველურებული ვაზის, მარნებისა თუ საწნახლების ნაშთები, ვარაუდობს, რომ ჯაჭვის ხეობის სოფლები ძირითადად მესაქონლეობით იყვნენ დასაქმებულნი, რაც მეურნეობრივად უფრო მთისათვის იყო დამახასიათებელი, ვიდრე ბარისათვის.

მესაქონლეობას რომ დაწინაურებული ადგილი ეჭირა და მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა, იქიდანაც ჩანს, რომ საცხოვრებელი ნაგებობების გვერდით არანაკლები ყურადღება ექცევა გომურებისა და სხვა დამხმარე სათავსოების მოწყობას.

შენობათა კედლები აშენებულია ადგილობრივი ქვით თიხის ხსნარზე, ძირითადად უსაძირკვლოდ, მოსწორებულ ნიადაგზე. გვხვდება შემთხვევები, როდესაც კედლების ქვის ორი პირი წყობის შიგნით ამოვსებულია წვრილი ქვით.

ასეთი ტიპის საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები დამახასიათებელია საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის შუა საუკუნეების ქალაქისა თუ სოფლის ნამოსახლარებისათვის. მსგავსი მშენებლობის ტექნიკითაა აშენებული ისპიანის ნამოსახლარი ქვემო ქართლში, ჟინვალის ნამოსახლარები, ქალაქების რუსთავისა და თელავის ნამოსახლარები და სხვ. მშენებლობის მსგავსი ტექნიკა შემოგვენახა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

ჯაჭვის ხევის ნასოფლარების გეგმარება დამახასიათებელია მთის თითქმის ყველა სოფლისათვის. მათ ძირითადად ტერასული განლაგება აქვთ და ამით განსხვავდებიან ბარის სოფლებისაგან. უმეტესწილად ისინი გაშენებულია სამხრეთ კალთაზე, ზურგის კედელი მიბჯენილია ჩრდილოეთ ფერდზე. საცხოვრებელ ნაწილებში ხის ძელების აღმოჩენა მათ კონსტრუქციაში ხის გამოყენებაზე და ბანურ გადახურვაზე მიუთითებს.

ამავე მიდამოებში, ადგილ „საჯინიბოში“ მიკვლეულ იქნა დარბაზული ტიპის ეკლესია, ე.წ. „ყორნის საყდარი,“ რომელიც მეწყერის შედეგად დეფორმირებულია. ნაგებია ქვიშა-ქვის მოზრდილი ლოდებით დუღაბზე. აფსიდა ძლიერ ნალისებრია. სამხრეთ კედელში დაყოლებული აქვს კარი და ერთი სარკმელი. ეკლესია სადაა, უორნამენტო. საერთო იერით იგი ადრეშუასაუკუნეების ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს (ტაბ. IX$_2$). ეკლესიის სამხრეთით, ტერასაზე, სამაროვნის კვალი შეიმჩნევა. სავარაუდოდ ისინიც აღნიშნული ნასოფლარების თანადროული უნდა იყოს.

რაც შეეხება ზოგადად ჯაჭვის ხევის „ქვეყანას,“ ამ მცირე გათხრების შედეგადაც აშკარად ჩანს, რომ იგი ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში მჭიდროდაა დასახლებული.

და ბოლოს, „ჯაჭვის ხევის“ ქვეყანაში აღმოჩნდა კიდევ ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც შეავსო ამ რეგიონის არქეოლოგიური რუკა, კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგინა მისი ტოპონიმიკა და ნამოსახლართა განვითარების ეტაპები.

ჩვენს მიერ გათხრისათვის წინასწარ შერჩეული ადგილები, გათხრის დაწყებამდეც და გა-

[1] მონეტები გაწმინდა ნინო კალანდაძემ, განსაზღვრა ი.მ.დ. ირინე ჯალაღანიამ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

თხრის დამთავრებისთვისაც – მათი მიწით შევსების შემდეგაც – გადაღებულ იქნა ფერად ნეგატიურ და პოზიტიურ ფირზე. გაკეთდა უბნებზე თხრილების გეგმა-ჭრილები, მათში აღმოჩენილ ნაგებობათა ნაშთებისა და სხვა არქეოლოგიური მასალის ორ განზომილებიან სისტემაში გრაფიკული ფიქსაცია.

ექსპედიციის საქმიანობას ველზე ყოველწლიურად აკონტროლებდა „ბი-პი საქართველოს“ წარმომადგენელი. მათივე თანდასწრებით დაასრულა ექსპედიციამ საველე საქმიანობა 28 ივნისს.

## ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. უბანი I. სიტუაციური გეგმა; 2. თხრილი № 1, გეგმა.

ტაბ. II – 1. უბანი I. თხრილი № 2, გეგმა; 2. თხრილი № 4, გეგმა.

ტაბ. III – 1. უბანი II, სიტუაციური გეგმა; 2. უბანი II. თხრილი № 1, გეგმა.

ტაბ. IV – 1. უბანი II. თხრილი № 1 კედლის ფრაგმენტები; 2. თხრილი № 1, ჭრილი.

ტაბ. V – 1. უბანი II, თხრილი № 3; 2. თხრილი № 3, ჭრილი.

ტაბ. VI – 1. უბანი II, თხრილი № 2, გეგმა; 2. თხრილი № 2, ჭრილი.

ტაბ. VII – 1-2. უბანი II, თხრილი № 2.

ტაბ. VIII – 1. უბანი II, თხრილი № 4, გეგმა; 2. თხრილი № 4, რელიეფური ჭრილი.

ტაბ. IX – 1. კერამიკული მასალა; 2. ეკლესიის ნანგრევი.

ტაბ. I




სიტუაციური გეგმა

შბანი I

თხ. 1, 2, 3, 4

შბანი I
თხ. 1
გეგმა




ჭრილი 1-1

0 50 100 150



შბანი I
თხ. 2
გეგმა




1

შბანი I
თხ. 4
გეგმა




2

# ტაბ. III

## სიტუაციური გეგმა

შბანი II
თხ. 1, 2, 3, 4




შბანი II
თხ. 1
გეგმა



შბანი II
თხ. 1
კედლის ფრაგმენტი







კედლის ფრაგმენტი




1

---

შბანი II
თხ. 1
ჭრილი 2-2




2

# ტაბ. V


შბანი II
თხ. 3
გეგმა
N
1
2
2
1
0 25 50 75

1


შბანი II
თხ. 3
ჭრილი 1 - 1
ჭრილი 2 - 2
0 25 50 75

2

შბანი II
თხ. 2
გეგმა




○ ქვევრი პირი
d = 0.30

1

---

შბანი II
თხ. 2
გეგმა



მქსპლიკაცია

— კორდოვანი ფენა
— გრუნტი
— ნახშიროვანი შევსება

0 50 100 150

2

## ტაბ. VII








შბანი II
ᲝᲮ. 4

რელიეფური ჭრილი 1 - 1




რელიეფური ჭრილი 2 - 2



ტაბ. IX





ნინო მირიანაშვილი

# ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია მილსადენის მშენებლობის ზონაში 2001 წელს

1998 წლის მაისში, სოფლების იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები, რომლის დროსაც დაზიანდა რამოდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. მათ შორის: გვიანი ანტიკური ხანის ნაქალაქარი, ქვევრსამარხები და ელინისტური ხანის ციტადელის მიმდებარე ნაგებობები.

საანგარიშო წელს მილსადენის კომპანიამ ექსპედიცია აღნიშნულ ტერიტორიებზე სამუშაოდ 29 დღიანი კონტრაქტით დააფინანსა.

სოფ. სამთავისის შესასვლელთან არსებულ, ჯერ კიდევ შემორჩენილ მცირე მონაკვეთზე, რომელიც გასხვისების ზოლში მდებარეობს, გათხრების წარმოება არ მოხერხდა. გასათხრელად შეირჩა გრაკლიანი გორის უკიდურესი აღმოსავლეთი ბორცვი, რომელიც სავარაუდოდ სასიმაგრო კომპლექსის ერთ-ერთი კოშკი უნდა ყოფილიყო.

ბორცვი თითქმის წრიული ფორმისაა (12×10 მ). მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ოდნავ წაგრძელებულია, იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არის დაქანებული.

მიწის პირზე, ბორცვის ძირში, ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ქვის ნაყარი შემოუყვება. იგი კოშკის გარეთა კედლის დანგრევის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი.

ზედა 0,15-0,20 მ სისქის ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ ბორცვის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში ინტენსიური კრამიტყრილი დაფიქსირდა. კრამიტებს შორის ჩაყრილი იყო მოზრდილი რიყის ქვები. ბორცვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში კრამიტყრილი საერთოდ არ შეგვხვედრია. აქ ჩაყრილი იყო დიდი რაოდენობით რიყის ქვა (ტაბ. I).

კრამიტყრილის გაწმენდისა და ალაგების შემდეგ ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა კედლის წყობა. მისი სიგრძეა – 10,5 მ, სიგანე – 1,40-1,50 მ. დაფიქსირდა შესასვლელიც. იგი ბორცვის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. შესასვლელის სიგანეა 1,0-1,10 მ (ტაბ. I).

განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, რომ ბორცვის დასავლეთ ნაწილში, კედლის წინ, მისგან 0,10-0,20 მ-ის დაშორებით, მიწაში და ქვის ნაყარში, ვერტიკალურად ჩარჭობილი აღმოჩნდა მომწვანო ტუფის და ქვიშაქვის ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით დაშორებული შვიდი ფილა.

ერთი პირი კრამიტყრილის ალაგების შემდეგ კვლავ დაფიქსირდა კრამიტყრილისა და ჩაყრილი ქვების შემცველი ფენა. მიგვაჩნია, რომ კოშკი გადაქცეულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ.

როგორც აღვნიშნეთ, ძეგლზე ინტენსიური კრამიტყრილი დადასტურდა. კრამიტები – გამონაკლისის გარეშე – ელინისტური ხანისაა. სჭარბობს ბრტყელი კრამიტი, მისი შეფარდება მრგვალ კრამიტთან არის 1:10-თან, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოშკი ძირითადად ბრტყელი კრამიტით იყო გადახურული. მრგვალი კრამიტი მხოლოდ კიდეების გადასახურად და სადინარებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. კრამიტები შეღებილია წითელი საღებავით, გაპრიალებულია კარგად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი ელინისტური ხანისაა, მათში ორი პერიოდის კრამიტის გამოყოფა მაინც შესაძლებელია. კრამიტების ძირითადი ნაწილი ძვ.წ. II საუკუნისაა. ისინი ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე მოპოვებული კრამიტების ზუსტ ანალოგიას წარმოადგენენ. მეორე ნაწილი აშკარად უფრო ადერულია. ისინი ნაძერწია ხელით. ისინი ნაძერწია ხელით. ქიმის ზედა ნაწილი მომრგვალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით და საგულდაგულოდაა გაპრიალებული.

მეორე ტიპის კრამიტის სიმცირე იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თავდაპირველი სახურავი დანგრეულია ან საგულდაგულოდ არის შეკეთებული, სადაც მთელი კრამიტები ხელმეორედ არის გამოყენებული. ძირითადად კი კოშკი ასალი კრამიტით გადაუხურავთ.

ბორცვზე მუშაობის პარალელურად თხრილი გავავლეთ ზედა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერასაზე, რომელსაც გამორჩეულად გაბატონებული მდებარეობა აქვს (ტაბ. II). თხრილი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ (12×3 მ), ბორცვი ბუნებრივადაა დაქანებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

თხრილის დასაწყისიდან (სამხრეთიდან) 3,5 მეტრზე, მიწის პირიდან 0,20 მ სიღრმეზე გამოჩნდა გადამწვარი ალიზის და ნაცარ-ნახშირის შემცველი ფენა, რომელიც საკმაოდ ღრმად ვრცელდება. თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირდა ალიზის აგურის წყობა, რომელიც მის დასავლეთით მდებარე კედლიდან უნდა ყოფილიყო გადმოვარდნილი. ასევე გაიწმინდა ალიზის რამდენიმე აგური (ისინი ხანძარში კარგად იყო გამომწვარი). მათი ზომებია: 0,42×0,32 ×0,10 მ; 0,52×0,42× 0,10 მ; 0,42×0,32× 0,13 მ (ტაბ. II).

თხრილი დასავლეთისკენ გავაფართოვეთ დაახლოებით 20 მ$^2$-ით (ტაბ. II), რადგან მთელი ფართობი მოფენილი იყო კრამიტით, კერამიკით, ალიზის ნაშალითა და ნაცარ-ნახშირით. ფართობის პრეპარაციის შემდეგ საჭირო გახდა კიდევ 20 მ$^2$-ით მისი გაფართოება. ამდენად გასათხრელი ფართობი 80 მ$^2$-ს გაუტოლდა, მაგრამ ნაგებობის შემოსაზღვრა მაინც არ მოხერხდა.

მიწის პირიდან 0,20 მ სიღრმეზე, უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში 8,60 მ$^2$ ფართობზე დაფიქსირდა დუღაბის გამოყენებით გაკეთებული იატაკი. იგი თხრილის გარეთ ვრცელდება როგორც ჩრდილოეთით, ასევე დასავლეთით. იატაკი უმტკიცესად არის ნაგები. დუღაბის

სისქე 0,10-0,12 მეტრია. დულაბის ქვედა ნაწილი შედარებით უხეშად არის დამუშავებული, ზედა ნაწილი კი კარგად გაცრილი მასით არის მოლესილი. იატაკის ზედაპირი კარგადაა მოპრიალებული. დაუზიანებელია იატაკის თითქმის ნახევარი. სამხრეთით მასზე ალიზის კედელი (3,5 ×0,60 მ)ყოფილა ამოყვანილი. კედლის ზომების დადგენა ალიზის ნაშალის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

აღნიშნული კედელი თავის მხრივ მიშენებული იყო მის სამხრეთით არსებულ სხვა კედელზე, რომელიც განსხვავებული ტექნიკით იყო ნაგები. კერძოდ, საძირკველი გამართულია ორი რიგი რიყის ქვებით. ზედაპირი საგულდაგულოდაა მოსწორებული და ზედ ალიზის კედელი ყოფილა ამოყვანილი. შემორჩა ალიზის კედლის ნაშთი. გამორიცხული არ არის, რომ ამ კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირებული კედლის ფრაგმენტი სწორედ აქედან იყო გადმოვარდნილი. ნაგებობა დიდი ხანძარს გაუნადგურებია.

უნდა აღინიშნოს, რომ დულაბის იატაკიანი ნაგებობა მიშენებული და დაშენებულია ორი რიგი რიყის ქვით შემზადებულ საძირკვლიან ნაგებობაზე. ამ კედლის გასუფთავებული ნაწილის ზომებია: 3,15 მ × 0,90 მ (ტაბ. III).

გასათხრელ ფართობზე კიდევ ერთი კედელი დაფიქსირდა. მისი ზომებია: 2,70x0,90 მ. მშენებლობის ტექნიკა ანალოგიურია ზემოთ აღწერილისა. იგი პირველი კედლიდან 1,60 მეტრითაა დაშორებული. კედელი აღმოსავლეთით გრძელდება (ტაბ. III).

კედლების სამხრეთით მთელ ფართობზე ვრცელდება ალიზისა და ნაცარ-ნახშირის შემცველი ფენა, რომელზეც აღმოსავლეთ ნაწილში თიხატკეპნილ იატაკზე დაცემული იყო სახურავის პარაპეტის (გისონის) ნაწილი, რომელიც სამი დამწვარი ძელისგან შედგებოდა. ძელების სიგრძეა 1,10-1,0 მეტრი. d-0,10 მ. ძელები აშკარად მუხისაა (ტაბ. III).

გისონის დასავლეთით გაიწმინდა დერგისა და სადღვებლის ძირ-კედლის ფრაგმენტები.

ძეგლის გათხრილი ნაწილის თარიღია ძვ.წ. II-ახ.წ. I სს. ყველაზე ახალგაზრდა არის დულაბის იატაკიანი ნაგებობა. იგი ახ.წ. I ს-ით თარიღდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლი ბოლომდე არ არის გათხრილი და ამდენად, კონკრეტულ თარიღებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მოცემულ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს სამშენებლო მასალა (ალიზი, კრამიტი, საძირკვლების გამართვის წესი და კერამიკა).

ჩვენს მიერ გათხრილი ძეგლის მახლობლად, ჩვენამდე არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ, პროფ. ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით. გათხრისას გამოვლენილი მასალა მან ელინისტური ხანით დაათარიღა.

ექსპედიციამ პარალელურად სადაზვერვო სამუშაოებიც ჩაატარა. დადგინდა, რომ გრაკლიანი გორა ანტიკურ ხანაში ინტენსიურად ყოფილა ათვისებული. 2-2,5 ჰექტარ ფართობზე მრავალი ნაგებობა მდებარეობს. მათ შორის ივარაუდება კიდევ ორი კოშკისა და მათი შემაერთებელი კედლის არსებობა. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ძეგლის შემდგომი გეგმაზომიერი შესწავლა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალისა და ძეგლის სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით შესასწავლი ძეგლი ციხე-ქალაქს უნდა წარმოადგენდეს. იგი „კასპის ქვეყანას“ უნდა ეკუთვნოდეს. უდავოა, რომ იგი იცავდა და მოხერხებულად კეტავდა კასპისკენ მიმავალ გზას.

კასპი ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში იმ ოთხ უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიება, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელს დაუსაშქრავს. „პირველ ოდენ ალექსანდრე მეფემან ნათესავი იგი ლოთის შვილთაგანი წარიქცინა და შეკადნა იგი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, -მსხდომანი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჯე; და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისა, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაი“ (1, 81).

ამ ცნობაში უაღრესად საინტერესოა ის, რომ ოძრახეს, კასპს და ურბნისს საკუთარი უფლის ციხეები ჰქონიათ.

ქართლის მეფეების ჩამოთვლისას ვკითხულობთ: „მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ (1, 82). ცხადია, უფლისციხეში კასპის უფლის ციხეა ნაგულისხმევი.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ კიდევ რამდენიმე ცნობის მოტანა შეიძლება: „და იყო დღესა ერთსა, ჟამსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა:კ:, დღესა შაფათსა და აღჰდა მეფე და განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო, და მოვლო სანახები მუხნარისა და განვიდა მთათა ზედა თხოთისათა მაღნართა, რათამცა მოხ(ე)დნა ციხეთა მათ დიდთა ასპად და კასპად და უფლისციხედ, და განვიდა თხემსა მას მთის(ა)სა (1, 134-135).

ქართლის ცხოვრება იგივე ამბავს ასე გადმოგვცემს: „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ“ (2, 121).

თხოთის მთის მიდამოებში არქეოლოგიურ სამუშაოებს 1975 წლიდან აწარმოებს ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია. ამ ცნობამ ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ თხოთის მთის სამაროვნის შესწავლისას მიიქცია. სრული დარწმუნებით შეიძლება მტკიცება იმისა, რომ თხოთის მთის ყველაზე მაღალი წერტილიდანაც კი წარმოუდგენელია უფლისციხის დანახვა. თხოთის მთიდან კარგად ჩანს კასპი[1] და კასპის უფლისციხე, რომელიც უდაოდ გრაკლიან გორაზე მიკვლეული ძეგლია.

[1] კასპი, იგულისხმება ანტიკური ხანის ქალაქი, მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და ლეხურას შესაყარ სამკუთხედში.

კასპის უფლისციხე ელინისტური ხანის ძეგლია. ძველი ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით: „და შემდგომად რამოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე მეფეც ყოვლისა ქვეყანისა, დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვილი, ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათერთმეტ თთუც და დადგა სარკინესა დასავლით კერძო“ (1, 82).

ცხადია სამ ქალაქსა და ციხეში იგულისხმება კასპი, ურბნისი და ოძრხე და მათი ციხეები. ამდენად, როგორც არქეოლოგიური, ისე წერილობითი მასალების საფუძველზე კასპის უფლისციხე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში უკვე არსებობდა და ალბათ, თავის ფუნქციასაც ასრულებდა. სწორედ ამ პერიოდისა უნდა იყოს კოშკზე დაფიქსირებული უძველესი კრამიტები.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდის ინგრევა პირველად შესასწავლი კოშკი?

წერილობით წყაროებში ორი განსახილველი ვარიანტი არსებობს. პირველი, რომ იგი დაეცა ალ. მაკედონელის (მისი სარდლის) შემოსევის დროს და მეორე, არსუკის მიერ კასპის შეპყრობისა და მისი უფლისციხეზე გაბატონებისას.

მიგვაჩნია, რომ უფრო რეალურად ეს მეორე ვარიანტი გამოიყურება და დროშიც კარგად ეხმიანება ძეგლს (ძვ.წ. II საუკუნის შუა ან II ნახევარი).

ამრიგად, სულ ერთი თვის მუშაობის შედეგად ქართლის სამეფოს ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა და არმაზციხის, უფლისციხის, ზადენციხის გვერდით დადგა კიდევ ერთი – კასპის უფლისციხე.

## გრაკლიან გორაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა

### კატალოგი

I უბანი – კოშკი

10-6-ს-01-1 – ქვევრის ფრაგმენტი, დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. მას დაბრტყელებული ქობა, დაბალი ყელი და მკვეთრად გამობერილი კალთა აქვს. კედელზე, მსრის დასაწყისში, შემოსდევს დაბალი რელიეფური სარტყელი. ქობის სიგანე – 2 სმ, კეცის სისქე – 1,5 სმ. ზედაპირი ნაპრიალებია. აღმოჩნდა ზედა ფენაში (ტაბ. $IV_1$).

10-6-ს-01-2 – ქვევრის ფრაგმენტი. დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაგან. მას ფართო, დაბრტყელებული ქობა და დაბალი ყელი აქვს. კედლის მცირე ფრაგმენტზე შემორჩენილია ორნამენტიანი სარტყელი. ქობის სიგანე – 5 სმ.; ყელის დმ. – 3 სმ.; კეცის სისქე – 1,5 სმ. აღმოჩნდა ზედა ფენაში (ტაბ. $IV_3$).

10-6-ს-01-3 – დერგის ძირ-კედლის ფრაგმენტი. დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. აქვს ბრტყელი ძირი. კედელი ძირისკენ მკვეთრადაა დაქანებული. შემოსდევს თოკისებრი ორნამენტიანი სარტყელი. კეცის სისქე – 1,5 სმ.; ძირის – 15,5 სმ.; ზედა ფენა (ტაბ. $IV_6$).

10-6-ს-01-4 – ქოთნის ნატეხები (2 ც.), დამზადებულია მინარევებიანი თიხისგან. გამომწვარია მონაცრისფროდ. მას ფართო, გადმოშლილი პირი, თხელი ქობა, დაბალი ყელი და გამობერილი მუცელი აქვს. ჭურჭელი თხელკეციანია. ქობის სისქე – 0,4 სმ-ია. ზედა ფენა (ტაბ. $IV_4$).

10-6-ს-01-5 – ქვევრის პირ-კედლის ფრაგმენტები (3 ც.), დამზადებულია მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი მსხვილმარცვლიანი თიხისგან, მას დაბრტყელებული, სქელი ქობა და დაბალი ყელი აქვს. ქობის სიგანე – 3 სმ.; სისქე – 2 სმ.; კეცის სისქე – 1 სმ. (ნატეხები შეწებებულია) (ტაბ. $IV_5$).

10-6-ს-01-6 – თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (25 ც.), დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაგან, ჭურჭელი სქელკედლიანია. აქვს ფართო, ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი ძირი. კეცის სისქე – 0,6 სმ.; ძირის დმ. – 18,5 სმ. (ნაწილობრივ შეწებებულია) (ტაბ. $IV_7$).

10-6-ს-01-7 – ყურის ფრაგმენტი. დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ყური ოვალურ განივკვეთიანია, სიგანე – 2,5 სმ.; სისქე – 1 სმ.

10-6-ს-01-8 – თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. კეცის სისქე – 0,6 სმ.

10-6-ს-01-9 – რკინის გამირები (2 ც.). ორივე დაჟანგულია. შემორჩენილი სიგრძეა 8 და 9 სმ. (ტაბ. $IV_9$).

10-6-ს-01-10 – თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. კეცის სისქე – 0,6 სმ.

10-6-ს-01-11 – ჯამის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. მას ფართო პირი, მომრგვალებული ქობა, ძირისკენ სუსტად დაქანებული კალთა აქვს. ქობაზე შემოსდევს ნაჭდევი ორნამენტი. გაპრიალებულია. პირის დმ. – 26 სმ.; კეცის სისქე – 0,7 სმ. შეწებებულია (ტაბ. $IV_8$).

10-6-ს-01-12 – თიხის ჭურჭლის კედლისა და ყურის ფრაგმენტები (3 ც.). კედლის ფრაგმენტი დამზადებულია არათანაბრად გამომწვარი მინარევებიანი თიხისგან. გლუვზედაპირიანი და სქელკედლიანია, კეცის სისქე – 1 სმ. ყურის ფრაგმენტები დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან, ერთი ყურის კეცის სისქე – 1 სმ.; მეორესი – 165 სმ. (ტაბ. $IV_{10}$).

10-6-ს-01-13 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (3 ც.). დამზადებულია მარცვლოვანი თიხისგან, გამომწვარია თანაბრად, მოვარდისფროდ. შემოუყვება რელიეფური სარტყლები, 6 სმ-ის დაშორებით. კეცის სისქეა 1 სმ. (ტაბ. $IV_{11}$).

10-6-ს-01-14 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (2 ც.) დამზადებულია მარცვლოვანი თიხისგან. გამომწვარია მოვარდისფროდ. შემოუყვება დაბალი, რელიეფური სარტყელი. კეცის სისქეა – 1-1,5 სმ. ეტყობა ცეცხლის კვალი.

10-6-ს-01-15 – ბრტყელი, გვერდაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები (2 ც.). დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან, ზედაპირი გაპრიალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით. ერთ მათგანს აქვს ნიშანი-ჩაღრმავებული ნათითურის სახით. კეცის სისქეა 2 სმ. (ტაბ. $VII_4$). ანალოგიური კრამიტის ნატეხები რამდენიმე ათეულია.

10-6-ს-01-16 – კალიპტერის ფრაგმენტები (3 ც.), დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ზედაპირი გაპრიალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით. ერთ მათგანს ეტყობა ქიმის ადგილი. კეცის სისქე 2 სმ. (ტაბ. $VII_7$).

II უბანი

10-6-ს-01-17 – ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები (2 ც.). დამზადებულია საუკეთესოდ განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ზედაპირი გაპრიალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით. კეცის სისქეა 2 სმ. (ტაბ. $VII_6$).

10-6-ს-01-18 – მრგვალი კრამიტის ფრაგმენტები (4 ც.), დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ზედაპირი გაპრიალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით. ერთ მათგანს ეტყობა ქიმის ადგილი. კეცის სისქეა 2 სმ. (მსგავსია ტაბ. $VII_7$).

10-6-ს-01-19 – კოჭობის ფრაგმენტი. დამზადებულია არათანაბრად გამომწვარი, მცირე მინარევებიანი თიხისგან. ზედაპირი დაფარულია მუქი წითელი საღებავით. გაპრიალებულია. მას გადმოშლილი პირი, თხელი ქობა, დაბალი, გამოყვანილი ყელი და კვერცხისებრი მუცელი აქვს. შემორჩენილი სიმაღლეა 11 სმ.; მუცლის დმ. – 10 სმ.; კეცის სისქეა 065 სმ. (ტაბ. $V_1$).

10-6-ს-01-20 – თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ძირის დმ. – 10 სმ.; კეცის სისქე – 0,5 სმ. (ტაბ. $V_7$).

10-6-ს-01-21 – ქოთნის ფრაგმენტი (2 ც.), დამზადებულია არათანაბრად, მოვარდისფროდ გამომწვარი, მცირემინარევებიანი თიხისგან. მათ ფართოდ გადმოშლილი პირი, მომრგვალებული ქობა, დაბალი, გამოყვანილი ყელი და დაქანებული კალთები აქვს. პირის დმ. – 14 სმ.; კეცის სისქე – 0,65 სმ. (ტაბ. $V_6$).

10-6-ს-01-22 – ყურის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ყური ოვალურგანივკვეთიანია. სიგანე – 2 სმ.; სისქე – 1 სმ. (ტაბ. $V_8$).

10-6-ს-01-23 – კოჭობის პირისა და კედლის ფრაგმენტები. დამზადებულია კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ზედაპირი გაპრიალებულია. მას ფართო პირი, ბრტყელი, ღარიანი ქობა, დაბალი ყელი და შემაღლებული მუცელი აქვს. კეცის სისქე – 0,5 სმ. (ტაბ. $V_2$).

10-6-ს-01-24 – კოჭობის პირ-ყელის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი, ბაცმოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. თხელკეციანია. ყელზე შემოსდევს რელიეფური წიბო, აქვს შეწყვილებული, ზიგზაგებით შედგენილი ორნამენტი. კეცის სისქე – 0,6 სმ. (ტაბ. $V_4$).

10-6-ს-01-25 – თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები (4 ც.), დამზადებულია კარგად განლექილი, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისგან. თხელკეციანია. კეცის სისქე – 0,5 სმ. (ტაბ. $V_5$).

10-6-ს-01-26 – სამტუჩა ჭურჭლის ნისკარტის ფრაგმენტი. დამზადებულია კარგად განლექილი, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისგან. კეცის სისქეა 0,5 სმ. (ტაბ. $V_3$).

10-6-ს-01-27 – ქვევრის კედლის ფრაგმენტი. დამზადებულია მოწითალოდ გამომწვარი, მცირე მინარევებიანი თიხისგან. შემოსდევს თოკისებური სარტყლები, რომელთა შორის მანძილი 5 სმ-ია. შეღებილია წითლად. კეცის სისქეა 1,7 სმ. (ტაბ. $VI_1$).

10-6-ს-01-28 – დერგის ძირისა და კედლის ფრაგმენტები (3 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ, არათანაბრად გამომწვარი, მცირე მინარევებიანი თიხისგან. ზედაპირი შეღებილია მუქი წითელი საღებავით. ძირი დმ. – 17 სმ.; კეცის სისქეა 1,2 სმ. (ტაბ. $VI_2$).

10-6-ს-01-29 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი მცირემინარევებიანი თიხისგან. ზედაპირზე შემოუყვება დაბალი რელიეფური სარტყლები. მათ შორის მანძილია 9 სმ.; კეცის სისქეა 1,5 სმ. (ტაბ. $VI_3$).

10-6-ს-01-30 – დერგის ფრაგმენტები (7 ც.), დამზადებულია არათანაბრად, მოვარდისფროდ გამომწვარი, მცირემინარევებიანი თიხისგან. მას აქვს დაბრტყელებული ქობა, დაბალი ყელი, მსხლისებრი მუცელი და თითქმის მრგვალგანივკვეთიანი ხელით ნაძერწი მასიური ყური. ზედაპირი გაპრიალებულია. ცეცხლშია მოხვედრილი. კეცის სისქეა 1,1 სმ. (ტაბ. $VI_4$).

10-6-ს-01-31 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (8 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ, არათანაბრად გამომწვარი, მინარევებიანი თიხისგან. მას შემოუყვება დაბალი, რელიეფური სარტყელი. ნატეხები ცეცხლშია ნამყოფი, კეცის სისქეა 1 სმ.

10-6-ს-01-32 – თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ

გამომწვარი თიხისგან. ძირი დმ. – 7 სმ., კეცის სისქეა 0,5 სმ. ცეცხლშია მოხვედრილი.

10-ნ-ს-01-33 – ქვა კვადრატული, არათანაბარი სისქის. ზედაპირზე ამოკვეთილია ჯვარი. ერთ გვერდზე საგანგებოდ არის ამოკვეთილი ფოსო. ჩანს მასზე რაღაც იყო დამაგრებული. სიგრძეა 11,5 სმ.; სიგანე – 0,5 სმ.; სისქე მერყეობს 5-2 სმ-ს შორის. ცეცხლშია ნამყოფი (ტაბ. $VII_3$).

10-ნ-ს-01-34 – ქოთნის ფრაგმენტი, დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი, მცირემინარევებიანი თიხისგან. მას აქვს პატარა, გადმოშლილი პირი, დაბალი ყელი და მცირედ გამობერილი მუცელი. ზედაპირზე შემოუყვება ნაკაწრი ზოლები. ქობის სისქეა 0,8 სმ., კეცის სისქე – 0,6 სმ. (ტაბ. $VI_5$).

10-ნ-ს-01-35 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (4 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი, მცირემინარევებიანი თიხისგან. მას დაბალი რელიეფური სარტყლები შემოუყვება. კეცის სისქეა 1 სმ. (ტაბ. $VI_6$).

10-ნ-ს-01-36 – თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. თხელკედლიანია. კეცის სისქეა 0,4 სმ.

10-ნ-ს-01-37 – დერგის კედლის ფრაგმენტი, დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი, მცირემინარევებიანი თიხისგან. აქვს მრგვალი მუცელი. ზედაპირი გაპრიალებულია. კეცის სისქეა 1 სმ. (ტაბ. $VI_7$).

10-ნ-ს-01-38 – დერგის კედლის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია არათანაბრად, მოვარდისფროდ გამომწვარი მინარევებიანი თიხისგან. კეცის სისქეა 1,5 სმ. ცეცხლშია ნამყოფი.

10-ნ-ს-01-39 – თიხის ჭურჭლის ძირისა და კედლის ფრაგმენტები (10 ც.). სადღვებელი (?). დამზადებულია მცირემინარევებიანი, განლექილი თიხისგან. გამომწვარია არათანაბრად. მას გლუვი, გაპრიალებული ზედაპირი აქვს. ძირიდან 1 სმ-ის დაშორებით აქვს გადმოსაღვრელი. შემორჩენილი სიმაღლეა 36 სმ., მუცლის დმ. – 63 სმ., ძირის დმ. – 18 სმ., კეცის სისქეა 1,5 სმ. ნაწილობრივ აღდგენილია (ტაბ. $VII_1$).

10-ნ-ს-01-40 – დერგის პირისა და კედლის ფრაგმენტები (13 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი მცირემინარევებიანი თიხისგან. აქვს ბრტყელი პირი, მოკლე ყელი და გამობერილი, მრგვალი მუცელი. ყელთან შემოუყვება თოკისებრი ორნამენტი, ხოლო კედელზე დაბალი, რელიეფური სარტყლები, რომელთა შორის მანძილი არათანაბარია. ქობის სიგანეა – 1,5 სმ. თოკისებური ორნამენტიდან პირველი სარტყელი აშორებულია 11 სმ-ით, შემდეგი სარტყლები შესაბამისად – 7 და 8 სმ-ით. კეცის სისქეა 1,5 სმ. (ტაბ. $VII_2$).

10-ნ-ს-01-41 – ქვევრის კედლის ფრაგმენტები (7 ც.), დამზადებულია მოწითალოდ გამომწვარი მინარევებიანი თიხისგან. სადა ზედაპირიანია. კეცის სისქეა 1,5 სმ. ნაწილობრივ აღდგენილია. ცეცხლშია მოხვედრილი.

10-ნ-ს-01-42 – თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი, დამზადებულია მუქ ნაცრისფრად გამომწვარი თიხისგან. კეცის სისქეა 0,6 სმ (ტაბ. VI).

10-ნ-ს-01-43 – სალესი ქვა. ხმარებისგან გაცვეთილია. შემორჩენილი სიგრძეა 11 სმ., სიგანე 1 სმ. (ტაბ. $VI_9$).

10-ნ-ს-01-44 – თიხის ჭურჭლის კედლის ნატეხები (2 ც.), დამზადებულია მოვარდისფროდ, თანაბრად გამომწვარი თიხისგან. კეცის სისქეა 0,6 სმ.

10-ნ-ს-01-45 – დერგის კედლის ფრაგმენტები (2 ც.), დამზადებულია მოყავისფროდ, თანაბრად გამომწვარი, მცირე მინარევებიანი თიხისგან. კეცის სისქეა 1,5 სმ.

10-ნ-ს-01-46 – ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი, დამზადებულია საუკეთესოდ განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან. ზედაპირი გაპრიალებულია და შეღებილია მუქი წითელი საღებავით. კეცის სისქეა 1,6 სმ (მსგავსია ტაბ. $VII_6$-ისა).

10-ნ-ს-01-47 – მრგვალი კრამიტის ფრაგმენტი. დამზადებულია საუკეთესოდ განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისგან, ზედაპირი გაპრიალებულია. შეღებილია მუქი წითელი საღებავით. აქვს ქიმი და პირის ნაწილი. პირის სიგანეა 0,7 სმ., კეცის სისქე 1,6 სმ. (მსგავსია ტაბ. $IV_7$-ისა).

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – გრაკლიანი გორა. უკიდურესი აღმოსავლეთი ბორცვი. კოშკის ფრაგმენტი. ქვაყრილები, კრამიტყრილი.

ტაბ. II – ზედა ტერასაზე გავლებული თხრილი.

ტაბ. III – ზედა ტერასა. ნაგებობათა ნაშთები.

ტაბ. IV-VII – გრაკლიან გორაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა

## ლიტერატურა


**1. მოქცევაჲ ქართლისაჲ,** ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, თბ., 1964.

**2. ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

**3. მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები). – ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. II.

ტაბ. I






თხრილი № 2 (A)



## ტაბ. III

თხრილი № 2 (C)






ჭრილი 1 - 1


1
2
0 2 4 6
4
3
0 3 6 9
5
6
7
8
10
0 2 4 6
11
0 4 8
0 1 2

# ტაბ. V




0 1 2 3
1
2
0 3 6 9
3
4
0 4 8
5
6
0 2 4 6
7
8
0 6 12
9
0 1 2 3
10

# ტაბ. VII



გიორგი მინდიაშვილი, ბიძინა მურვანიძე, ალექსანდრე რამიშვილი, გურამ ჩიქოვანი

# არქეოლოგიური გათხრები (ძეგლები) დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის 143-ე კილომეტრზე

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გორის რაიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2002 წელს გათხრები აწარმოა ადგილ კვერცხეულაზე, სოფელ თედოწმინდასთან, სადაც მილსადენის მშენებლობის დროს 1998 წელს აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. მაშინ მილსადენის ტრანშეაში კარგად ჩანდა 7 და 4 მეტრის სიგრძის, 0,8 მეტრამდე სიმაღლის, ნაცრიან-მურიანი შევსების მქონე ნაგებობათა ნაშთები; მიმდებარე ტერიტორიაზე კი შესაბამისი პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები იკრიფებოდა.



სურ. 1

2002 წლის ოქტომბერში, ძეგლის ტოპოგეგმის გადაღების და ფიქსაციის სისტემის აგების შემდეგ, სასინჯი თხრილების გაკეთება დავიწყეთ ძეგლის იმ ნაწილზე, რომელსაც შემდგომში IA და IB უბანი ვუწოდეთ (სურ. 1, ტაბ. $I_{1-2}$). გათხრების დაწყებასთან ერთად დაიზვერა მიმდებარე ტერიტორია, რამაც საშუალება მოგვცა II უბანზე, ნასოფლარის NW მხარეს აღმოგვეჩინა მცირე ზომის გორასამარხებისაგან შედგენილი სამაროვანი, რომელიც ზედაპირზე ქვაყრილის შემცველი დაბალი ბორცვებით არის წარმოდგენილი და ბალახის განსხვავებული საფარითაც გამოირჩევა. ადვილი შესაძლებელია, ამ ადგილის სახელიც „კვერცხეულა," ვერცხლისფერი ბალახით (აბზინდა) დაფარული ამ ბორცვებიდან მომდინარეობდეს.

არქეოლოგიური ძეგლი თედოწმინდა (კვერცხეულა), რომელიც მილსადენის 143-ე (აზერბაიჯანის საზღვრიდან) კილომეტრზე მდებარეობს, სოფლებს თედოწმინდასა და ახალდაბას შორისაა მოქცეული, მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეს, სუსტად დაქანებულ, ტერასული ტიპის, NO ექსპოზიციის ფერდობზე; სამაროვანი კი, რომელიც ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და მდინარე ლიახვს გადაჰყურებს. ექსპედიციამ მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვისას სოფ. ახალდაბის სამხრეთით აგრეთვე დააფიქსირა მდინარე ლიახვიდან მოტანილი საშუალო და დიდი ზომის რიყის ქვების კონცენტრაცია, რამაც, კრამიტისა და ქვევრის ნატეხების აღმოჩენასთან ერთად საფუძველი მოგვცა აქ ადრეული შუასაუკუნეების დროინდელი დიდი ნაგებობის არსებობა დაგვეშვა.

კვერცხეულაზე, თხრილებისათვის ადგილის შერჩევისას, მიწის ზედაპირზე არქეოლოგიური მასალისა და რიყის ქვების კონცენტრაციით ვიხელმძღვანელეთ. მთლიანობაში, ძეგლის ორივე უბანზე, გავლებულ იქნა 16 თხრილი, რომელთაგან 14 – I უბანზე (№№ 1-3, 6-13d), მცირე ზომის 5×1×0,5 მ სასინჯი თხრილები დაკონსერვდა. № 1 თხრილი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყორღანული სამარხის დაზიანებულ ქვაყრილსა და დასაკრძალავ ორმოზე მოხვდა, № 2-ს მასალა არ მოუცია, № 3 – ნამოსახლარის კულტურულ ფენას დაემთხვა, რომელიც ნაგებობის ნაშთებს შეიცავდა. II უბანზე, გასათხრელი ბორცვების სიდიდის შესაბამისად, გაკეთდა სხვადასხვა ზომის № 4 და № 5 თხრილი, რამაც ნამოსახლარის თანადროული ორი გორასამარხი გამოავლინა.

თხრილი № 1 (I უბანი, A ფართობი, კვადრატები 1-4/5, 1-5/5, 2-3/1-3/2, 2-4/1-4/3, 2-5/1-5/4, 8-1/5, 9-1/1-1/4, 8-2/5, 9-2/1-2/4, 9-2/5, 10-2/1, 9-3/2) სამუშაოების დამთავრებისას მოიცავდა დაახლოებით 100 $მ^2$ ფართობზე განფენილ ყორღანული სამარხის ქვაყრილს (ტაბ. $II_{1-2}$).

იგი წარმოადგენს ძლიერ დეფორმირებული ყორღანის ქვამიწის ყრილის ნაშთს, რომელიც შეიცავს საშუალო და დიდი ზომის (0,5×0,3 მ) რიყის ქვებს, რომლებიც, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ადგილზევე უნდა იყოს მოპოვებული და არ არის ამოტანილი მდ. ლიახვის სანაპიროდან. ყრილი, რომელიც დაახლოებით 100 $მ^2$ ფართობის მქონე თხრილში გაიწმინდა, არათანაბარი სისქით და ხარვეზებით ხასიათდება. ამ ხარვეზებიდან ერთ-ერთში, რომელიც ოვალური მოყვანილობის ჩაღრმავებას წარმოადგენდა (კვ. 9-1/1) აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი ერთ ადგილზე ჩამტვრეული მოზრდილი თიხის ჭურჭელი (სურ. 7). SSW-დან NNO-კენ მიმართული ეს ჩაღრმავება (2×0,75 მ), თიხის ჭურჭელთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მასში ადამიანის ძვლები არ აღმოჩენილა, სამარხის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს, იგი ნამოსახლარის თანადროულია და ძვ.წ. XII საუკუნით შეიძლება

დათარიღდეს. ყორღანის ქვაყრილის გაწმენდის დროს, ასევე მის გარეთ, № 1 თხრილის მთელ ფართობზე სხვადასხვა სიხშირით გვხვდებოდა ნამოსახლარისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებსაც ყორღანულ სამარხთან არაფერი საერთო არ გააჩნიათ, მაგრამ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ № 1 თხრილის ფარგლებში ნამოსახლარისათვის დამახასიათებელი კულტურული ფენაც არ აღმოჩენილა.



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ქვაყრილის იმ ხარვეზის გაწმენდამ, რომელიც 2-5/3, 2-5/4, 9-1/3, 9-1/4 კვადრატებს მოიცავდა, გამოავლინა ყორღანის დასაკრძალავი ორმო. ორმოს შევსების ხასიათზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ის სამარხის გადახურვაზე აღმართული ყრილის ორმოში ერთბაშად ჩაქცევის შედეგად უნდა გაჩენილიყო (სურ. 2-3, ტაბ. II). ხოლო ორმოს გადახურვა, მიუხედავად იმისა რომ ხის კონსტრუქციის ნაწილები არ გამოვლენილა, ეტყობა მაინც ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რადგან ჩაქცეული ქვაყრილი სამარხი ორმოს ნაპირებს ჩასდევდა ფსკერამდე, შუა ნაწილი კი, როგორც ჩანს, მოგვიანებით მიწით იყო შევსებული. სამარხი ორმოს ზომები, მისი ამოწმენდის შემდეგ 3,35 ×3×2,15 მეტრი აღმოჩნდა. იგი სიგრძით მიმართული იყო თითქმის ზუსტად აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ორმოს სიღრმე – 2,15 მეტრი, დაფიქსირდა მისი სამხრეთი კედლის პირიდან ძირამდე, თუმცა, ფსკერი არ იყო სწორი. გარდა იმ ჩაღრმავებებისა, რომელიც ფსკერზე რიყის ქვებმა დატოვეს, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ, მათგან 50-60 სმ-ის დაშორებით ამოღებული იყო რკალური ძირის მქონე ოთხი ორმო. ამ ორმოების გაწმენდისას გამოვლენილმა ხის მურმა და ყავისფერი ორგანული ბოჭკოს ნაშთებმა დაგვარწმუნა, რომ ეს ორმოები საგანგებოდ ოთხთვალა ეტლის ბორბლებისთვის ყოფილა ამოღებული (სურ. 4, ტაბ. III). მოყავისფრო ლაქები ორმოს ფსკერზე, პარალელურ ბორბლებს შორის მოქცეულ შემაღლებულ ნაწილზეც შეიმჩნეოდა, თუმცა, ამ შემთხვევაში მათი წარმომავლობის დადგენა უფრო ძნელია, რადგან მათი გაჩენა შეიძლება ტყავის სამოსელსაც მიეწეროს და ხის ეტლის სხვა დეტალსაც. ამგვარი დეტალი შესაძლოა ხის ძარაც ყოფილიყო, რომელზეც მიცვალებული იქნებოდა დასვენებული. მიცვალებულის ძვლები სამარხი ორმოს ჩრდილოეთ ნახევარში გაიწმინდა. ისინი კონცენტრირებული აღმოჩნდა ბორბლებს შორის, მაგრამ ჩონჩხის ანატომიური მდგომარეობა დარღვეული იყო. თავის ქალა NW ბორბლის ორმოში აღმოჩნდა ქვედა ყბისგან დაშორებით ჩავარდნილი, ეს უკანასკნელი კი ცენტრალურ შემაღლებასთან ახლოს, შეიძლება ითქვას მის კიდესთან გაიწმინდა, ისე რომ თავის ქალა ბორბლის ორმოში ხის სარეცლიდან (თუ ეტლის ძირიდან) უნდა გადაგორებულიყო და თანაც, ეტყობა, გადახურვის ჩამონგრევამდე საკმაო ხნით ადრე, ვინაიდან იმ მომენტისათვის ბორბლის ორმოც ჯერ კიდევ ცარიელი იყო და თავის ქალასაც არ ეტყობა ისეთი დაზიანების კვალი, როგორსაც მასზე უშუალოდ გადახურვის დაცემა გამოიწვევდა. ადამიანის ჩონჩხის გადარჩენილი ნაწილების მიხედვით, მიცვალებული მარცხენა გვერდზე უნდა ყოფილიყო ხელ-ფეხ მოხრილ პოზაში დაკრძალული, თავით დასავლეთისკენ (სურ. 4, ტაბ. $III_2$). სავარაუდოდ მიცვალებულის მუხლებთან გაიწმინდა ძვლის ისრისპირი და ირმის რქის გახვრეტილი ტოტი, რომელიც შესაძლოა ავგაროზი იყო; უფრო აღმოსავლეთით, NO ბორბლის ორმოს კიდესთან, ფსკერის

ცენტრალურ შემაღლებაზე, ცხოველის ხერხემლის ფრაგმენტზე აღმოჩნდა ორმხრივლესილი, ბრტყელყუნწიანი ბრინჯაოს[1] სატევარი, რომელსაც ვადაზე ეტყობა ტარის კვალი. იქვე, ფსკერის აღმოსავლეთ ბოლოზე, ბორბლებს შორის შემაღლებაზე გამოვლინდა ერთ ადგილზე ჩამტვრეული, შავპრიალა, ცალყურა, ამოკაწვრით ორნამენტირებული და „მხარზე“ გარდატეხის საფეხურის მქონე თიხის მსხლისებური ჭურჭელი (სურ. 5). თიხის ამ ერთადერთი ჭურჭლიდან NW-კენ 37 სმ-ზე გაიწმინდა ბრინჯაოსგან დამზადებული, პირამიდულწვერიანი, ოთხწახნაგა ისრის პირი. ბოლო ბრინჯაოს ნივთი, რომელიც სამარხში აღმოჩნდა სატარე ყუნწის მქონე დანა იყო, იგი სამხრეთ კედელთან ამოღებულ, ბორბლების ორმოებს შორის გაიწმინდა, ცენტრალური შემაღლების ძირში (სურ. 6).



სურ. 5

სამარხი ორმოს ნაპირების საგულდაგულო შესწავლამ იქ მძარცველების ხვრელის ნიშნები არ გამოავლინა. მიუხედავად ამისა, ეტლის თვლებს შორის მოქცეული სამარხის იატაკის ცენტრალური, შემაღლებული ნაწილის სიცარიელე ერთგვარ ეჭვს მაინც აღგვიძრავს, ვინაიდან ნივთების ნაწილი და მიცვალებულის ძვლები მის გარეთ აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ეჭვს მხოლოდ საქონლის ხერხემლის ძვლებთან აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრისა და ერთადერთი თიხის ჭურჭლის ადგილმდებარეობა არ იწვევს, ვინაიდან ამ უკანასკნელის ძირს საკმაოდ კარგი ანაბეჭდიც ჰქონდა იატაკზე და მისი ნატეხებიც უკლებლივ ერთ ადგილას გაიწმინდა.



სურ. 6



სურ. 7

ამრიგად, თუ ჩვენს მიერ თედოწმინდის I A უბანზე, № 1 თხრილში მუშაობით მიღებულ ინ-

[1] ლითონის ქიმიური შედგენილობა ჯერ განსაზღვრული არ არის.

ფორმაციას შევაჯამებთ შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ადრეული ყორღანების ტიპის დაზიანებულ სამარხთან, რომლის ყრილიც ძლიერ არის დეფორმირებული და დაშლილი. მასში მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი 1000-1200 წლის შემდეგ, ანუ გვიან ბრინჯაოს ხანაში, როდესაც აქვე, გვერდით, ხალხი დასახლებულა, ამოუღიათ ოვალური მოყვანილობის არც თუ ღრმა ორმო და შიგ მოუთავსებიათ (დაუფლავთ) საშუალო ზომის, ნაცრისფრად გამომწვარი თიხის დერგი (სურ. 7), რაც შესაძლოა მიცვალებულის გარეშე სამარხის გაკეთების წესთან იყოს დაკავშირებული. № 1 თხრილის მთელ ფართობზე, გარდა ამ ჩაშვებული სამარხისა, ქვაყრილის გაწმენდისას სხვადასხვა სიხშირით თავს იჩენდა გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მაგრამ ისინი არ შეგვხვედრია ყორღანის ძირითადი სამარხი ორმოს შევსებაში. ყორღანის ძირითადი სამარხის ორმო (3,35×3×2,15 მ) ამოღებული ყოფილა მოყვითალო ფერის თიხნარ დედაქანში, რომლის ამოყრილი ნაწილიც შეიმჩნეოდა ორმოს ნაპირებზე, ქვაყრილის ქვების ქვეშ. დაკრძალვის წესი ინჰუმაციურია, რიტუალში გამოყენებული ყოფილა ოთხთვალა ხის ეტლი, რომლის ბორბლებისთვისაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ძირში ამოუღიათ ორმოები; მიცვალებული დაკრძალული ყოფილა თავით დასავლეთისკენ, მარცხენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი, ურმის ბორბლებს შორის მოქცეულ ბაქანზე, რომელზეც შესაძლოა სარეცელი, ან ურმის ძარა ყოფილიყო, თუმცა მათი კვალი სამარხში არ დადასტურდა. ზემოთ აღწერილი ნივთებისა და მიცვალებულის ორმოში მოთავსების შემდეგ, ორმო ხის ძელებით უნდა გადაეხურათ და ზედ ქვამიწის ყრილი აღემართათ.

როგორც სამარხის აღწერისას აღვნიშნეთ, დასაკრძალავი ეტლის NW ბორბლის ორმოში გაიწმინდა საკმაოდ კარგად შემონახული მიცვალებულის თავის ქალა, რომელიც აღადგინა და შეისწავლა ანთროპოლოგმა ვლ. ასლანიშვილმა.[2] მისი მონაცემებით, თავის ქალა ეკუთვნის 45-50 წლის ხეიბარ მამაკაცს, რომელიც ჩონჩხის ზომების მიხედვით დაახლოებით 166 სმ., ანუ საშუალო სიმაღლისა ყოფილა, საერთო ტიპოლოგიით კი მეზოკრანულია და კავკასიურ-ევრო-მონგოლოიდური ნიშნების მქონე. თავის ქალას არც ერთი კბილი არ აკლია, ანუ ოცდათორმეტივე ადგილზეა; თავის ქალაზე და ჩონჩხისაგან შემორჩენილ ძვლებზე შეინიშნება ხანგრძლივი დაავადების ძლიერ გამოხატული ნიშნები, რომელთა მიზეზის დადგენა საგანგებო შესწავლას საჭიროებს. სავარაუდოა, რომ ამ ინდივიდს საკმაოდ უჭირდა მოძრაობა და შესაძლოა მისი სიკვდილი ძვლებზე ასახულ დაავადებებს გამოეწვიათ.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის აგებულება, ანუ მისი ყორღანული ხასიათი, დასაკრძალავი ორმოს ზომები, დაკრძალვის რიტუალი: ოთხთვალა ეტლი, ბრინჯაოსა და ძვლის ნივთების განსაკუთრებული ხასიათი აშკარას ხდის, რომ დაკრძალული საზოგადოების საკმაოდ მაღალ ფენას ეკუთვნოდა.

თედოწმინდის ყორღანში აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ითქვას, რომ დაკრძალვის რიტუალი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულსა და შუაბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე უნდა შეესრულებინათ; ანუ მაშინ, როდესაც ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ადგილი ჰქონდა კულტურული და სოციალური ტრანსფორმაციის ძლავრ პროცესს, რასაც შედეგად მოსდევს დიდი ზომის ინდივიდუალური ყორღანული სამარხების აგების წესის ჩამოყალიბება.

შედარებით რთულადაა ამ ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრის საქმე. თუ ტრადიციული, შედარებითი ქრონოლოგია მას ძვ.წ. XXIV-XXII სს. განსაზღვრავს [16, გვ. 74-75; 12, გვ. 150-152; 3, გვ. 95; 2, გვ. 133] და ამას კარგად ესადაგება რადიო-კარბონის შეუსწორებელი თარიღები, ამ უკანასკნელის კალიბრებული მნიშვნელობები – საგრძნობლად აძველებს მათ ასაკს და ძვ.წ. XXVIII-XXIV საუკუნეებს შორის ათავსებს [14, გვ. 107].

რაც შეეხება კონკრეტულად თედოწმინდის ყორღანული სამარხის კულტურულ-ქრონოლოგიურ ადგილს ამ ტიპის ძეგლებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის თავში მოიცავს შედარებით ადრეულად მიჩნეული ე.წ. მარტყოფული ეტაპისა და შედარებით გვიანდელად მიჩნეული ე.წ. ბედენური ყორღანებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ასე მაგალითად, თედოწმინდის ყორღანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთები თითქმის ზუსტ ანალოგიებს მარტყოფის მარტყოფულ ანუ ადრეულად მიჩნეულ უორმოო (№№ 1, 2, 4) ყორღანებში პოულობენ [12, სურ. 3, 5, 6, 7, 14]; სამარხისათვის ღრმა ორმოს ამოღება, შიგ დასაკრძალავი ოთხთვალა ეტლის ჩადგმა, ირმის რქის ავგაროზი და ძვლის ისრისპირი კი მას, მოგვიანოდ მიჩნეულ ხელთუბნის და წნორის ბედენური ტიპის ყორღანებთან აკავშირებს [17, გვ. 21-22; 13, გვ. 37-41, 50, ტაბ. XLV].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თედოწმინდის ყორღანი თავის თავში აერთიანებს კულტურულ-ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებულად მიჩნეულ ორი ჯგუფის ნიშნებს. მაგრამ, თუ კულტურულად განსხვავებული ნიშნების ერთად აღმოჩენა შესაძლოა აიხსნას ამ კულტურათა საკონტაქტო ზოლში შეხვედრით, სხვადასხვა დროის ნიშნების ერთად აღმოჩენა, უფრო ძნელი ასახსნელი იქნება, თუ არ დავუშვებთ რაღაც ეტაპზე მათ თანაარსებობას.

[2] დიდ მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ ვლ. ასლანიშვილს ოპერატიულად მოწოდებული ინფორმაციისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ შიდა ქართლში (მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის რ-ბი) ხშირია მარტყოფული და ბედენური ყორღანებისათვის დამახასიათებელი მასალის ერთად, ერთ ძეგლზე აღმოჩენის შემთხვევები. ახალდაბის ჩვენს მიერ გათხრილი ყორღანის გარდა, ასეთად უნდა ჩაითვალოს ხელთუბნის № 2 [18, გვ. 36-37] და ხოვლეს ყორღანი [12, გვ. 148-149]. ამ უკანასკნელში იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ძირითადი № 2 სამარხი მოგვიანოდ მიჩნეული ბედენური მასალით აღმოჩნდა დაკომპლექტებული, მის ზემოთ არსებული № 1 სამარხი კი – „უფრო ადრეული" მარტყოფული თიხის ჭურჭლით. ამასთან ერთად, შიდა ქართლშივე, ხაშურის რაიონში, სოფ. ნაცარგორასთან არსებულ ამავე სახელწოდების ნამოსახლარზე, ერთ სამშენებლო დონეზე გაწმენდილ ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსულ მასალასთან ერთად გაიწმინდა ბედენური კერამიკა [19, გვ. 24; 9, გვ. 3], ხოლო კასპის რაიონში, ციხიაგორის ნამოსახლარზე – ფინალური მტკვარ-არაქსული მასალის შემცველ დონეებში აღმოჩნდა ადრეყორღანული ეტაპის როგორც მარტყოფული, ისე ბედენური თიხის ჭურჭელი [6, გვ. 53, 55-64].

მოტანილი ფაქტები გვიჩვენებს, რომ ადრეყორღანულ ეტაპში გაერთიანებული მარტყოფული და ბედენური სამარხეული კომპლექსების ქრონოლოგიურ რიგში განლაგება ჯერ კიდევ ბევრ წინააღმდეგობას აწყდება, რაც გვაიძულებს მათი შექმნის დრო ისევ ზოგადად ძვ.წ. XXIV-XX სს. განვსაზღვროთ. მეტი სიცხადის შეტანა ამ საკითხში არც რადიონახშირბადის თარიღების გამოყენებით ხერხდება, რადგან მარტყოფული ტიპის ყორღანებიდან მხოლოდ მარტყოფის № 4 ყორღანის თარიღები გვაქვს: GX-9252: ძვ.წ. 2083±155, კალიბრებით 2688±482, LE-2198: ძვ.წ. 1690±40, კალიბრებით 2098±307, TB-325: ძვ.წ. 2180±80, კალიბრებით 2617±333 [12, გვ. 150], რომლებიც ბედენური ყორღანებიდან ყველაზე ადრეული, წნორის № 1 ყორღანის ასაკის (TB-243: ძვ.წ. 2155±50, კალიბრებით 2584±337, UGLA-?: ძვ.წ. 2170±50/90, კალიბრებით 2768±319 წწ.) [10, გვ. 107, 109] ფონზე ამ ორი ჯგუფის თანადროულობაზე უფრო მიგვითითებს, ვიდრე მათ ასაკს შორის განსხვავებაზე. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რადიონახშირბადული თარიღების მცირე რაოდენობა საგრძნობლად აქვეითებს მათ მიმართ ნდობას.

### თედოწმინდის ყორღანში (I A უბანი) აღმოჩენილი ნივთების აღწერა:

ბრინჯაოს სატევარი № გ.02.3060 (ილ. სურ. $6_1$). სიგრძე: საერთო 134 მმ; სატარე ნაწილის – 45 მმ. სიგანე: მაქსიმალური, პირის – 44 მმ. (მხრებთან); სატარე ყუნწის – 7 მმ. (საშუალო); სისქე: მაქსიმალური, სატარე ყუნწის – 3 მმ.

სატარე ნაწილზე, პირთან ახლოს აქვს ჭედვის შედეგად გაჩენილი სამკუთხა ჩაღრმავება. პირის ნაწილზე ასევე ეტყობა ჭედვისას გაჩენილი 2 ნაკეცი (ნაოჭი). პირთან ეტყობა ტარის ხაზი. პირი გლუვზედაპირიანი, პატინირებული, შუა ნაწილზე ეტყობა ქედისებური სუსტი შესქელება; ორლესულია; მექანიკური გაწმენდის შემდეგ დადგინდა, რომ პირის კიდეები ორმხრივ გაჭედვით აქვს გამოწკეპილი-გალესილი, წვერი წაწვეტებული.

სატარე ყუნწი ბრტყელი, ბოლოში გათხელებული, პირთან – სქელი (3 მმ.).

ბრინჯაოს დანა № გ.02.3061 (სურ. $6_2$). ბრტყელი, ჭედვით დამუშავებული; ბრტყელი სატარე ყუნწით, ცალპირლესილი. გალესილია ჭედვით, ორივე მხრიდან. წვერი მომრგვალებული; ყუნწი ბოლოში გათხელებული. სიგრძე საერთო – 102 მმ, ყუნწის – 32 მმ. სიგანე: პირისა ტართან – 24 მმ, ყუნწის – 5 მმ; სისქე – 2 მმ.

ბრინჯაოს ისრისპირი № გ.02.3061a (სურ. $6_3$). ოთხწახნაგა, პირამიდულთავიანი, ბოლოში დამრგვალებული და წაწვეტებული ყუნწით; ჭედვით დამზადებული. სიგრძე – საერთო 55 მმ, თავის – 16 მმ; სიგანე – მაქსიმალური – 4,5 მმ.

ძვლის ისრისპირი № გ.02.3062 (სურ. $6_4$). კონუსური, უხეშად გათლილი, გამოკვეთილი თავით და ყუნწით, განივკვეთაში მრგვალი. სიგრძე: საერთო – 45 მმ, თავის – 15 მმ; სისქე – 8 მმ.

ირმის[3] რქის ტოტის ავგაროზი № გ.02.3431 (სურ. $6_5$). ძირთან გახვრეტილია ორმხრივი ამოკვეთით (ამოთლით). სიგრძე – 175 მმ, სისქე ძირთან – 25 მმ.

თიხის ჭურჭელი – დერგი № გ.02.3059 (სურ. 5). შავპრიალა ზედაპირით და ლეგა-მოყავისფრო შიდაპირით. ბიკონუსური ტანით, მკვეთრად გაზიდული მუცლით, ვიწრო, ბრტყელი ძირით და გადაშლილი პირით, ყელიდან მუცელზე მიძერწილი ზურგჩაზნექილი ლენტური ყურით. მხარი მოცემულია მუცელზე საფეხურისებური გადასვლით; ყელზე, ყურის ზემოდან, შემოსდევს გრავირებით დატანილი დაშტრიხული მცირე სამკუთხედების სარტყელი; მხარზე – დაშტრიხული მცირე სამკუთხედების ჯგუფები (ოთხ-ოთხი), მუცელზე – გრავირებული პარალელური ხაზების კონით შესრულებული ფართო ტეხილი ზოლი; სიმაღლეა – 33 სმ; დიამეტრი: პირის – 17,5, მუცლის – 36, ძირის – 8 სმ; კედლის სისქე – 0,8 სმ.

[3] ნივთის დასამზადებლად გამოყენებული მასალა ჩვენს მიერაა განსაზღვრული და წინასწარულ ხასიათს ატარებს.

## გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი

შემდეგი პერიოდი, რომელიც მილსადენის 143-ე კმ-ზე, სოფელ თედოწმინდასთან დადასტურდა, არის ნასოფლარის სახით წარმოდგენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. სწორედ ამ ნამოსახლარის მილსადენით გადაკვეთისას მოხერხდა აქ არქეოლოგიური ძეგლის დაფიქსირება. მილსადენისათვის გათხრილი არხის კედელში 1998 წელს კარგად ჩანდა სათავსოთა ნაცარ-მურიანი პროფილები, რომლებიც გამოჩენას იწყებდნენ მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე და ჩადიოდნენ 1,2 მეტრამდე. გარდა ტრანშეის ჭრილისა, ნამოსახლარის ნაშთი, იატაკის დონეზე გაწმენდილი თიხის ჭურჭლებით, დაფიქსირდა მშენებლობისათვის აღებული კორდოვანი ფენის ქვეშაც.



სურ. 8

ჩვენს მიერ № 3 თხრილისთვის შერჩეული ადგილი მდებარეობს IB უბნის 15 და 22 კვადრატებში. მან დაახლოებით 65 მ$^2$ ფართობი შეადგინა. კულტურული ნაშთები ამ თხრილში საკმაოდ დაზიანებული აღმოჩნდა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში მოხერხდა (მურისა და ნახშირის შემცველ შენობის იატაკის დონეზე) თავდაპირველ ადგილზე დაგვეფიქსირებინა როგორც კონსტრუქციული დეტალები, ისე თიხის ჭურჭლები, რომლებიც ერთ ადგილზე იყო ჩამტვრეული (ტაბ. I$_ს$, IV, V, სურ. 8). მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობის კედლის ძირების დაფიქსირება ამჯერად ვერ მოხერხდა, აშკარაა, რომ საქმე გვაქვს წნულით (ლასტით) ნაგებ და თიხით შელესილ შენობებთან, რომლებიც ხანძრით არის განადგურებული. შენების ტექნიკასა და ხანძრით ნაგებობის დანგრევაზე მიგვითითებს წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშების აღმოჩენა, რომლებიც ცეცხლით არიან გამომწვარი. თიხა კი, რომლითაც შენობათა წნული კედლები თუ სხვა დეტალები ყოფილა შელესილი ჭარბად შეიცავდა დაკეპილ ბალახსა თუ ნამჯას.

№ 3 თხრილში შედარებით უკეთ იყო გადარჩენილი რიყის საშუალო და წვრილი ქვებით გაკეთებული მცირედ შემაღლებული ბაქნები, რომელთა ფუნქცია დამატებით შესწავლას საჭიროებს, რადგან არ არის გამორიცხული მათი როგორც ყოფითი, ისე საკულტო დანიშნულება. ერთ ასეთ „ბაქანთან“ გაიწმინდა ბრტყელი რიყის ქვების გვერდზე დაყენებით შედგენილი რკალური სანაცრე (?) (ტაბ. IV სურ. 8).

ნამოსახლარის გავრცელების საზღვრების დადგენისათვის I უბანზე გავლებულმა №№6-13d საძიებო თხრილებმა, რომელთაც სტანდარტული 5×1×0,5 მეტრი ზომა ჰქონდათ, საშუალება მოგვცეს დაგვედგინა, რომ კულტურული ფენა დასავლეთით, ყორღანის (№ 1 თხრილი) იქით აღარ ვრცელდება. მილსადენიდან 6-7 მეტრით ჩრდილოეთისკენ კი იგი, როგორც ჩანს მშენებლობის დროს დაყრილი მიწით უფრო ღრმად არის დამარხული. ნამოსახლარის კულტურული ფენა გამოვლინდა №№ 6, 6$^1$, 12 და 13c, d თხრილებში. № 6 თხრილი ნამოსახლარის აღმოსავლეთ საზღვართან გავავლეთ, № 12 – დასავლეთ ნაპირთან – ყორღანის ყრილის გვერდით. მიუხედავად იმისა, რომ თხრილებში აღმოჩენილი კულტურული ფენა ნაცრიანია, იგი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ხანძარი, რომლის კვალიც № 3 თხრილში აშკარაა, მთელი ნამოსახლარის ხანძრად წარმოვიდგინოთ. ყოველ შემთხვევაში, შესწავლის ამ ეტაპზე ამის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება ნამოსახლარის სტრატიგრაფიას, ჩვენს მიერ გავლებული ყველა (და არა მხოლოდ № 3 თხრილის მონაცემები), საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნამოსახლარი წარმოდგენილია ერთი დროის, ერთი სამშენებლო დონით (ტაბ. V). როგორც მილსადენის ტრანშეაში დაფიქსირებულ ნაგებობათა ნაშთები გვიჩვენებს, სოფელი შედგებოდა 7 და 4 მეტრი სიგრძის ნაგებობებისაგან. ზოგი მათგანი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ფერდობზე შენდებოდა, ნაწილობრივ მიწაში იყო შეჭრილი.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით – წნული და ტალახით შელესილი კედლებით ნაგებ სოფელს 50 წელზე მეტ ხანს არ უნდა ეარსებია. მითუმეტეს, რომ ხანძრის კვალის გამო, მტრის მიერ სოფლის განადგურებაც არ გამოირიცხება.

ნამოსახლარის შესწავლილ ფართობზე ძირითადი მონაპოვარია თიხის ჭურჭლის ნატეხები, მცირე რაოდენობით გვხვდება ობსიდიანისა და კაჟის იარაღები და დაუმუშავებელი ლამელა-ანატკეცები, ერთ ეგზემპლარად აღმოჩნდა ბრინჯაოს წვერგაბრტყელებული სადგისი, ოთხწახნაგოვანი ტანით (ტაბ. VI$_ბ$), ასევე მცირე რაოდენობითაა ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები.

თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთ ნაწილს ეტყობა ხანძარში მოხვედრის კვალი. ისინი ნამოსახლარის გათხრილ ფართობზე (№ 3 თხრილი) უსისტემოდ იყო მიმოფანტული, თუმცა ცალკეულ კვადრატებში გაწმენდილ იქნა ერთ

ადგილზე ჩამტვრეული ჭურჭლებიც და მოხერხდა მათი ნაწილობრივი აღდგენა (სურ. 9, ტაბ. VI-XIV).




სურ. 9

თიხის ჭურჭლის ნაწილობრივ აღდგენილი თუ მცირე ზომის ნატეხები ძირითადად მიეკუთვნება საშუალო და მცირე ზომის სამზარეულო და სუფრის ჭურჭელს. მცირე რაოდენობით გვხვდება ასევე დერგისა და სადღვებლის ნატეხებიც. ზოგ შემთხვევაში, ხანძარში მოხვედრის გამო, ჭირს ჭურჭლის ნატეხების პირვანდელი ფერის დადგენა, მაგრამ მათი უმრავლესობა მიეკუთვნება შავ, მოშავო და მოჩალისფრო ჭურჭლებს. ისინი გამომწვარია შედარებით კარგად, თიხაში შესამჩნევი რაოდენობის არაორგანული მინარევებით. გვხვდება როგორც სქელი, საშუალო ისე თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები. მათ უმრავლესობას ზედაპირი მოგლუვებული ან ნაპრიალები აქვს.

ნაწილობრივ აღდგენილი თუ ცალკეული პროფილირებული ნატეხების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ქვაბ-ქოთნები, ქილები, ჯამები, ლანგრები, სასმისები და ხუფები.

პირ-გვერდის, ძირ-გვერდისა და ყელ-გვერდის ნატეხების მიხედვით მათ უნდა ჰქონოდათ საშუალო და მაღალი ცილინდრული ყელი, მოყრილი, გადაშლილი ან გადმოკეცილი პირი; დერგებს, ქვაბ-ქოთნებს და ქილებს – გამობერილი მუცელი, ყელიდან მხარზე ირიბი გადასვლის კვალით და ბრტყელი ძირით, ლანგრებს კი – დაბალი და მკვეთრად პროფილირებული ტანი აქვთ, კალთაზე ტეხილი გადასვლით, რომელიც ძირისკენ მკვეთრად შევიწროებულია.

ძირ-გვერდის ნატეხების ნაწილს ბრტყელი, მრგვალი ძირი აქვთ, ნაწილს ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ქუსლი. აღსანიშნავია, ძირ-გვერდის ორი ნატეხი, რომელთაგან ერთს ბრტყელი, განზე მკვეთრად განზიდული ქუსლი აქვს, მეორეს კი ვიწრო, წვეტიანი ძირი (ილ. №№ 29, 30). ჭურჭლის ყურები უმთავრესად მიძერწილია ყელსა და მხარზე; გვხვდება სადა, მრგვალგანივკვეთიანი ან ოდნავ გვერდებდაწახნაგებული ყურები, ხშირია სტილიზებული ზოომორფული ყურები (ილ. № $21_{3, 4}$, № 22, № $23_{9}$). თიხის ჭურჭლების ერთი ნაწილის ზედაპირი სადა და უორნამენტოა, ხოლო მეორე ნაწილს, ძირითადად ყელსა და კორპუსის ზედა ნაწილში ამოკაწვრის, დაჭდევის, ამოღარვის, წნევის და გაპრიალების ტექნიკით დატანილი აქვს სხვადასხვა სახის ორნამენტი (ილ. № 26-28). რამდენიმე ძირ-გვერდის ნატეხს ძირის კიდეზე შემოუყვება ჭდეული ორნამენტი (ილ. № $29_{3, 4, 6}$; № $30_{3}$).

როგორც ზევით ითქვა, ნამოსახლარის NW მხარეს, უშუალოდ მის გაგრძელებაზე, II უბანზე აღმოჩენილი იქნა მცირე ზომის ყრილების მქონე გორა სამარხების[4] წყება. II უბანზე № 4 და № 5 თხრილებით შესწავლილ იქნა I და II გორასამარხი (ილ. № 3).

II უბნის № 4 თხრილში I გორასამარხის 14×12 მეტრზე ზომის ყრილის ოვალი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო წაგრძელებული. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ ბორცვის NW ნაწილში გამოიკვეთა მცირე ზომის ქვაყრილი ზომით 1,6 × 0,8 მ-ზე, რომლის უკიდურეს NW კუთხეში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი შავი ზედაპირის მქონე აგურისფრად გამომწვარი, შუა ბრინჯაოს ხანისეული იერის მქონე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. ქვაყრილის ირგვლივ გვხვდებოდა მიწასთან შერეული ქვაღორღი. ქვაყრილის ქვეშ გაიწმინდა ასევე ქვებით შევსებული წრიული, ქვევით შევიწროებული ორმო, რომლის დიამეტრიც და სიღრმეც 1,4 მეტრი აღმოჩნდა. სამარხის რაიმე ნიშანი (მასალა) ამ ორმოში არ შეგვხვედრია თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ იგი კენოტაფს ეკუთვნის. ბორცვის ცენტრალურ ნაწილში აღნიშნულის გარდა კიდევ ერთი დაზიანებული, მცირე, ამორფული ქვაყრილი გამომჟღავნდა, რომლის ქვეშაც გაიწმინდა მართკუთხა მოყვანილობის სამარხის ორმო (ილ. № 31) (1,92× 1,20 მ), სამარხი ორმოს ფსკერს, თავსა და ბოლოში სიგანეზე ამოჭრილი ჰქონდა თითო ღარი (ილ. № 32). ამრიგად, SW-NO ღერძზე მიმართული დასაკრძალავი ორმო გაჭრილია ყვითელი ფერის თიხა მიწაში და შევსებულია მუქი ყავისფერი ფხვიერი მიწითა და რიყის ქვებით.

[4] ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ პერიოდში გამოვლენილ ამ ტიპის სამარხებს ქვაწრიან და ქვაყრილიან სამარხებს უწოდებენ, მაგრამ იმის გამო, რომ მათი სამარხი ორმოების ზომების შეფარდება მათსავე ყრილებთან 1/3 და უფრო ნაკლებია, რის გამოც ისინი ყორღანის ჩვენეულ დეფინიციაში ექცევიან, ჩვენ ამ ფაქტის ხაზგასასმელად მათ მიმართ ვიყენებთ ტერმინ „გორასამარხს“ – რომელიც ყორღანის სინონიმია.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი – ჯამი და ბადია, 10 ცალი სარდიონის მძივი (ილ. № 33) და ბრინჯაოს რაღაც ნივთის (საკინძის?) ძალზე მცირე, ძლიერ დაჟანგული ფრაგმენტი. ორმოს ფსკერზე, იმ ღარებს შორის არსებული შემაღლება, რომლებიც შესაძლოა სარეცელის საყრდენებისთვის იყო გაკეთებული, დაფარული იყო 3-4 სმ სისქის ჩვენთვის უცნობი ბოჭკოვანი სტრუქტურის ნაცრისფერი მასალით (ნიმუში აღებულია). თიხის ჭურჭლები დაზიანებულია და ნაკლული. მიცვალებულის რაიმე კვალი სამარხში არ შეგვხვედრია. არ შეინიშნება არც ცეცხლის კვალი. თიხის ჭურჭლის მიხედვით ეს სამარხი ნამოსახლარის თანადროული უნდა იყოს და ძვ.წ. XII ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

II უბნის II გორასამარხი გაითხარა პირველისაგან სამხრეთ-დასავლეთით 40 მეტრის მოშორებით (თხრილი № 5). ის წარმოადგენს 10×9 მ დიამეტრის მცირე ბორცვს, რომელსაც ნაპირთან, მიწასთან შერეული წვრილი რიყის ქვების წრე შემოსდევს, ცენტრში კი თითქმის მხოლოდ საშუალო ზომის ქვის ყრილია გამართული, რაც შეეხება ცენტრსა და ნაპირის ქვაყრილს შორის მოქცეულ არეს, ის ღორღოვანია და ნაკლებად შეიცავდა საშუალო ზომის ქვებს (ილ. № 34).

ცენტრალური ქვაყრილი, რომელიც სამარხი ორმოს ოთხკუთხა მოყვანილობას იმეორებდა, უფრო დიდი ზომის ქვებისაგან შედგებოდა. სამარხი ორმოს ნაპირი გორასამარხის ყრილის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე გამოჩნდა. სამარხი ორმოს სამხრეთი კედლის თავზე გაიწმინდა მიცვალებულის ძვლები, რომლებიც ყოველთვის ანატომიური მიმდევრობით არ იყო განლაგებული და ორმოს ნაპირიდან ჩასდევდა სამარხის ფსკერისკენ დახრილ შევსებას (ილ. №№ 35-39).

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ქვაყრილის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე, სამარხი ორმოს სამხრეთ კიდესთან გაიწმინდა მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც უნდა ყოფილიყო დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, სამარხის გადახურვაზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით. გადახურვის ჩანგრევის შემდეგ კი ჩონჩხის ძვლები სამარხი ორმოს შევსებაში ჩაიშალა, ორმოს კედელსა და ქვიან შევსებას შორის. ისე რომ ეს ჩონჩხი ჩაშვებულ სამარხად ან თანადამარხვის შედეგადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუ ეს არეულობა სამარხის გაძარცვით არ არის გამოწვეული. ამ უკანასკნელ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ძირითადი სამარხის ფსკერზე სხვა მიცვალებულის არანაირი ნაშთი არ აღმოჩნდა. ფსკერზე გაიწმინდა ერთნაირი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამავე ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლენილ მცირე ორმოსამალავშიც, რომლის ზომებიც იყო 40 × 30 × 10 სმ. აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის (ილ. № 40) მიხედვით II გორასამარხიც I-ის მსგავსად ძვ.წ. XII ს-ით შეიძლება დათარიღდეს.



სურ. 10

თედოწმინდის-კვერცხეულას ნამოსახლარზე და გორასამარხებში მოპოვებულ მასალებს პარალელები ეძებნებათ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ ამ ხანის სამაროვნები და ცალკეული სამარხები უფრო მეტია შესწავლილი, ვიდრე ნამოსახლარები, ამიტომ კვერცხეულაზე ნამოსახლარისა და თანადროული გორასამარხების ერთად აღმოჩენა და შესწავლა ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

მოპოვებული თიხის ჭურჭლებიდან, რომელთა ნაწილობრივი აღდგენაც მოხერხდა, აღსანიშნავია ე.წ. უყელო პირმოყრილი ჭურჭლები. ნამოსახლარზე ორი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა, სამარხში – ერთი. გორასამარხში აღმოჩენილ პირმოყრილ ჭურჭელს მოყრილი პირი ხუთი ამოღარული ზოლით აქვს გამოყვანილი. მას ქვედა მეხუთე და მეოთხე ღარს შორის მდებარე ამობურცული ზოლი ირიბი ჭდეებით აქვს დაფარული, ყურის გაყოლებაზე კი რამდენიმე რიგად შემოსდევს ფრჩხილისებრი ორნამენტის კონცენტრული წრე. ორ ჭურჭელს შერჩენილი აქვს ორ-ორი ზოომორფული ყური, თუმცა ერთ მათგანს, განლაგების მიხედვით, შესაძლოა მესამე ასეთივე ყურიც ჰქონოდა (ილ. №№ 18, 19). მესამე ასეთივე ჭურჭლის ყელ-პირის მცირე ფრაგმენტს საყელოსებრი მოყრილი პირი აქვს, რომელიც მთლიანად „თევზიფხური“ ორნამენტითაა დაფარული. ასეთი ჭურჭლები მრავალ ძეგლზეა აღმოჩენილი, მათ შორის თრელის სამაროვანზე, სადაც პირმოყრილი ჭურჭლების მიხედვით გამოყოფენ სფერულმუცლიან, ან რამდენადმე ბიკონუსურ ტანიან ქუსლამოღარულ ან ბრტყელძირა, უყელო, შუისკენ შეზნექილი ორი, სამი, ოთხი ამოღარული ზოლით პირგამოყვანილ ჭურჭლებს, რომელთაგან ზოგი უყუროა, ზოგი – ორი ზოომორფული ყურით [4, გვ. 130]. თრელის სამაროვნის მკვლევართა აზრით პირმოყრილი ჭურჭლები აღმოჩენილია სამთავროს ორმოსამარხებში, ჩარდახში, კარსანში, ღრმაღელეში, ხოვლეგორის ნამოსახ-

ლარზე, ფლავისმანში, მადნისჭალაში, ბეშთაშენში, წოფში, ღრმახევისთავში, კახეთში-ულიანოვკაში, რაც საშუალებას იძლევა მათი ასაკი ძვ.წ. XIV-XII სს-ით განისაზღვროს [4, გვ. 131].

კვერცხეულას ნამოსახლარსა და გორასამარხებში წარმოდგენილია უყურო ლანგრები და ჯამ-ფიალები. მათი მსგავსი ლანგრები და ჯამ-ფიალები აღმოჩენილია თრელის სამაროვანზე [4, გვ. 116], სამთავროს სამაროვანზე [4, გვ. 120], ნარეკვავში [10, გვ. 199-200], ზემო ავჭალაში [8, გვ. 211], მადნისჭალაში [5, გვ. 92-93], ბეშთაშენში [15, ტაბ. X, 2; VIII], წოფში [4, გვ. 120], ხოვლეგორის ნამოსახლარზე [7, გვ. 7-31].

თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის გვხვდება ქილების, ქოთნების და დერგების ნატეხები, რომელთა ნაწილობრივი აღდგენა მოხერხდა. დერგები უყუროა, ხოლო ქოთნები და ქილები კი – როგორც ყურიანი, ისე უყურო. ყურიანი ჭურჭლებიდან საგრძნობლად ჭარბობს ზოომორფულ ყურიანები. მათ ბრტყელი ძირი აქვთ. ზოგიერთი მათგანი შემკულია ამოღარული ზოლებითა და სხვადასხვა სახის ორნამენტით. ზოგადი პარალელები ამ ტიპის ჭურჭლებს ეძებნებათ თრელის სამაროვანზე [4, გვ. 126, 131-133], სამთავროს [4, გვ. 126], ნარეკვავის [10, გვ. 195-196], მადნისჭალის [5, გვ. 96], წინწყაროს [15, ტაბ. XXIX], ხოვლეგორის ნამოსახლარზე [7, გვ. 7-31] და სხვა ძეგლებზე.

ცილინდრულყელაანი და ამობურცულთავიანი ხუფები თედოწმინდის (კვერცხეულას) ნამოსახლარზე ორი ცალია აღმოჩენილი. ერთი შედარებით მოზრდილი ჭურჭლისთვის არის განკუთვნლი, მეორე კი მცირე ზომისათვის და თან ყელზე აქვს ერთი გამჭოლი ნახვრეტი. მოზრდილი ხუფის ანალოგიები მთელ რიგ ძეგლებზეა დადასტურებული, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ ხუფები თრელი გორის სამაროვნიდან [4, გვ. 113, ნახ. 70].

თიხის ჭურჭლის სხვა ნატეხების პარალელებზეც შეიძლება საუბარი, თუმცა ამჟამად მხოლოდ გორასამარხში აღმოჩენილ წელში ოდნავ გამოყვანილ, ბრტყელძირა, ნაწილობრივ აღდგენილ ტოლჩაზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუ სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ასეთი ტოლჩების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ყური უნდა ჰქონოდა. აღნიშნულ ტოლჩას პირს ქვემოთ შემოუყვება ორი პარალელური ამოღარული ზოლი. სხვადასხვა ტიპის ტოლჩები მრავალ ძეგლზეა აღმოჩენილი. ამჟამად კი ჩვენ შემოვიფარგლებით ორი, შედარებით ახლო პარალელით. ასეთებია თრელიგორის სამაროვანზე აღმოჩენილი ორი ტოლჩა [4, გვ. 95, 118, ნახ. 52, № 546; ნახ. 73, № 205]. ადგილ კვერცხეულას მოხნულ ფართობზე ზედაპირულად აიკრიფა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები, ასევე კაჟისა და ობსიდიანის იარაღები და უსახური ანატკეცები, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნამოსახლარის გათხრილ ფართობზე, ნაცროვან ნახშიროვან ფენაში, იატაკის დონეზე მოპოვებული კაჟისაგან დამზადებული, დაკბილული ნამგლის ორი ჩასართის ნატეხი. მათ ერთ-ერთ პარალელად შეიძლება დავასახელოთ კაჟის ნამგლის ჩასართები მჭადიჯვრის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ფენიდან [20, გვ. 55-60, ტაბ. XXXII].

ადგილ კვერცხეულას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დამწვარი შენობის იატაკის დონეზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სადგისი (ილ. № $20_4$). ასეთი ოთხწახნაგა ბოლოებწამახვილებული სამი სადგისი აღმოჩნეილია თრელის სამაროვანზე [4, გვ. 129, ნახ. 80], სამთავროს №№ 26, 58, 280 სამარხებში [11, გვ. 88] და № 240 სამარხში [1, ტაბ. 1]. რაც შეეხება კვერცხეულას გვიანბრინჯაოს ხანის № 1 გორასამარხში აღმოჩენილ ათიოდე სარდიონის მძივს, მათ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თითქმის ყველა სამაროვანსა თუ ცალკეულ სამარხებში აქვთ პარალელები და ამჯერად დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებთ.

## ლიტერატურა


**1. აბრამიშვილი რ.** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-A, XXI-B, თბ., 1957, გვ. 115-140.

**2. გობეჯიშვილი გ.** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1981.

**3. გოგაძე ე.** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

**4. თბილისი.** არქეოლოგიური ძეგლები. I. თბ., 1978.

**5. თუშიშვილი ნ.** მადნისჭალის სამაროვანი. თბ., 1978.

**6. მახარაძე ზ.** ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბ., 1994.

**7. მუსხელიშვილი დ.** ხოვლეგორის ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.

**8. ნიორაძე გ.** ზემო ავჭალის სამარე. – სსმმ, VI, 1931, გვ. 139-228.

**9. ორჯონიკიძე ა.** შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან. თბ., 1992.

**10. ოქროპირიძე ნ.** ნარეკვავის სამაროვანი. – აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII. თბ., 1964, გვ. 183-220.

**11. ჩუბინიშვილი ტ.** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

**12. ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. თბ., 1998.

13. **Дедабришвили Ш.Ш.** Курганы Алазанской долины. Тб., 1979.

**14. Кавтарадзе Г.** К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983.

**15. Куфтин Б.А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

**16. Куфтин Б.А.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

**17. Миндиашвили Г.** Археологическая экспедиция в сел. Хелтубани (Горийский район). – ПАИ в 1981 году. Тб., 1984, с. 21-22.

**18. Миндиашвили Г.** Археологическая экспедиция Горийского района. – ПАИ в 1982 году. Тб., 1985, с. 36-37.

**19. Рамишвили А.Т.** Раскопки в Хашурском районе в 1984-1986 гг. – ПАИ в 1986 году. Тб., 1991, с. 22-25.

**20. Цитланадзе Л., Мирцхулава Н., Менабде М., Кигурадзе Т.** Итоги археологических исследовании "Мчадиджварского гора". – ПАИ в 1977 году, Тб., 1980, сс. 55-60.

## სურათებისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – რუკა, პუნქტირით აღნიშნულია არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორია.

სურ. 2 – თედოწმინდა (კვერცხეულა), ყორღანის დასაკრძალავი კამერის ყრილით შევსების ხედი ჩრდილოეთიდან.

სურ. 3 – ყორღანის დასაკრძალავი კამერის კონტურები ქვაყრილის აღების შემდეგ, ხედი ჩრდილოეთიდან

სურ. 4 – ყორღანის დასაკრძალავი კამერა გაწმენდის შემდეგ, ხედი სამხრეთიდან.

სურ. 5 – თიხის ჭურჭელი ყორღანიდან.

სურ. 6 – ნივთები ყორღანიდან: 1. ბრინჯაოს სატევარი, 2. ბრინჯაოს დანა, 3. ბრინჯაოს ისრისპირი, 4. ძვლის ისრისპირი, 5. ირმის რქის ავგაროზი.

სურ. 7 – თიხის ჭურჭელი ყორღანის ყრილში ჩაშვებული სამარხიდან.

სურ. 8 – თედოწმინდა (კვერცხეულა), თხრილი № 3, ნამოსახლარი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

სურ. 9 – თიხის სამყურა ჭურჭელი ნამოსახლარიდან, თხრილი № 3.

სურ. 10 – თედოწმინდა (კვერცხეულა), გორასამარხი II, მიცვალებულის ძვლების განლაგება სამარხი ორმოს ფსკერზე და შევსებაში.

ტაბ. I – 1. უბანი IA და IB, გენგეგმა; 2. უბანი II, გენგეგმა.

ტაბ. II – 1. თედოწმინდა (კვერცხეულა), IA უბანი, თხრილი № 1, ყორღანის ყრილის გეგმა; 2. ყორღანის კამერის შევსებისა და ჩაშვებული სამარხის გეგმა.

ტაბ. III – 1. ყორღანის სამარხი კამერის გეგმა გაწმენდის დასრულების შემდეგ; 2. ჩონჩხის ნაშთების განლაგება სამარხის ფსკერზე, გეგმა და დეტალი.

ტაბ. IV – თედოწმინდა (კვერცხეულა), ნამოსახლარი, თხრილი № 3, გაწმენდილი არქეოლოგიური ნაშთები, გეგმა

ტაბ. V – თხრილი № 3, ჭრილები.

ტაბ. VI – 1-7, 9, 12. კერამიკა და 8. ბრინჯაოს სადგისი № 3 თხრილიდან; 10-11. კერამიკა № 13d თხრილიდან.

ტაბ. VII – ნამოსახლარის კერამიკა: 1-6, 8, 10. № 3 თხრილიდან; 7. № 1 თხრილიდან; 9. № 13 თხრილიდან.

ტაბ. VIII – ნამოსახლარის კერამიკა: 1, 2, 5, 6, 8, 9. № 3 თხრილიდან; 3, 4. № 13d თხრილიდან; 7. № 6 თხრილიდან.

ტაბ. IX – ნამოსახლარის კერამიკა: 1-4, 6, 8-12. № 3 თხრილიდან; 5, 7. № 13d თხრილიდან; 13. № 1 თხრილიდან.

ტაბ. X – ნამოსახლარის კერამიკა: 1-3, 5-8, 10-12. № 3 თხრილიდან; 4, 9. № 13d თხრილიდან.

ტაბ. XI – ნამოსახლარის კერამიკა: 1, 3, 6, 8-14. № 3 თხრილიდან; 2, 4. № 1 თხრილიდან; 7, 15. № 13 თხრილიდან; 16. № 12 თხრილიდან.

ტაბ. XII – ნამოსახლარის კერამიკა: 1-4, 6, 7, 9, 11-13. № 3 თხრილიდან; 2, 5. № 6 თხრილიდან; 8, 10. № 1 თხრილიდან.

ტაბ. XIII – ნამოსახლარის კერამიკა: 1, 2, 4, 7-9. № 3 თხრილიდან; 3, 5, 6. № 13d თხრილიდან.

ტაბ. XIV – ნამოსახლარის კერამიკა: 1-3, 5, 6. № 3 თხრილიდან; 4. ზედაპირული.

ტაბ. XV – 1. თედოწმინდა (კვერცხეულა), II უბანი, თხრილი № 4, I გორასამარხის ორმოს გეგმა; 2. გორასამარხი I, ორმოს გეგმა და ჭრილი.

ტაბ. XVI – მასალა I გორასამარხიდან.

ტაბ. XVII – II უბანი, თხრილი № 5, გორასამარხი II, გეგმა და ჭრილი.

ტაბ. XVIII – II გორასამარხი, მიცვალებულის ძვლების განლაგება, გეგმა და ჭრილი.

ტაბ. XIX – II გორასამარხი, მასალის და ძვლების განლაგება სამარხი ორმოს ნაპირზე და ძირზე, გეგმა.

ტაბ. XX – მასალა II გორასამარხიდან.


608
606
604
610
IA
IB
№ 12
№ 1
№ 3
№ 6
№ 13
616
0 5 10 20 30 40

1


602
604
II უბანი
№4
№5

2

# ტაბ. II

თედოწმინდა (143-ე კმ)
თხრილი № 1




1




2




1. თავის ქალა
2. გახვრეტილი რქა
3. ძვლის ისრისპირი
4. ბრინჯაოს სატევარი
5. ბრინჯაოს ისრისპირი
6. თიხის ჭურჭელი
7. ბრინჯაოს დანა




2

# ტაბ. IV

## IB უბანი, თხრ. № 3, ნამოსახლარი

### გეგმა



თხრილი № 3

615.13 (±0.00)

ჭრილი 1-1




ჭრილი 4-4




0 50 100 150

ცხრ. V

ტაბ. VI




1
2
0 3 6 9
3
4
5
6
7
8
9
10
0 2 4 6

# ტაბ. VIII




1
2
3
4
5
6
0 1 2 3
7
8
0 1 2 3
9
10
11
12
0 2 4 6
13

# ტაბ. X




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 1 2 3

# ტაბ. XII




1
2
3
4
5
6
7
8
9
0 1 2 3

ტაბ. XIV



თედოწმინდა (143-ე კმ)
II უბანი თხ. № 4, I გორასამარხი




604.80

1




2

# ტაბ. XVI



II უბანი, თხ. №№ 5
გორასამარხი II




1




2

# ტაბ. XVIII




1




2

გეგმა

II გორასამარხი




1




ჭრილი 1-1




2

# ტაბ. XX



ვაჟა სადრაძე, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე,
კახა კახიანი, ელგუჯა ღლიღვაშვილი, მანუჩარ ყარაშვილი

# გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია სუფსის ტერმინალის დეოლინგის ზონაში – 2000

საანგარიშო წელს აკც-ს გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1] გათხრითი საკვლევ-ძიებო სამუშაოები ჩაატარა შემდეგ პუნქტებში:

I. სუფსის ტერმინალის (ლანჩხუთის რ-ნი) მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მოძიებისა და გავრცელების არეალის დადგენის მიზნით.[2]

II. დაზვერვები და მცირე მასშტაბის გათხრები ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში.

III. ნავთობის ძველი მილსადენის აღდგენასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო სამუშაოები.

I. 2000 წლის 1.-30. X. ჩათვლით, მილსადენის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად (იხ. კონტრაქტი № S.OO.GPS-HEV-LOO138), სუფსის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა კვლევა-ძიებითი და სტაციონარული გათხრები (ტაბ. I, ტაბ. III).

სუფსის ტერმინალის ეზოს NO მხარეს, ძველი მილებიდან ამოღებული ნავთობის გასაწმენდად გაჭრილი ავზების ტერიტორიის დაზვერვების პროცესში, დადასტურდა დაზიანებული კულტურული ფენები (ტაბ. IV).

ფენებში გამოვლინდა თიხის დამწვარი ფრაგმენტები, ძელის ნაშთები და თიხის ნაწარმი (სინოპური ამფორის ქუსლი, კოლხური თიხის ჭურჭლის ნაწილები, საწაფი და სხვ.).[3]

ვიძლევით მოპოვებული მასალის საკატალოგო აღწერილობას:

1. 50/V – ინვ. 302[4] (ტაბ. II, სურ. 1), სასმისის ქუსლის ნაწილი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი. ქუსლი მკვეთრად გამოყვანილია, ძირი ბრტყელი. შემორჩენილი სიმაღლე – 3,5 სმ; დმ. – 5 სმ.

2. ინვ. 303 (ტაბ. $II_2$), სასმისის ქუსლის ნაწილი თიხისა, წითლად გამომწვარი. ქუსლი მკვეთრად გამოყვანილია, ძირი ბრტყელი. შემორჩენილი სიმაღლე – 4 სმ; დმ. – 5 სმ.

3. ინვ. 304 (ტაბ. $II_3$), ყურმილიანი ხელადის ყურის ნაწილი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი. განივკვეთში ღერო ოვალური, კიდეზე – ნაჭდევი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 2 სმ.

4. ინვ. 305 (ტაბ. $II_4$), სასმისის ყურის ნაწილი თიხისა, მოჩალისფრო-მორუხოდ გამომწვარი. განივკვეთში ღერო მრგვალი. ღეროს დმ. – 1,4 სმ.

5. ინვ. 306 (ტაბ. $II_5$), ქოთნის ყურის ნაწილი თიხისა, მოჩალისფრო-მორუხოდ გამომწვარი. განივკვეთში ღერო ოვალური. კეცის სისქე – 1,9-2 სმ.

6. ინვ. 307 (ტაბ. $II_6$), ჭურჭლის ყურის ნაწილი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი. კეცის სისქე – 1,2 სმ.

7. ინვ. 308 (ტაბ. $II_7$), იმპორტული თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი, ღიაყავისფრად გამომწვარი. კეცი კარგად განლექილი. კეცის სისქე – 0,4-0,5 სმ.

8. ინვ. 309 (ტაბ. $II_8$), ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი, თიხისა, ღიაყავისფრად გამომწვარი. კეცი კარგად განლექილი, ქუსლი მკვეთრად გამოყვანილი. კეცის სისქე – 0,3-0,4 სმ., ქუსლის სიმაღლე – 1 სმ.

9. ინვ. 310 (ტაბ. $II_9$), ლუთერიის(?) პირ-ყელის ნატეხი, კეცი ყავისფერი, ბაკო მრგვალი, პირი ბრტყელი შიდა მხრისკენ ოდნავ დაქანებული; ყელს ნაჭდევი სახეები ამკობს, პირის სიგანე – 2,5 სმ.

10. ინვ. 311 (ტაბ. $II_{10}$), ამფორის ქუსლის ნაწილი, მოვარდისფრო-ღიაყავისფერი, კეცში ემჩნევა მსხვილმარცვლოვანი მინარევები. ქუსლი ოდნავ გამოყვანილი, კეცის სისქე – 1,1-1,3 სმ.

ძეგლის გამოვლენის მიზნით, ტექნიკის დახმარებით, გაიჭრა სადაზვერვო თხრილები (ტაბ. III), ხოლო იქ, სადაც ტექნიკა ვერ შევიდა, სამუშაოები დაქირავებულმა მუშებმა შეასრულეს.

სუფსის ტერმინალის მშენებლობის პროცესში გაჭრილი სადრენაჟო არხიდან 3 მ-ის დაშორებით ამოღებულ თხრილში (ტაბ. III, სურ. 1) მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 0,45-0,4 მ. ქვემოთ ამფორის რამდენიმე ნატეხი დადასტურდა (ტაბ. $IV_{12}$).

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს ამ მონაკვეთიდან W მხარეს 250-300 მ-ის დაშორებით ექსპედიციამ სამაროვნის ნაშთს მიაკვლია და შეისწავლა.[5]

---

[1] სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ვ. სადრაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბ. მურვანიძე, ზ. კალანდაძე, კ. კახიანი, ე. ღლიღვაშვილი (მეცნიერ თანამშრომლები), მ. ყარაშვილი (მხატვარ-არქიტექტორი). სამუშაოები მიმდინარეობდა 2000 წლის 1-30.X. ჩათვლით.

[2] სამუშაოები დააფინანსა საქართველოს მილსადენის კომპანიამ.

[3] მოპოვებული მასალა ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში (იხ. აქტი № 6).

[4] 1 – რიგითი ნომერი, 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია, V – სუფსის ტერმინალი, 302 – საინვენტარო ნომერი.

[5] იხ. ვ. სადრაძე და სხვ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1997 წ. (ხელნაწერი, გვ. 1-12).

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესასწავლი ფართობი ძეგლების მიკვლევისა და მათი გავრცელების არეალის დადგენის მიზნით, თხრილებით დაიქსელა (ტაბ. $III_1$).

რამდენიმე თხრილში, დაახ. 0,45-0,65 მ. სიღრმეზე შავი ჰუმუსის ქვეშ, არქეოლოგიური ნაშთები (დანახშირებული ფენა, გადამწვარი თიხისა და ძვლის ფრაგმენტები. ასევე თიხის ჭურჭლის ნატეხები) გამოვლინდა.

ფენების გავრცელების არეალის დადგენის შემდგომ მოვხსენით ზედა ფენა (0,45-0,65 მ) და ორი გასათხრელი ნაკვეთი გამოვყავით.

ზემოაღნიშნული ნაკვეთი (№ 1 და № 2) შესასწავლი ფართობის შედარებით შემაღლებულ ნაწილს წარმოადგენდა და ქვედა ფენების პრეპარაციის საშუალებას იძლეოდა (ტაბ. III).

პირველ საკვლევ თხრილში[6] (ნაკ. I, კვ. IV-VI; ნაკ. I, კვ. VII-IX; სიგრძე – 10 მ, სიგანე – 8 მ, სიღრმე – 0,65 მ), რომელიც არხის სიახლოვეს გაიჭრა, სხვადასხვა დონეზე გამოვლინდა ალიზისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ზემოაღნიშნული მონაკვეთი არხის კალაპოტის მომზადებისა და შემაგრების დროს ჩანს ტექნიკით დაზიანებული. შემდგომში ეს ტერიტორია მოსწორებულა. ბუნებრივია ნიველირების პროცესში არქეოლოგიური ნაშთები დაზიანდა და სხვადასხვა დონეზე დაფიქსირდა.

არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. გამოიყო ქვევრის (ტაბ. $VI_1$), დერგის (ტაბ. $VI_{3,4}$), ქილისა (ტაბ. $VI_{9,11}$) და ქოთნის (ტაბ. $VI_{12}$), ასევე ზოომორფულყურიანი დოქისა (ტაბ. $XI_5$) და ხელადის (ტაბ. $VI_{9,13}$) ნატეხები.

ვიძლევით ზემოაღნიშნული მასალის საკატალოგო აღწერილობას:

1. 50/V- ინვ. 371[7] (ტაბ. $VI_1$), დერგის პირ-ყელის ნაწილი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხისა, მრგვალბაკოიანი, პირგადაშლილი, მაღალყელიანი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,13 სმ.

2. ინვ. 372 (ტაბ. $VI_2$), დერგის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, მაღალყელიანი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

3. ინვ. 373 (ტაბ. $VI_3$), დერგის პირ-ყელის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხისა, ბაკომომრგვალებული, ბაკოდაკეჭნილი, მკვეთრად პირგადაშლილი, ყელშეზნექილი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

4. ინვ. 374 (ტაბ. $VI_4$), დერგის პირ-ყელის ნატეხი, მოყავისფრო-მორუხოდ გამომწვარი, თიხისა, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, ყელგამოყვანილი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,8 სმ.

5. ინვ. 375 (ტაბ. $VI_5$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, ყელშეზნექილი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

6. ინვ. 376 (ტაბ. $VI_6$), თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

7. ინვ. 377 (ტაბ. $VI_7$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, მაღალი, გამოყვანილყელიანი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

8. ინვ. 378 (ტაბ. $VI_8$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირგადაშლილი, ყელი დაბალი, შეზნექილი; კეცის სისქე – 0,4 სმ.

9. ინვ. 379 (ტაბ. $VI_9$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, დაბალი გამოყვანილყელიანი; კეცის სისქე – 0,5 სმ.

10. ინვ. 380 (ტაბ. $VI_{10}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, დაბალი ყელშეზნექილი, მხარდაქანებული, ყელსა და მხარს კონცენტრული წვრილი ღარები შემოუყვება; კეცის სისქე – 0,4 სმ.

11. ინვ. 381 (ტაბ. $VI_{11}$), თიხის ჭურჭლის ყელგვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი; თიხა ქარსნარევია, კეცის სისქე – 0,5 სმ.

12. ინვ. 382 (ტაბ. $VI_{12}$), თიხის ჭურჭლის მხრის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირი დაღარული ორნამენტით არის შემკული; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

13. ინვ. 383 (ტაბ. $VII_1$), თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი შემკულია ირიბი ნაჭდევი და ნაკაწრი ხაზებით; კეცის სისქე – 0,8 სმ.

14. ინვ. 384 (ტაბ. $VII_2$), თიხის ჭურჭლის მხრისა და მუცლის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირი შემკულია ჩაღარული ორნამენტით; კეცის სისქე – 0,4 სმ.

15. ინვ. 385 (ტაბ. $VII_3$), თიხის ჭურჭლის ყურგვერდის ნატეხი, მოწითალოდ, ალაგ შავად გამომწვარი; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

16. ინვ. 386 (ტაბ. $VII_4$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფრო; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

17. ინვ. 387 (ტაბ. $VII_5$), თიხის ჭურჭლის ყური, ზოომორფული, მოწითალოდ გამომწვარი; განივკვეთში ყური მრგვალია, თიხა ქარსნარევი. ყურის დმ. – 0,8 სმ.

18. ინვ. 388 (ტაბ. $VII_6$), თიხის ჭურჭლის ყური, ზოომორფული, აგურისფრად გამომწვარი; განივკვეთში ყური მრგვალია, ყურის დმ. – 0,9 სმ.

---

[6] სულ გაიჭრა 370 მ სიგრძის, 0,8-1 მ სიგანისა და 1,1-1,7 მ სიღრმის თხრილი.

[7] 1 – რიგითი ნომერი, 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია, V – სუფსის ტერმინალი, 371 – საინვენტარო ნომერი.

19. ინვ. 389 (ტაბ. $VII_7$), თიხის ჭურჭლის ყური, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, ზედაპირი დაღარულია, სიგრძე – 2,5 სმ.

20. ინვ. 390 (ტაბ. $VII_8$), თიხის ჭურჭლის ყური, მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, ზედაპირი შემკულია ნაპრიალები ზოლებით, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2,5 სმ.

21. ინვ. 391 (ტაბ. $VII_9$), თიხის ჭურჭლის ყური, მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, ხელით ნაძერწი, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 4 სმ.

22. ინვ. 392 (ტაბ. $VII_{10}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2,3 სმ.

23. ინვ. 393 (ტაბ. $VII_{11}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოჩალისფროდ გამომწვარი; დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, განივკვეთში ყური ოვალურია, სიგანე – 3 სმ.

24. ინვ. 394 (ტაბ. $VII_{12}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოჩალისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2 სმ.

25. ინვ. 395 (ტაბ. $VII_{13}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოწითალო-მორუხოდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 1,8 სმ.

26. ინვ. 396 (ტაბ. $VII_{14}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2 სმ.

27. ინვ. 397 (ტაბ. $VII_{15}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 1,9 სმ.

28. ინვ. 398 (ტაბ. $VII_{16}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 1,7 სმ.

29. ინვ. 399 (ტაბ. $VII_{17}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოჩალისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2,3 სმ.

30. ინვ. 400-1 (ტაბ. $VII_{18}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფროდ გამომწვარი; განივკვეთში ყური ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 3 სმ.

31. ინვ. 400 (ტაბ. $VII_{19}$), თიხის გაურკვეველი დანიშნულების (საწაფის?) ნატეხი, მორუხო-მოწითალოდ გამომწვარი, მრგვალი, შუაში ნახვრეტით, გაბრტყელებული. თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2,5 სმ.

32. ინვ. 401 (ტაბ. $VIII_1$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ეტყობა ყურის დაძერწვის ადგილი, კეცის სისქე – 0,5 სმ.

33. ინვ. 402 (ტაბ. $VIII_2$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური ზოლი შემოუყვება, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

34. ინვ. 403 (ტაბ. $VIII_3$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური ნაღარი სახეები ამკობს, კეცის სისქე – 0,11 სმ.

35. ინვ. 404 (ტაბ. $VIII_4$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური ზოლები შემოუყვება, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

36. ინვ. 405 (ტაბ. $VIII_5$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური სარტყელი შემოუყვება, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

37. ინვ. 406 (ტაბ. $VIII_6$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ნაღარი სახეები ამკობს, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

38. ინვ. 407 (ტაბ. $VIII_7$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

39. ინვ. 408 (ტაბ. $VIII_8$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირს წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები შემოუყვება, კეცის სისქე – 0,6 სმ.

40. ინვ. 409 (ტაბ. $VIII_9$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მორუხო-მოჩალისფროდ გამომწვარი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

41. ინვ. 410 (ტაბ. $VIII_{10}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

42. ინვ. 411 (ტაბ. $VIII_{11}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

43. ინვ. 412 (ტაბ. $VIII_{12}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

44. ინვ. 413 (ტაბ. $VIII_{13}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

45. ინვ. 414 (ტაბ. $VIII_{14}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

46. ინვ. 415 (ტაბ. $VIII_{15}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირს ირიბი ნაღარი სახეები ამკობს, ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

47. ინვ. 416 (ტაბ. $VIII_{16}$), თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

48. ინვ. 417, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მორუხოდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

49. ინვ. 418, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

50. ინვ. 419, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

51. ინვ. 420, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

52. ინვ. 421, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

53. ინვ. 422, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

54. ინვ. 423, თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, წითლად გამომწვარი. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

55. ინვ. 424, ამფორის გვერდის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

56. ინვ. 425, დერგის ძირ-გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 1,9 სმ.

მეორე თხრილში (ტაბ. III; სიგრძე – 6 მ; სიგანე – 4 მ; სიღრმე – 0,6 მ; პირველისაგან განსხვავებით ნამოსახლარის უძრავი ფენის ნაშთს მივაკვლიეთ.

ნამოსახლარის ნაშთი თანამედროვე დონიდან დაახლოებით 0,55-0,6 მ-ის ქვემოთ გაიწმინდა. იგი შედგებოდა ძვლების, მოტკეპნილი იატაკის, ოთხი რიყის ქვით წარმოდგენილი კერისა და თიხის სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან.

ზემოთაღნიშნული კულტურული ფენა, რომლის სისქე კერის სიახლოვეს 0,1-0,15 მ-ს შეადგენდა, დაახლოებით 4,5-5 მ-ის ფართობზე ვრცელდება.

წარმოდგენილი ძეგლების ნაშთებისა და იატაკის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით სათავსო გეგმაში მრგვალ, უფრო სწორედ ელიფსური ფორმის ხის მსუბუქ ნაგებობას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ძეგლი ძლიერაა დაზიანებული (ტაბ. $IX_1$).

ჰუმუსის მოხსნის პროცესში ვიზუალურად შეინიშნებოდა ფართობის დაპლანტაჟების კვალი.

როგორც აღინიშნა, ნამოსახლარის ნაშთის გათხრის პროცესში გამოვლინდა ალიზის გადამწვარი ფრაგმენტები (ტაბ. $XII_{15-19}$) სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი (ქვევრის, დერგის, ქილის, ქოთნის, დოქის, ხელადის, ლანგრისა და ჯამის ნატეხები, თიხის კვირისტავი (ტაბ. $XII_3$).

ქვემოთ ვიძლევით მოპოვებული მასალის საკატალოგო აღწერილობას:

57. ინვ. 313 (ტაბ. $X_1$), სასმისის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი; ქუსლგამოყვანილი, ბრტყელძირიანი, შემორჩ. სიმღლე – 2,5 სმ; ძირის -5,5 სმ.

58. ინვ. 314 (ტაბ. $X_2$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფრო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

59. ინვ. 315 (ტაბ. $X_3$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,6 სმ.

60. ინვ. 316 (ტაბ. $X_4$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფრო-მორუხოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი, ზედაპირი შემკულია ნაღარი სახეებით, კეცის სისქე – 0,7 სმ.

61. ინვ. 317 (ტაბ. $X_5$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოჩალისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

62. ინვ. 318 (ტაბ. $X_6$), ჯამის ძირისა და გვერდის ნატეხი, მორუხო. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,9 სმ.

63. ინვ. 319 (ტაბ. $X_7$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოჩალისფრო, ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,5 სმ.

64. ინვ. 320 (ტაბ. $X_8$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,6 სმ.

65. ინვ. 321 (ტაბ. $X_9$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,6 სმ.

66. ინვ. 322 (ტაბ. $X_{10}$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

67. ინვ. 323 (ტაბ. $X_{11}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

68. ინვ. 324 (ტაბ. $X_{12}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, მოყავისფრო-მორუხო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,9 სმ.

69. ინვ. 325 (ტაბ. $X_{13}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, მოყავისფრო-მოწითალო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

70. ინვ. 326 (ტაბ. $X_{14}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, მოყავისფრო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,7 სმ.

71. ინვ. 327 (ტაბ. $X_{15}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, მოყავისფრო-მოშავო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,5 სმ.

72. ინვ. 328 (ტაბ. $X_{16}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, მოყავისფრო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე -0,11 სმ.

73. ინვ. 329 (ტაბ. $X_{17}$), თიხის ჭურჭლის ძირი, ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,6 სმ; დმ. – 7 სმ.

74. ინვ. 330 (ტაბ. $XI_1$), ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი,

ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, მხარწიბოიანი, ძირსა და შიდაპირს ნაღარი ზოლები ამკობს, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,6 სმ.

75. ინვ. 331 (ტაბ. $XI_2$), ჯამის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი; ბაკომომრგვალებული, ბრტყელძირიანი, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,5 სმ.

76. ინვ. 332 (ტაბ. $XI_3$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალო, თიხა ქარსნარევი, კეცის სისქე – 0,4 სმ.

77. ინვ. 332 (ტაბ. $XI_4$), სასმისის გვერდის ნატეხი, მორუხო, ზედაპირი შემკულია ჩაღარული სარტყელებითა და ნაჭდევი მეანდრებით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

78. ინვ. 334 (ტაბ. $XI_5$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

79. ინვ. 335 (ტაბ. $XI_6$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მორუხოდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, სწორი, მაღალყელიანი, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

80. ინვ. 336 (ტაბ. $XI_7$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოყავისფრო, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, სწორი, მაღალყელიანი, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

81. ინვ. 337 (ტაბ. $XI_8$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი მოყავისფრო, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, სწორი, მაღალყელიანი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

82. ინვ. 338 (ტაბ. $XI_9$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოწითალო მოყავისფრო, ბაკომომრგვალებული, პირი ჭრილში სამკუთხაა, ყელი მაღალი, გამოყვანილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

83. ინვ. 339 (ტაბ. $XI_{10}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი, მოჩალისფრო; ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი – მაღალი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

84. ინვ. 340 (ტაბ. $XI_{11}$), თიხის ჭურჭლის ყელის ნატეხი, მოჩალისფრო, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

85. ინვ. 341 (ტაბ. $XI_{12}$), თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოწითალო-მოჩალისფრო, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

86. ინვ. 342 (ტაბ. $XI_{13}$), თიხის ჭურჭლის ყელ-გვერდის ნატეხი, მორუხოდ გამომწვარი. ყელი გამოყვანილია, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

87. ინვ. 343 (ტაბ. $XI_{14}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ზედაპირი შემკულია ჩაღარული და ნაჭდევი სახეებით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

88. ინვ. 344 (ტაბ. $XI_{15}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. ზედაპირი შემკულია ნაღარი კონცენტრული სახეებით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

89. ინვ. 345 (ტაბ. $XI_{16}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავო-მოყავისფრო; ზედაპირი შემკულია ნაღარი, ტალღისებრი ორნამენტით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,8 სმ.

90. ინვ. 346 (ტაბ. $XI_{17}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი. ზედაპირი შემკულია ნაღარი ნაჭდევი სახეებით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

91. ინვ. 347 (ტაბ. $XI_{18}$), თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოჩალისფროდ გამომწვარი; ზედაპირს წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები დაუყვება, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

92. ინვ. 348 (ტაბ. $XI_{19}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მონაცრისფრო-მოწითალო, ზედაპირს ერთი ფართო ღარი დაუყვება; თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,8 სმ.

93. ინვ. 349 (ტაბ. $XI_{20}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი; ზედაპირი შემკულია რელიეფური და ირიბი ნაღარი სახეებით, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

94. ინვ. 350 (ტაბ. $XI_{21}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირს რელიეფური და ვერტიკალური ნაღარი სახეები ამკობს; კეცის სისქე – 0,11 სმ.

95. ინვ. 351 (ტაბ. $XII_1$), თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ყური მრგვალია. თიხა ქარსნარევი. კეცის სიგანე – 0,3 სმ.

96. ინვ. 352 (ტაბ. $XII_2$), თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში მრგვალია, სიგანე – 1,5 სმ.

97. ინვ. 353 (ტაბ. $XII_3$), კვირისტავი თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი, კონუსური, ნახვრეტიანი; სიმაღლე – 1,5 სმ.

98. ინვ. 354 (ტაბ. $XII_4$), თიხის ჭურჭლის ფეხი, მონაცრისფროდ გამომწვარი; სიგრძე – 4,5 სმ; დმ. – 2 სმ.

99. ინვ. 355 (ტაბ. $XII_5$), თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია, თიხა ქარსნარევი. სიგანე – 2 სმ.

100. ინვ. 356 (ტაბ. $XII_6$), თიხის ჭურჭლის ყელ-გვერდის ნატეხი, მოშავოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

101. ინვ. 357 (ტაბ. $XII_7$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ორი რელიეფერი ზოლი შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

102. ინვ. 358 (ტაბ. $XII_8$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ფართო რელიეფური სარტყელი დაუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

103. ინვ. 359 (ტაბ. $XII_9$), თიხის ჭურჭლის ნატეხი, მონაცრისფროდ გამომწვარი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

104. ინვ. 360 (ტაბ. $XII_{10}$), თიხის ჭურჭლის ნაწილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი.

ყელს ვიწრო ღარი შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

105. ინვ. 361 (ტაბ. $XII_{11}$), თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

106. ინვ. 362, თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოწითალოდ გამომწვარი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

107. ინვ. 363 (ტაბ. $XII_{12}$), ბათქაშის ნატეხი (ალიზის).

108. ინვ. 364 (ტაბ. $XII_{13}$), ტუფის ქვის ფრაგმენტი. სიგრძე 9 სმ.

109. ინვ. 365 (ტაბ. $XII_{14}$), ბათქაშის ნატეხი.

110. ინვ. 366 (ტაბ. $XII_{15}$), ბათქაშის ნატეხი, სიგრძე – 9 სმ.

111. ინვ. 367 (ტაბ. $XII_{16}$), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ცეცხლშია მოხვედრილი და წიდად გამომწვარი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

112. ინვ. 368 (ტაბ. $XII_{17}$), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი. კეცის სისქე – 1,5 სმ.

113. ინვ. 369 (ტაბ. $XII_{18}$), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი. კეცის სისქე – 0,8 სმ.

114. ინვ. 370 (ტაბ. $XII_{19}$), ბათქაშის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი. სიგანე – 5 სმ.

ამრიგად აშკარაა, რომ სუფსის ტერმინალის NO მხარეს დეოლინგის პროექტის განხორციელების პროცესში დაზიანდა ადრე ჩვენს მიერ მოკვლეული და გათხრილი ძვ.წ. VI-II სს. ნამოსახლარისა და სამაროვნის თანადროული ძეგლი. ამაზე მიგვანიშნებს აუზების ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვების დროს აკრეფილი არქეოლოგიური მასალა (ტაბ. $IV_{1-12}$) და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს მიკვლეული არტეფაქტები.

სამწუხაროდ, მათი სრული შესწავლა იმ არსებული გრუნტული წყლებისა და მძლავრი საქაჩი ტექნიკის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა.

II. ზემოაღნიშნული სამუშაოების პარალელურად გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რეგიონში სადაზვერვო და მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა.

ღრმაღელეში (ლანჩხუთის რ-ნი), იქ, სადაც წინა წლებში ეკლესიის ნაშთი ითხრებოდა (ტაბ. $XIII_1$). ექსპედიციამ ეკლესიის ნაწილის გაწმენდა დაასრულა. სავარაუდოდ, კანკელის სიახლოვეს იატაკის დონეზე, იქ სადაც ადრე ბრინჯაოს ჯაჭვიანი ჯვარი აღმოჩნდა, გაიწმინდა რკინის ღერო-სამაგრი (ტაბ. $XIII_2$), ბრინჯაოს ორი ფირფიტა-საკიდი სასაკვამლე (ტაბ. $XIII_{3-6}$), მინის სასმისის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. $XIII_7$) და სასარკმლე მინის ნატეხები (ტაბ. $XIII_{8,9}$).

ომფარეთში (ლანჩხუთის რ-ნი) ჩვენს მიერ ნაწილობრივ გათხრილი აბანოს ტერიტორია გავწმინდეთ. აბანოს შესასვლელის დასავლეთ ნაწილში, გამოიკვეთა კედლის ნაშთი, რომელიც შესაძლოა აპოდიტერიუმის გვერდით არსებული მცირე სათავსოს (გასასვლელის?) კედლის ნაწილს წარმოადგენდა (ტაბ. $XIV_1$).

შეკვეთილში (ოზურგეთის რ-ნი) ადრე შესწავლილი კოშკის დათარიღებისთვის მასალის მოპოვების მიზნით. მის მიმდებარე ტერიტორიაზე დავღრმავდით. სამწუხაროდ კოშკის შიდა სივრცეში, ასევე მის გარშემო, არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილია (ტაბ. $XIV_2$).

III. პარალელურად გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნავთობის ძველი მილსადენის გაწმენდა, შეკეთება, აღდგენასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო სამუშაოები ჩაატარა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში გრძელდება.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – სუფსის ტერმინალი, სიტუაციური გეგმა.

ტაბ. II, 1-11. დეოლინგისათვის განკუთვნილი ეზოს ტერიტორიაზე დაზვერვების პროცესში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.

ტაბ. III – სუფსის ტერმინალი, მიმდებარე ტერიტორიის საერთო გეგმა.

ტაბ. IV, 1-2 – № 8 სადაზვერვო თხრილში დადასტურებული ამფორის ნატეხები.

ტაბ. V – სუფსის ტერმინალი, ნაკვეთი I, გეგმა.

ტაბ. VI, 1-12 – სუფსის ტერმინალი, I ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 371-382).

ტაბ. VII, 1-19 – სუფსის ტერმინალი, I ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 383-400).

ტაბ. VIII, 1-16 – სუფსის ტერმინალი, I ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 401-416).

ტაბ. IX – II ნაკვეთი, მრგვალი სათავსოს ნაშთი, გეგმა.

ტაბ. X, 1-17 – სუფსის ტერმინალი, II ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 313-329).

ტაბ. XI, 1-21 – სუფსის ტერმინალი, II ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 330-350)

ტაბ. XII, 1-19 – სუფსის ტერმინალი, II ნაკვეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ინვ. 351-370).

ტაბ. XIII, 1 – ღრმაღელე. ეკლესიის ნაშთის გეგმა; 2-9 – ღრმაღელე. ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

ტაბ. XIV, 1 – ომფარეთი-აბანოს გეგმა და ჭრილი; 2 – შეკვეთილი. კოშკის ნაშთი, გეგმა და ჭრილი.

სუფსის ტერმინალი - 2002 წ.



ტაბ. II






ხუფსის ტერმინალი 2000 წ.

50/V

ტაბ. IV





სამოსახლო ტერიტორია. ნაგებობა 1. გეგმა

## ტაბ. VI




1
2
3
4
5
6
0
5
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19

ტაბ. VIII



სუფსის ტრაპეზლი
ნაგებობა II. გეგმა
N
VII-4
VII-6
VII-1
VI-3

ტაბ. X




1
2
3
4
5
6
7
8
9
0
5
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21

ტაბ. XII




N
1
0 1 2 3 m
2
3
4
5
6
7
8
9




1




2

ვაჟა სადრაძე, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე,
დიმიტრი ახვლედიანი, კახა კახიანი, ლერი ჯიბლაძე,
ელგუჯა ღლიღვაშვილი

# არქეოლოგიური კვლევა-ძიება გვიმბალაურის ნამოსახლარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 2001 წელს

საქართველოს მილსადენის კომპანიასა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების (იხ. კონტრაქტი № L00611) საფუძველზე აკც-ს გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ* 2001 წლის 15 ივნისიდან – 28 ივლისის ჩათვლით სოფ. გვიმბალაურში (ლანჩხუთის რაიონი), ფართო მასშტაბიანი კვლევა-ძიებითი სამუშაოები ჩაატარა.**

ექსპედიციის ძირითად მიზანს გვიმბალაურის ნამოსახლარისა („ზურგა“) და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა წარმოადგენდა (იხ. ნებართვა № 3; 15.V.2001).

ზემოაღნიშნული სამუშაოები არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შემუშავებული გეგმის მიხედვით რამდენიმე ეტაპად დაიყო.

I. წინასწარული დაზვერვები (15.VI-29.VI) – ძეგლის გავრცელების არეალის დადგენის მიზნით.

II. „ზურგაზე“ სტაციონარული გათხრები (15.VI-28.VII) – გორანამოსახლარის ტოპო-გადაღება, გათხრები, განათხარი ფენებისა და ძეგლების აგეგმვა, გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია.

III. სტაციონარული გათხრების დასრულებისთანავე განათხარის მიწით შევსება და რეკულტივაცია (25.VII-28.VII).

იმავე დროს, პარალელურად, მიმდინარეობდა მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების გაწმენდა-გარეცხვა, რესტავრაცია, გატარება, ჩახატვა-გადაღება, აღწერა-საკატალოგო ნაწილის მომზადება და სხვ.

2. მოპოვებული მასალების*** საფუძველზე მეცნიერული ანგარიშის მომზადება და გამოსაცემად გადაცემა.

წინასწარული დაზვერვების* პროცესში ზურგასა და მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ სადაც ამჟამად საყანე ფართობებია, წინაანტიკური და ანტიკური ხანის მასალების შემცველი კულტურული ფენები დადასტურდა (ტაბ. I, II).

კულტურული ფენა წარმოდგენილია ბათქაშის, თიხის ჭურჭლის ნატეხებით, თიხის კვირისტავებით, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვის ხელსაფქვავებით. დასტურდება იმპორტიც** (სინოპური ამფორა, ჯამები და სხვ.).

ძეგლის გავრცელების არეალისა და კულტურული ფენების სიმძლავრის დადგენის მიზნით, გაიწმინდა საირიგაციო თხრილი (სიგრძე – 120 მ, სიგანე – 1,2 მ; სიღრმე ≈ 0,8-1 მ; ტაბ. II) და გაითხარა ნაკეთი (სიგრძე – 3 ; სიგანე – 2 მ; ტაბ. II).

გაირკვა, რომ ზურგას NW და S მხარეს არსებული ნამოსახლარები, რომლებიც ხუთ ძირითად ბუდობებადაა წარმოდგენილი დაახლოებით 8-10 ჰა ფართობზე ვრცელდება (ტაბ. I, II).

ზოგიერთი მათგანი (4-ე და 5-ე), 250-400 მ-თაა ზურგასაგან დაშორებული. მაგრამ, მიუხედავად ამ ფაქტისა, მცირე შემაღლებებზე გამართული დასახლებები ერთ მთლიან ანსამბლსისტემას ქმნიან, სადაც სიდიდით აშკარად დომინირებს გასათხრელი ზურგა.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ საკვლევი დასახლების გარშემო 1,5-2 კმ მანძილზე თანადროული ნამოსახლარები არ დასტურდება (იხ. ტაბ. I, II).

ძეგლს ორი მხრიდან პატარა ღელე, SW მხარეს თემისტოლი, ხოლო O მხრიდან ორაგვესღელე ესაზღვრება. ეს მდინარეები ადრე მდ. ფიჩორში ჩაედინებოდა, ამჟამად მდ. ფიჩორი რამდენიმე კმ-ით მდ. რიონისკენაა გადახრილი. ამიტომ ჩადინება ხდება ე.წ. დიდ არხში, რომელიც 80-იან წლებშია გაჭრილი.

როგორც აღვნიშნეთ, ზურგა გარშემო არსებულ ნამოსახლარებზე დომინირებს, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იხვნებოდა, მაგრამ სიდიდით მაინც მკვეთრად გამოიყოფა დანარჩენი შემაღლებებისაგან (ტაბ. I-III).

ნამოსახლარის S მხარეს, ასე 200-250 მ დაშორებით, სადაზვერვო ჯგუფის წევრებმა მიაკვლიეს საყანე ნაკვეთს, რომელშიც საშუალო სიდიდის რიყისა და კაჟის ქვებია მიმობნეული.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ფართობზე კულტურული ფენისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები არ გამოვლენილა (ბათქაში, გადამწვარი ფენა, თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვ.).

იგივე დავადასტურეთ მდ. თემისტოლის მარცხენა ნაპირას, სადაც მძლავრი ნამოსახლარის

---

* მონაწილეობდნენ: ვ. სადრაძე – ექსპედიციის ხელმძღვანელი, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, დ. ახვლედიანი, კ. კახიანი, ლ. ჯიბლაძე, ე. ღლიღვაშვილი – მეცნიერთანამშრომლები: მ. ყარაშვილი – მხატვარი-არქიტექტორი.

** სამუშაოები დააფინანსა მილსადენის კომპანიამ.

*** მასალა ინახება აკც-ს ნეოლით-ბრინჯაოს ხანის განყოფილებაში.

* სადაზვერვო სამუშაოებში მონაწილეობდნენ კ. კახიანი, ლ. ჯიბლაძე – მეცნიერ-თანამშრომლები.

** მოპოვებული მასალის საკატალოგო აღწერილობა იხილეთ დასკვნით ნაწილში.

NW მხარეს, დაახლოებით 250-300 მ დაშორებით, პატარა ზომის რიყისა და კაჟის ქვებისაგან შედგენილ ყრილებს მივაკვლიეთ.

დაზვერვების გაფართოების შედეგად ადგილ ფიტარში, სინქრონული – ძეგლი მოვიხილეთ (ტაბ. I). იქ გამოვლინდა ბორცვი (შეზურგვა), რომელიც ზომებით მკვეთრად გამოიყოფა დანარჩენისაგან. მის გარშემო 10-12 ჰა ფართობზე, ნახნავებში აიკრიფა ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბათქაშის ფრაგმენტები, სხვადასხვა ზომის და ფორმის ხელსაფქვავები, სანაყები და სხვ.* (ტაბ. I).

ფიტარზე, O მხარეს, 250-300 მ დაშორებით, ისევე როგორც სხვა ნამოსახლარების სიახლოვეს, ნახნავებში, მცირე ზომის რიყისა და კაჟის ქვების ყრილები დავადასტურეთ.

ვერც იქ მივაკვლიეთ ბათქაშის ფრაგმენტებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს და სხვ. კულტურული ფენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (გადამწვარი ფენა, ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, ოსტეო მასალა და სხვ).

სადაზვერვო ჯგუფის წევრების მიერ გამოითქვა ვარაუდი დასახელებულ მონაკვეთში ნამოსახლარის თანადროული სამაროვნების ან სამარხების არსებობის შესახებ. მართლაც, სხვა შემთხვევებში სრულიად გაუგებარია რიყისა და კაჟის ქვებისაგან წარმოდგენილი ყრილების არსებობა.

გვიმბალაურის ზურგას მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილ ნამოსახლარის ხასიათზე და კულტურული ფენების სიმძლავრის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების მიზნით ბუჩქნარში მოვზომეთ ნაკვეთი** (6 x 6 მ, ტაბ. I, II) და დავღრმავდით.

წინასწარულად უნდა აღინიშნოს, რომ ზურგა და მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ ღრმადაა დაპლანტაჟებული. ეს კი არსებული ინფორმაციით „კოლხიდმშენის“ ფართომასშტაბიანი სამუშაოების შედეგს წარმოადგენს.

გასათხრელი ნაკვეთი (ტაბ. I, $VIII_1$) ზურგადან 55-60 მ-ითაა დაშორებული. მის გარშემო, საყანე ფართობებში ზედაპირულად მძლავრი კულტურული ფენაა დადასტურებული (ნაცროვანი ფენა, ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, კვირისტავები, ქვის ხელსაფქვავები და სხვ.). სწორედ ამიტომაც გადაწყდა დასახელებულ მონაკვეთში სასინჯი თხრილის გავლება.

დაზიანებულმა კულტურულმა ფენამ პირველსავე ბარისპირიდან იჩინა თავი (ტაბ. $VIII_2$). არქეოლოგიური მასალა 0,12 მ სისქის ჰუმუსშიაც ვლინდებოდა. 0,40-0,50 მ-ზე დაღრმავების პროცესში თავი იჩინა ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ნატეხებმა (ტაბ. $VIII_{2-3}$). პრეპარაციის შემდგომ დადასტურდა ყავისფერი, მოწითალო, ორგანული მასით, ბათქაშის ფრაგმენტებითა და თიხის სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის ნატეხებით გაჯერებული ფენა (ტაბ. $IX_{1-2}$). ფენაში პრეპარაციის დროს გამოიყო სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი (ხელადა, დოქი, სასმისი, ჯამი, ბადია, ლუთერია, საწური, ქვის ხელსაფქვავები და სხვ.* (იხ. ტაბ. $IX_2$).

გასათხრელი ნაკვეთის N ნაწილში, გეგმაში წრიული, უფრო ზუსტად ოვალის ფორმის, მონაცისფრო-მოცისფრო ფერის თიხისაგან წარმოდგენილი შემზადება – შეზურგვა გამოვლინდა (სიგრძე – 5, სიგანე – 4,8 მ), რომელსაც გარშემო (NO და NW ნაწილში, იხ. ტაბ. X) ძელებით, ნახშირითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით გაჯერებული ფენა შემოუყვებოდა.

შეზურგვისა და მის გარშემო არსებულ, ძელებით, ნახშირითა და თიხის ჭურჭლით გაჯერებული ფენის ქვემოთ (დაახლოებით 0,6-0,7 მ) მონაცრისფრო-მოცისფრო სტერილური თიხამიწა დასტურდება (ტაბ. XI).

ამრიგად, ზემოაღნიშნული ნაკვეთის შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა გეგმაში ოვალის ფორმის 5-5,5 მ დიამეტრის მქონე წრიული ნაგებობის შემზადება.

მეტიც, შემზადება-შეზურგვის NW პერიფერიულ ნაწილში რამდენიმე ვერტიკალური ფოსო (სიგრძე 0,2-0,3 მ, დმ – 0,6-0,8 მ) გაიწმინდა. იქვე, ფოსოების სიახლოვეს, რამდენიმე ორკაპა ძელი (სიგრძე 0,35-0,4 მ) აღმოჩნდა, რომელიც შესაძლოა შემზადება-შეზურგვის ზემოთ, სათავსოს(?) იატაკის დასაყრდენ დეტალს, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (ტაბ. $X_1$).

ნაკვეთში პრეპარირებული ქვედა დონის ფიქსაციისა და ალაგების შემდგომ, კულტურული ფენის სიმძლავრის დადგენის მიზნით, გავავლეთ საკონტროლო თხრილი (სიგრძე – 6, სიგანე – 1, სიღრმე – 2 მ).

თხრილში იგივე ფერისა და შემადგენლობის სტერილური თიხა დადასტურდა. სამუშაოების დასრულებისთანავე შესწავლილი ნაკვეთი მიწით შეივსო და რეკულტივაცია ჩაუტარდა.

სადაზვერვო რაზმმა გვიმალაურის N მხარეს, დაახლოებით 2,5 კმ დაშორებით, „დიდი არხის“ მარცხენა ნაპირზე, ადგილ გაძირულაში (ტაბ. I) სინქრონულ მძლავრ ნამოსახლარს მიაკვლია.

ზემოაღნიშნული სანახები სოფ. მამათის კუთვნილებას წარმოადგენს და კარგა მანძილითაა მისგან დაშორებული.

ამჟამინდელი ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, სოფლის მაცხოვრებლებს გვიან, მაგრამ, მაინც მოუხერხებიათ ფართობების გადახვნა და სიმინდის დათესვა.

ნამოსახლარი, ნახნავებში აკრეფილი მასალების მიხედვით, 10-12 ჰექტარ ფართობზე

---

* იხ. საკატალოგო აღწერილობა – დანართი.

** იხ. საკატალოგო აღწერილობა – დანართი.

* იხ. საკატალოგო ნაწილი. გვიმბალაურის ზურგა (50/VIII-3).

ვრცელდება. იქ მოპოვებულ მასალებში* რკინის ზოდიც დასტურდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სხვა ადრე მიკვლეულ ნამოსახლარებზე, იქაც ჩრდილო-აღმოსავლეთით 300-350 მ დაშორებით, ნახნავებში, მცირე ზომის რიყის ქვებით წარმოდგენილი ყრილები გამოვლინდა.

სოფ. გვიმბალაურის ტერიტორიაზე დაზვერვების შედეგად სასაფლაოზე, ასევე კოსტავასა და წერეთლის საკარმიდამო ნაკვეთებში ადრე და გვიანი შუასაუკუნეების ხანის მასალები აიკრიფა.

გვიმბალაურის ზურგას N მხარეს, მისგან დაახლოებით 50-60 მ დაშორებით, საირიგაციო თხრილის გაწმენდის პროცესში (ტაბ. II), საკმაოდ მძლავრ კულტურულ ფენას მივაკვლიეთ. შევარჩიეთ მონაკვეთი (სიგრძე – 4, სიგანე – 4 მ, ტაბ. II) და დავღრმავდით.

განათხარი ნაკვეთის ჭრილმა ანალოგიური სურათი მოგვცა. კულტურულმა ფენამ ჰუმუსში, პირველივე ბარისპირზე იჩინა თავი. თანამედროვე დონიდან 0,4-0,45 მ ქვემოთ, მოყავისფრო-მოწითალო თიხნარი ბათქაშის მოზრდილი ფრაგმენტებითა და სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო გაჯერებული, ძეგლის ნაშთი პრეპარაციის, ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდგომ ალაგდა. ნაკვეთში გაკეთდა 1 მ სიღრმისა და 4 მ სიგანის საკონტროლო თხრილი, რომელშიც მონაცრისფრო-მოცისფრო სტერილური თისა-მიწა დადასტურდა.

როგორც ჩანს, ღრმა პლანტაჟის პროცესში იქ არსებული კულტურული ფენები დაზიანებულა, თიხის ჭურჭლის ძირების სხვადასხვა დონეზე გამოვლენაც ზემოაღნიშნულ მოსაზრებას უნდა უჭერდეს მხარეს.

შესწავლილ ნაკვეთში მოპოვებული არტეფაქტები (ტაბ. XVI-XVIII) ზურგას მიმდებარე ტერიტორიაზე აკრეფილი მასალების ანალოგიურია და ზოგადად ანტიკური ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა.

სადაზვერვო სამუშაოებისათვის გეგმით გათვალისწინებული ვადების დასრულებისთანავე (29, VI), სადაზვერვო რაზმის წევრები ზურგაზე წარმოებულ სტაციონალურ გათხრებში ჩაერთვნენ.

გვიმბალაურის ზურგაზე სამუშაოები 15 ივნისს დაიწყო და 28 ივლისს დასრულდა.

წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე გვიმბალაურის გორანამოსახლარის ტერიტორიის ტოპოგადაღების, ნაკვეთებად აგეგმვის, გრაფიკული და ფოტოფიქსაციის შემდგომ ცენტრალურ ნაწილში საკონტროლო თხრილი გავჭერით (სიგრძე – 62 მ; სიგანე 1 მ; საშ. სიღრმე 1,1-1,7 მ; ტაბ. I, II, III, IV).

საკონტროლო თხრილის მეშვეობით უნდა გაგვერკვია ნამოსახლარის სტრატიგრაფია, კულტურული ფენების სიმძლავრე და გავრცელების არეალი; ზოგადად ნამოსახლარის ტიპი და ხასიათი.

საკონტროლო თხრილის (№ 1) გაჭრის პროცესში თანამედროვე ზედაპირზე ვლინდებოდა ანტიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლისა და ბათქაშის ნატეხები, სადგრის ფრაგმენტი (ტაბ. XII).

ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, თანამედროვე დონიდან 1,4 მ დაღრმავების შემდგომ, საკონტროლო თხრილის (№ 1) W და O ნაწილებში, ქვედა (II საამშენებლო ჰორიზონტი) კულტურული ფენა გამოვლინდა (ტაბ. $IV_{1-2}$). იგი თიხის ჭურჭლის ნატეხებითა და ხის დანახშირებული ძელების ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი.

ზურგას ე.წ. განსვისების ზონის (70 x 40 მ) ფართობის სიმცირის გამო (მოთხრილი მიწის გატანის შესაძლებლობა არ არსებობდა) გადაწყდა ნამოსახლარის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის შესწავლა, ხოლო დანარჩენის ხელუხლებლად დატოვება და მოთხრილი მიწის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში დაყრა-დაგროვება.

გორის O ნაწილში, პირველი საკონტროლო თხრილის პერპენდიკულარული ტრანშეა გაიჭრა (სიგრძე – 25, სიგანე – 1 მ, სიღრმე ცენტრში – 1,4 მ, ხოლო კალთასთან პერიფერიაში – 0,5 მ), რომლის მეშვეობით გამოვლინდა კულტურული ფენის (ქვედა) ნაშთები.

კულტურული ფენის დადასტურების შემდგომ, ძეგლზე მოვზომეთ გასათხრელი ნაკვეთი (თხრილი № 3: სიგრძე – 12 მ, სიგანე 4 მ) და თანდათანობით თითო ბარისპირზე (0,2 მ) დავღრმავდით.

პირველივე ბარისპირის დონეზე, ისევე როგორც საკონტროლო თხრილების (№ 1 და № 2) გაჭრისას აღმოჩნდა ანტიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები: კოლხური სასმისები, ჯამები, ბადიები, ხელადის, დოქისა და ქოთნის, ქვევრის ნატეხები, იმპორტული და ადგილობრივი ამფორების ძირები, კვირისტავი და სხვ. (ტაბ. $V_{1-2}$, XII).

აღსანიშნავია, რომ ზურგაზე წინა წლებში, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის* თანამშრომლები მიწის მოხვნის პროცესში კრეფდნენ, აგროვებდნენ არქეოლოგიურ მასალას, რომლის ძირითადი ნაწილი ამჟამად მუზეუმის ფონდებშია დაცული (ტაბ. $XXIV_{10-29}$).

ზედა სამშენებლო ჰორიზონტი ღრმა პლანტაჟის პროცესში უნდა იყოს განადგურებული. მიუხედავად ამ მიზეზისა, ეს ფენა ფრაგმენტის სახით მაინც დადასტურდა (ტაბ. VII). ბორცვის ცენტრალურ ნაწილში მცირე ზომის რიყის ქვებისაგან შედგენილი ყრილი გამოვლინდა (სიგრძე 0,7-0,8; სიგანე 0,6-0,7 მ, ტაბ. V, სურ. 1).

---

* იხ. საკატალოგო ნაწილი (ტაბ. $XXVI_{1-12}$).

* ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნ. იმნაძე, ფონდების მცველი თ. კალანდარიშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა ექსპედიციას დაგეგმილი სამუშაოების რეალიზაციაში.

ვრცელდება. იქ მოპოვებულ მასალებში* რკინის ზოდიც დასტურდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სხვა ადრე მიკვლეულ ნამოსახლარებზე, იქაც ჩრდილო-აღმოსავლეთით 300-350 მ დაშორებით, ნახნავებში, მცირე ზომის რიყის ქვებით წარმოდგენილი ყრილები გამოვლინდა.

სოფ. გვიმბალაურის ტერიტორიაზე დაზვერვების შედეგად სასაფლაოზე, ასევე კოსტავასა და წერეთლის საკარმიდამო ნაკვეთებში ადრე და გვიანი შუასაუკუნეების ხანის მასალები აიკრიფა.

გვიმბალაურის ზურგას N მხარეს, მისგან დაახლოებით 50-60 მ დაშორებით, საირიგაციო თხრილის გაწმენდის პროცესში (ტაბ. II), საკმაოდ მძლავრ კულტურულ ფენას მივაკვლიეთ. შევარჩიეთ მონაკვეთი (სიგრძე – 4, სიგანე – 4 მ, ტაბ. II) და დავღრმავდით.

განათხარი ნაკვეთის ჭრილმა ანალოგიური სურათი მოგვცა. კულტურულმა ფენამ ჰუმუსში, პირველივე ბარისპირზე იჩინა თავი. თანამედროვე დონიდან 0,4-0,45 მ ქვემოთ, მოყავისფრო-მოწითალო თიხნარი ბათქაშის მოზრდილი ფრაგმენტებითა და სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო გაჯერებული, ძეგლის ნაშთი პრეპარაციის, ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდგომ ალაგდა. ნაკვეთში გაკეთდა 1 მ სიღრმისა და 4 მ სიგანის საკონტროლო თხრილი, რომელშიც მონაცრისფრო-მოცისფრო სტერილური თიხა-მიწა დადასტურდა.

როგორც ჩანს, ღრმა პლანტაჟის პროცესში იქ არსებული კულტურული ფენები დაზიანებულა, თიხის ჭურჭლის ძირების სხვადასხვა დონეზე გამოვლენაც ზემოაღნიშნულ მოსაზრებას უნდა უჭერდეს მხარეს.

შესწავლილ ნაკვეთში მოპოვებული არტეფაქტები (ტაბ. XVI-XVIII) ზურგას მიმდებარე ტერიტორიაზე აკრეფილი მასალების ანალოგიურია და ზოგადად ანტიკური ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა.

სადაზვერვო სამუშაოებისათვის გეგმით გათვალისწინებული ვადების დასრულებისთანავე (29, VI), სადაზვერვო რაზმის წევრები ზურგაზე წარმოებულ სტაციონალურ გათხრებში ჩაერთვნენ.

გვიმბალაურის ზურგაზე სამუშაოები 15 ივნისს დაიწყო და 28 ივლისს დასრულდა.

წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე გვიმბალაურის გორანამოსახლარის ტერიტორიის ტოპოგადაღების, ნაკვეთებად აგეგმვის, გრაფიკული და ფოტოფიქსაციის შემდგომ ცენტრალურ ნაწილში საკონტროლო თხრილი გავჭერით (სიგრძე – 62 მ; სიგანე 1 მ; საშ. სიღრმე 1,1-1,7 მ; ტაბ. I, II, III, IV).

საკონტროლო თხრილის მეშვეობით უნდა გაგვერკვია ნამოსახლარის სტრატიგრაფია, კულტურული ფენების სიმძლავრე და გავრცელების არეალი; ზოგადად ნამოსახლარის ტიპი და ხასიათი.

საკონტროლო თხრილის (№ 1) გაჭრის პროცესში თანამედროვე ზედაპირზე ვლინდებოდა ანტიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლისა და ბათქაშის ნატეხები, სადგრის ფრაგმენტი (ტაბ. XII).

ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, თანამედროვე დონიდან 1,4 მ დაღრმავების შემდგომ, საკონტროლო თხრილის (№ 1) W და O ნაწილებში, ქვედა (II საამშენებლო ჰორიზონტი) კულტურული ფენა გამოვლინდა (ტაბ. $IV_{1-2}$). იგი თიხის ჭურჭლის ნატეხებითა და ხის დანახშირებული ძელების ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი.

ზურგას ე.წ. გასხვისების ზონის (70 x 40 მ) ფართობის სიმცირის გამო (მოთხრილი მიწის გატანის შესაძლებლობა არ არსებობდა) გადაწყდა ნამოსახლარის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის შესწავლა, ხოლო დანარჩენის ხელუხლებლად დატოვება და მოთხრილი მიწის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში დაყრა-დაგროვება.

გორის O ნაწილში, პირველი საკონტროლო თხრილის პერპენდიკულარული ტრანშეა გაიჭრა (სიგრძე – 25, სიგანე – 1 მ, სიღრმე ცენტრში – 1,4 მ, ხოლო კალთასთან პერიფერიაში – 0,5 მ), რომლის მეშვეობით გამოვლინდა კულტურული ფენის (ქვედა) ნაშთები.

კულტურული ფენის დადასტურების შემდგომ, ძეგლზე მოვზომეთ გასათხრელი ნაკვეთი (თხრილი № 3: სიგრძე – 12 მ, სიგანე 4 მ) და თანდათანობით თითო ბარისპირზე (0,2 მ) დავღრმავდით.

პირველივე ბარისპირის დონეზე, ისევე როგორც საკონტროლო თხრილების (№ 1 და № 2) გაჭრისას აღმოჩნდა ანტიკური და ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები: კოლხური სასმისები, ჯამები, ბადიები, ხელადის, დოქისა და ქოთნის, ქვევრის ნატეხები, იმპორტული და ადგილობრივი ამფორების ძირები, კვირისტავი და სხვ. (ტაბ. $V_{1-2}$, XII).

აღსანიშნავია, რომ ზურგაზე წინა წლებში, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის* თანამშრომლები მიწის მოხვნის პროცესში კრეფდნენ, აგროვებდნენ არქეოლოგიურ მასალას, რომლის ძირითადი ნაწილი ამჟამად მუზეუმის ფონდებშია დაცული (ტაბ. $XXIV_{10-29}$).

ზედა სამშენებლო ჰორიზონტი ღრმა პლანტაჟის პროცესში უნდა იყოს განადგურებული. მიუხედავად ამ მიზეზისა, ეს ფენა ფრაგმენტის სახით მაინც დადასტურდა (ტაბ. VII). ბორცვის ცენტრალურ ნაწილში მცირე ზომის რიყის ქვებისაგან შედგენილი ყრილი გამოვლინდა (სიგრძე 0,7-0,8; სიგანე 0,6-0,7 მ, ტაბ. V, სურ. 1).

* იხ. საკატალოგო ნაწილი (ტაბ. $XXVI_{1-2}$).

* ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნ. იმნაძე, ფონდების მცველი თ. კალანდარიშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა ექსპედიციას დაგეგმილი სამუშაოების რეალიზაციაში.

ხოლო იმავე დონეზე გასათხრელ ნაკვეთში, პერიფერიისაკენ ოდნავ დაბლა, თიხის ჭურჭლის ნატეხების გროვა დაფიქსირდა. ქვაყრილი და თიხის ჭურჭლის ნატეხებით წარმოდგენილი ფენის ნაშთი 1,4 მ. სისქის მოთეთრო-ღიაყავისფერ თიხა-მიწაზე იდო. იგი აშკარად მოზვინვის შედეგად უნდა იყოს შექმნილი. ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებს თითქოსდა სტერილურ თიხა-მიწაში იშვიათად, მაგრამ მაინც სხვადასხვა დონეზე გამოვლენილი თიხის ჭურჭლის, ბათქაშის ნატეხებისა და ზოომორფულყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტები (ტაბ. $XII_8$).

თავისთავად ამ ტიპის ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტის არსებობა, ზურგაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. II) შედარებით ადრეული, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენასა და შესაბამისად ნამოსახლარს გვავარაუდებინებს.

ნაკვეთში (თხრილი № 3) რამდენიმე ბარისპირზე დაღრმავების შემდგომ (თანამედროვე დონიდან 1,4 მ ქვემოთ) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, თხელი კულტურული ფენა დადასტურდა (ტაბ. VII).

ფენა (ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი) წარმოდგენილი იყო ჩამსხვრეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა* და დანახშირებული რამდენიმე ძელით (ტაბ. VII).

შესანიშნავია, რომ ზედა ფენისათვის (ზედაპირზე აკრეფილი და პირველ ბარისპირზე მოპოვებული) დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან ქვედა, მეტნაკლებად განსხვავდება:

ა) თიხის ჭურჭელი თხელკეციანია, კეცი შედარებით კარგადაა განლექილი.

ბ) კეცი ყავისფერია, ზედაპირი მორუხო-მოშავო; გვხვდება წითლად გამომწვარიც (მეორადი გამოწვა? იხ. ტაბ. XIII).

გ) ზედაპირი შტამპით, ტვიფრვითა და ღარით დატანილი გეომეტრიული სახეებითაა შემკული (იხ. ტაბ. $XIII_{13,14,21}$).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყურმილიანი თიხის ჭურჭელი (ტაბ. XII; XIII) ორივე ფენისათვის დამახასიათებელია.

როგორც ზემოთ ითქვა, პრეპარაციის შედეგად, ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში (ნაკვ. $V_{7,8}$) თანამედროვე დონიდან 1,4 მ ქვემოთ, დანახშირებული რამდენიმე ძელისა და გადამწვარი მოედნის მიხედვით ოთხკუთხა ნაგებობის შემზადების ნაშთი დადასტურდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკვეთის ჩრდილოეთით, ზურგას ცენტრალურ ნაწილშიაც, პირველი ნაგებობის შემზადების ნაშთიდან ასე 2,5-2,7 მ დაშორებით, მეორე სათავსოს იატაკის ფრაგმენტი გამოვლინდა. იგი წარმოდგენილი იყო გადამწვარი მოედნით, დანახშირებული ძელების უსახური ფრაგმენტებითა და ბუდობებად განლაგებული თიხის ჭურჭლის ნატეხებით (ტაბ. VII).

სამწუხაროდ, II სამშენებლო (ქვედა) ჰორიზონტი დამატებითი შემაღლება-შეზურგვის პროცესში განიველირებული, მოსწორებული ჩანს; უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნულის შედეგია დასახელებული ფენისა და ფენაში წარმოდგენილი ნეგებობების ჩვენამდე ფრაგმენტული სახით შემორჩენა.

ერთი აშკარაა, ნაკვეთში და საკონტროლო თხრილებში დადასტურებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ჩანს, რომ II სამშენებლო ჰორიზონტის თანადროული ძეგლები თანამედროვე დონეზე ოდნავ შემაღლებულ, ხელოვნურად მოზვინულ ერთიან მოედანზე იყო გამართული.

ზემოაღნიშნული ფენის დეტალური პრეპარაციის, აღწერის, ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდგომ, მოვხსენით, ავალაგეთ არქეოლოგიური მასალა და ბორცვზე შეზვინვის სიმაღლისა და ადრეული ფენების მოძიება-დადგენის მიზნით, ნაკვეთში საკონტროლო (რიგით № 3) თხრილი (სიგრძე 6; სიგანე 1; სიღრმე 2,15; ტაბ. $VI_{1-2}$) გავჭერით. საკონტროლო თხრილში, ერთ ბარისპირზე დაღრმავების შემდგომ, თავი იჩინა მონაცრისფრო-მოცისფრო თიხამიწამ, რომელშიაც იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ბათქაშის, ცეცხლში წითლად ან ღია-ყავისფრად გამომწვარი ფრაგმენტები.

ზემოაღნიშნული ფენა 1,65 მ დაღრმავების შემდგომაც არ შეცვლილა. მისგან განსხვავებით მოზვინულ თიხა-მიწაში ძელების დანახშირებული ნატეხები გვხვდებოდა.

ქვემოთ 1,65-1,75 მ სიღრმეზე, გამოვლინდა ძელები (ტაბ. $VI_3$), რომლებიც იმავე ფერისა და ფაქტურის სტერილურ ფენაზე იდო.

მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო თხრილში დაღრმავება გაგრძელდა, სტერილური ფენა არ შეცვლილა. ზურგას თანამედროვე დონიდან 3,5 მ გრუნტულმა წყალმა ჟონვა დაიწყო.

როგორც ჩანს, 1) ნამოსახლარის გამართვამდე ზურგა მოუზვინიათ, ძელები დაულაგებიათ და ზემოდან თიხა-მიწა დაუყრიათ. ამიტომაცაა, რომ ძელებს ზემოთ მონაცისფრო-მოცისფრო თიხაში ხშირია ძელების, დამწვარი ბათქაშისა და იშვიათად თიხის ჭურჭლის ნატეხების აღმოჩენის ფაქტები. 2) ქვედა საამშენებლო ჰორიზონტის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდგომ ზურგა მოუსწორებიათ, (ამით აიხსნება დასახელებული ფენის ჩვენამდე ფრაგმენტული მოღწევა) და მიმდებარე ტერიტორიიდან მოტანილი მოთეთრო-მოყვითალო თიხით 1,4 მ სიმაღლეზე ხელმეორედ მოუზვინავთ.

3) წინასწარულად, გვიმბალაურის ზურგა და მიმდებარე ტერიტორია, როგორც არქეოლოგიური ძეგლი, მოპოვებული არტეფაქტების საფუძველზე (ზოომორფულყურიანი თიხის ჭურჭელი; იმპორტული და ადგილობრივი; ამფორის

---

* გვიმბალაურის ზურგაზე, ქვედა სამშენებლო ჰორიზონტში მოპოვებული არტეფაქტების შესახებ იხ. საკატალოგო ნაწილი (გვიმბალაურის ზურგა 50/VIII-1)

ფრაგმენტები, სხვადასხვა ტიპის კოლხური სასმისები, კოჭბები, ჯამები, ბადია, ლუთერია, სამფეხა ჯამი და სხვ., ზოგადად ძვ.წ. VII-III სს. თარიღდება.

ამრიგად, საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ დაფინანსების შედეგად გვიმბალაურის ზურგაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის ძეგლების გამოვლენის საშუალება მოგვცა*.

ეს ძეგლებია გვიმბალაურის ზურგა და მიმდებარე ტერიტორია, ფატარი და გაძირული (ტაბ. I):

1. ზემოაღნიშნული ნამოსახლარები ძირითადად მდ. ფიჩორის მარცხენა სანაპიროზეა გამართული.

2. გვიმბალაურს დამატებით ორი პატარა ღელე, თემისტოლი და ორაგვნსღელე, შემოუყვება.

3. ზურგასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაზვერვების პროცესში გამოიკვეთა ნამოსახლარი, რომელშიაც ზურგას გაბატონებული ადგილი უკავია. ბორცვი დომინირებს რა მცირე შეზურგვებზე, მათთან ერთად ქმნის მძლავრ დასახლებას (ფართობი დაახლოებით 8-10 ჰა).

4. ნამოსახლარის სიახლოვეს, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200-220 მ მანძილზე ღადასტურდა ქვაყრილები, რომელთა ხასიათი სინქრონული სამაროვნების არსებობას გვავარაუდებინებს; იგივე კანონზომიერება ვლინდება სხვა ნამოსახლარების (ფატარი, გაძირული) მიმდებარე ტერიტორიებზეც.

სამწუხაროდ, შემუშავებული გეგმა-პროგრამა ფართომასშტაბიან დაზვერვებს არ გულისხმობდა, ამიტომ ნაწილობრივად შესწავლილი ძეგლების შესახებ ზემოაღნიშნული იმფორმაციით ვიზღუდებით.

მომავალში მდ. ფიჩორის მარცხენა სანაპიროზე ფართომასშტაბიანი დაზვერვებისა და გათხრების ჩატარების შემთხვევაში ლანჩხუთის რ-ის არქეოლოგიური რუკის შედგენის შესაძლებლობა გაჩნდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონში არსებული და მიკვლეული ძეგლების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია გაჩნდება.

## გათხრებისა და დაზვერვების პროცესში მოპოვებული არტეფაქტების საკატალოგო აღწერილობა

„გვიმბალაურის ზურგა“ (50/VIII-1; ტაბ. I-VII, XII-XIII).

1. 50/VIII-1 – ინვ. 1*(ტაბ. $XV_1$), სასმისი, მონაცრისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი მოყრილი, ტანი ცილინდრული. პირზე და ტანზე განივკვეთში მრგვალი ყურია დაძერწილი. ყურს ზედა ნაწილში მეჭეჭისებრი დანაძერწი გააჩნია. ტანს ნაღარი საზეები ამკობს (აღდგენილია). შემორჩენილი სიმაღლე – 7 სმ; პირის დმ – 4 სმ.

2. ინვ. 2 (ტაბ. $XII_2$), თიხის ჭურჭლის ყურგვერდის ნაწილი შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ოვალურგანივკვეთიანი ყური ნისკარტისებრი შვერილით ბოლოვდება. ნაჭდევი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,3 სმ.

3. ინვ. 3 (ტაბ. $XII_3$) ყურმილიანი დოქის ყური, ნაცრისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,5 სმ.

4. ინვ. 4 (ტაბ. $XII_4$) თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 1,3 სმ.

5. ინვ. 5 (ტაბ. $XII_5$), თიხის ჭურჭლის ძირგვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირს დაბალი ქუსლი გააჩნია.

6. ინვ. 6 (ტაბ. $XII_6$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 1,1 სმ.

7. ინვ. 7 (ტაბ. $XII_7$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, დამზადებულია მქისე თიხისაგან. ყური დაღარულია. ყურის დმ – 1,8 სმ.

8. ინვ. 8 (ტაბ. $XII_8$), ზოომორფული ყურის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 2 სმ.

9. ინვ. 9 (ტაბ. $XII_9$), თიხის ჭურჭლის ყური, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 1,8 სმ.

10. ინვ. 10 (ტაბ. $XII_{10}$), სასმისის ძირის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირის დმ – 5,5 სმ; შემორჩენილი სიმაღლე – 3,3 სმ.

11. ინვ. 11 (ტაბ. $XII_{11}$), ამფორის ძირის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირის დმ – 2,5 სმ; სიმაღლე – 5 სმ.

12. ინვ. 12 (ტაბ. $XII_{12}$), კვირისტავი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხისა. დმ – 5 სმ; სიმაღლე – 2 სმ.

13. ინვ. 13 (ტაბ. $XII_{13}$), თიხის ჭურჭლის ძირი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,5 სმ.

14. ინვ. 14 (ტაბ. $XII_{14}$), სასმისის ძირი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ასიმეტრიული. სიმაღლე – 4 სმ; დმ – 4 სმ.

15. ინვ. 15 (ტაბ. $XII_{15}$), სასმისის ძირი, მონაცრისფრო-მოჩალისფრო, თიხა ქარსნარევია.

---

* გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და უღრმესი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს მილსადენის კომპანიის ხელმძღვანელობას; პირადად მრჩეველს გარემოს დაცვის საკითხებში ქალბატონ ეკა რუხაძეს, ყოველდღიური ყურადღებისა და თანადგომისათვის.

* 1 – რიგითი ნომერი; 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია; VIII – გვიმბალაური; 1 – ზურგა; 1 – საველე ნომერი.

ძირის დმ – 3,3 სმ; შემორჩენილი სიმაღლე – 3,2 სმ.

16. ინვ. 16 (ტაბ. XII$_{16}$), სასმისის ძირი, ლეგანაცრისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირის დმ – 3,8 სმ.

17. ინვ. 17 (ტაბ. XII$_{17}$), ამფორის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირის სიმაღლე – 6; დმ – 4,5 სმ.

18. ინვ. 18 (ტაბ. XII$_{18}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოჩალისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2 სმ.

19. ინვ. 19 (ტაბ. XII$_{19}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2 სმ.

20. ინვ. 20 (ტაბ. XII$_{20}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია, რომელსაც ღრმა ღარი დაუყვება. ყურის დმ – 2 სმ.

21. ინვ. 21 (ტაბ. XII$_{21}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ზედაპირზე მეჭეჭისებრი დანაძერწი გააჩნია. ყურის დმ – 1,4 სმ.

22. ინვ. 22 (ტაბ. XII$_{22}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2 სმ.

23. ინვ. 23 (ტაბ. XII$_{23}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 1,8 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ.

24. ინვ. 24 (ტაბ. XII$_{24}$), თიხის ჭურჭლის ყური, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2,5 სმ.

25. ინვ. 25 (ტაბ. XII$_{25}$), თიხის ჭურჭლის ყური, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 1,9 სმ.

26. ინვ. 26 (ტაბ. XII$_{26}$), თიხის ჭურჭლის (კანთაროსის?) ყური, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 0,9 სმ.

27. ინვ. 27 (ტაბ. XII$_{27}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2,4 სმ; კეცის სისქე – 0,4 სმ.

28. ინვ. 28 (ტაბ. XII$_{28}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2,3 სმ.

29. ინვ. 29 (ტაბ. XII$_{29}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოწითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე – 0,4 სმ

30. ინვ. 30 (ტაბ. XII$_{30}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გაშლილი, ყელი გამოყვანილი. ყელს ღარი შემოუყვება. კეცის სისქე – 0,7 სმ.

31. ინვ. 31 (ტაბ. XII$_{31}$) თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ბაკო მრგვალი აქვს პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

32. ინვ. 32 (ტაბ. XII$_{32}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოშავოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, ბაკო მრგვალი აქვს პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი სწორი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

33. ინვ. 33 (ტაბ. XII$_{33}$), ბადიის (ლუთერიის?) პირის ფრაგმენტი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გაბრტყელებული. პირზე დატანილია გამჭოლი ნახვრეტები. კეცის სისქე – 3 სმ.

34. ინვ. 34 (ტაბ. XII$_{34}$), თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელს ნაღარი, ხოლო მხარს რელიეფური სარტყლები ამკობს. კეცის სისქე – 0,9 სმ.

35. ინვ. 35 (ტაბ. XII$_{35}$), თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელს ღრმა ღარი, ხოლო მხარს მორგვისეული კონცენტრული ზოლები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,7 სმ.

36. ინვ. 36 (ტაბ. XII$_{36}$), ამფორის(?) ყურის ფრაგმენტი, მოწითალოდ გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ყურის დმ – 3 სმ.

37. ინვ. 37 (ტაბ. XII$_{37}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 1,8 სმ.

38. ინვ. 38 (ტაბ. XII$_{38}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყურის დმ – 1,7 სმ.

39. ინვ. 39 (ტაბ. XII$_{39}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 1,7 სმ.

40. ინვ. 40 (ტაბ. XII$_{40}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარწიბოიანი; ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,6 სმ.

41. ინვ. 41 (ტაბ. XII$_{41}$), დერგის გვერდის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ჰორიზონტალური და ვერტიკალური რელიეფური ზოლები ამკობს. კეცის სისქე – 0,9 სმ.

42. ინვ. 42 (ტაბ. XII$_{42}$), დერგის გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომ-

წვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,9 სმ.

43. ინვ. 43 (ტაბ. $XII_{43}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური მრგვალია. ყურის დმ – 2 სმ.

44. ინვ. 44 (ტაბ. $XII_{44}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოთხკუთხაა. ყურის სიგანე – 0,9 სმ.

45. ინვ. 45 (ტაბ. $XII_{45}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის დმ – 2,4 სმ.

46. ინვ. 46 (ტაბ. $XII_{46}$), ბადიის პირ-გვერდის ფრაგმენტი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი გაბრტყელებული აქვს, კალთა დაქანებული. კეცის სისქე – 0,5 სმ.

47. ინვ. 47 (ტაბ. $XII_{47}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

48. ინვ. 48 (ტაბ. $XII_{48}$), თიხის ჭურჭლის ძირის ნაწილი მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირი ბრტყელია. კეცის სისქე – 0,9 სმ.

49. ინვ. 49 (ტაბ. $XII_{49}$), შურდულის ქვა, სფერული დმ – 4,5 სმ.

50. ინვ. 50 (ტაბ. $XII_{50}$), ბათქაშის ფრაგმენტი, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი. დმ. ≈ 5 სმ.

### ქვედა სამშენებლო ჰორიზონტში აღმოჩენილი არტეფაქტები

51. ინვ. 51 (ტაბ. $XII_{1}$), კვირისტავი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. სიმაღლე – 3,3; ძირის დმ – 4,5; ზედა ნაწილის დმ – 2 სმ.

52. ინვ. 52 (ტაბ. $XII_{2}$), ყურმილიანი დოქის ყურის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. სიგრძე – 8 სმ.

53. ინვ. 53 (ტაბ. $XII_{3}$) სასმისის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, ნაცრისფრად გამომწვარი, დამზადებულია მჭისე თიხისაგან. ძირი ბრტყელი აქვს. შემორჩენილი სიმაღლე – 3,5; ძირის დმ – 3 სმ.

54. ინვ. 54 (ტაბ. $XII_{4}$), ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (2 ნატეხი), ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი გადაშლილი აქვს, ყელი მაღალი, მხარი მკვეთრად გაფართოებული. ზემოდან ნაღარი კონცენტრული სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,4 სმ.

55. ინვ. 55 (ტაბ. $XII_{5}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. ყელი მაღალი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,7 სმ.

56. ინვ. 56 (ტაბ. $XII_{6}$), თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელი დაბალი აქვს, მხართან მკვეთრად გამოყვანილი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

57. ინვ. 57 (ტაბ. $XII_{7}$), თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს კონცენტრული ღარები ამკობს. კეცის სისქე – 0,3 სმ.

58. ინვ. 58 თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელს ძირში კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,3 სმ.

59. ინვ. 59 (ტაბ. $XII_{8}$) თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,3 სმ.

60. ინვ. 60 (ტაბ. $XII_{9}$), თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, ნაცრისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,4 სმ.

61. ინვ. 61 (ტაბ. $XII_{10}$), თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის სიგანე – 2 სმ.

62. ინვ. 62 (ტაბ. $XII_{11}$) ქვევრის მხრის ფრაგმენტი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური სარტყლები და ნაკაწრი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,7 სმ.

63. ინვ. 63 (ტაბ. $XII_{12}$), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური კოპი ამკობს. კეცის სისქე – 0,6 სმ.

64. ინვ. 64 (ტაბ. $XII_{13}$), თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ნაღარი ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,6 სმ.

65. ინვ. 65 (ტაბ. $XII_{14}$), თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ნაღარი და ნაჭდევი წიწვისებური სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,5 სმ.

66. ინვ. 66 (ტაბ. $XII_{15}$), თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,8 სმ.

67. ინვ. 67 (ტაბ. $XII_{16}$), თიხის ჭურჭლის ძირი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,6 სმ.

68. ინვ. 68 (ტაბ. $XII_{17}$), თიხის ჭურჭლის ძირი მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,9 სმ.

69. ინვ. 69 (ტაბ. $XII_{18}$), ქვევრის გვერდის ფრაგმენტი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური სარტყელი ამკობსკეცის სისქე – 0,8 სმ.

70. ინვ. 70 (ტაბ. $XII_{19}$), ქვევრის გვერდის ფრაგმენტი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური სარტყელი ამკობს. კეცის სისქე – 0,8 სმ.

71. ინვ. 71 (ტაბ. $XII_{20}$), თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია.

72. ინვ. 72 (ტაბ. XII), თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილები, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ნაღარი და ნაჭდევი წიწვისებრი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,7 სმ.

## „გვიმბალაურის ზურგა“ და მიმდებარე ტერიტორია (50/VIII-2; ტაბ. I, II, XIV-XVII)

1. 50/VIII – 2 – ინვ. 1 (ტაბ. $XIV_1$),* ზოომორფული ყურის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის სიგანე – 2,2 სმ.

2. ინვ. 2 (ტაბ. $XIV_2$), ჯამის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,7 სმ.

3. ინვ. 3 (ტაბ. $XIV_3$), ხუფის ნაწილი, მოჩალისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, სახელურის დანაძერწის ადგილი ემჩნევა. კეცის სისქე – 0,6 სმ.

4. ინვ. 4 (ტაბ. $XIV_4$), ჯამის ნაწილი, ნაცრისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,6 სმ.

5. ინვ. 5 (ტაბ. $XIV_5$), ჯამის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი. კეცის სისქე – 0,8 სმ.

6. ინვ. 6 (ტაბ. $XIV_6$), ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი დაბრტყელებული აქვს. ზედაპირს ნაღარი ზოლები ამკობს. პირის სიგანე – 1,6; კეცის სისქე – 1,1 სმ.

7. ინვ. 7 (ტაბ. $XIV_7$), ჯამის ნაწილი, ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, მხარი და კალთა გაშლილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 3,5; კეცის სისქე – 0,8 სმ.

8. ინვ. 8 (ტაბ. $XIV_8$), სასმისის ქუსლი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. შემორჩენილი სიმაღლე – 4,5; დმ – 3 სმ.

9. ინვ. 9 (ტაბ. $XIV_9$), სასმისის ქუსლი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. შემორჩენილი სიმაღლე – 2,5; დმ – 9 სმ.

10. ინვ. 10 (ტაბ. $XIVI_{10}$), ჯამის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი და კალთა გადაშლილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 4; კეცის სისქე – 0,6 სმ.

11. ინვ. 11 (ტაბ. $XIV_{11}$), ჯამის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი დაბრტყელებული აქვს, ოდნავ მოყრილი კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 3,9; კეცის სისქე – 0,7 სმ.

12. ინვ. 12 (ტაბ. $XIV_{12}$), სამარილე მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ასიმეტრიული, პირი მოყრილი აქვს, ბაკო მრგვალი, კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 2,5; პირის დმ – 4,8; ძირის დმ – 2,7 სმ.

13. ინვ. 13 (ტაბ. $XIV_{13}$), ჯამის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, თიხა ქარსნარევია. კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 4,5; კეცის სისქე – 0,6 სმ.

14. ინვ. 14 (ტაბ. $XIV_{14}$), ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,5 სმ.

15. ინვ. 15 (ტაბ. $XIV_{15}$), ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი ოდნავ მოყრილი აქვს, კალთა გამოყვანილია. კეცის სისქე – 0,8 სმ.

16. ინვ. 16 (ტაბ. $XIV_{16}$), დოქის? ყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელს ნაღარი და ნაჭდევი სახეები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

17. ინვ. 17 (ტაბ. $XIV_{17}$), თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს ნაღარი კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,9 სმ.

18. ინვ. 18 (ტაბ. $XIV_{18}$), თიხის ჭურჭლის ყელგვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს ნაღარი კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

19. ინვ. 19 (ტაბ. $XIV_{19}$), დერგის გვერდის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,1 სმ.

20. ინვ. 20 (ტაბ. $XIV_{20}$), დერგის ყელგვერდის ნაწილი, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყელსა და მხარს რელიეფური სარტყლები ამკობს. კეცის სისქე – 1,1 სმ.

21. ინვ. 21 (ტაბ. $XIVI_{21}$), დერგის ყელგვერდის ნაწილი, წითლად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს რელიეფური და ნაღარი სახეები შემოუყვება. კეცის სისქე – 1,2 სმ.

22. ინვ. 22 (ტაბ. $XIV_{22}$), თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს მეჭეჭისებრი კოპი და ნაღარი სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,7 სმ.

23. ინვ. 23 (ტაბ. $XIV_{23}$), კანთაროსის(?) ყური, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ყური მრგვალია. ყურის დმ – 0,1 სმ.

24. ინვ. 24 (ტაბ. $XIVI_{24}$), თიხის ჭურჭლის ყური მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. განივკვეთში ოვალურ ყურს მარცვლისებრი ნაჭდევები ამკობს. ყურის სიგანე – 2,7 სმ.

25. ინვ. 25 (ტაბ. $XIV_{25}$), თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პი-

---

* 1 – რიგითი ნომერი; 50 – გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია; VIII – გვიმბალაური; 2 – უბანი 1 – საველე ნომერი.

რი ოდნავ გადაშლილი, ყელი ცილინდრული. კეცის სისქე – 0,7 სმ.

26. ინვ. 26 (ტაბ. $XIV_{26}$), ბადიის პირის ნაწილი ჩალისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირის სიგანე – 2,5 სმ.

27. ინვ. 27 (ტაბ. $XIV_{27}$), თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს კონცენტრული ღრმა ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,9 სმ.

28. ინვ. 28 (ტაბ. $XIV_{28}$), თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, ჩალისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,1 სმ.

29. ინვ. 29 (ტაბ. $XIV_{29}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, ჩალისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი ფართოა, ოდნავ ჩაღარული. პირის სიგანე – 2; კეცის სისქე – 0,1 სმ.

30. ინვ. 30 (ტაბ. $XIV_{30}$), თიხის ჭურჭლის ყელ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ნაღარი კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,8 სმ.

31. ინვ. 31 (ტაბ. $XIV_{31}$), დერგის პირ-ყელის ნაწილი, მონაცრისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი. კეცის სისქე – 0,1 სმ.

32. ინვ. 32 (ტაბ. $XIV_{32}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

33. ინვ. 33 (ტაბ. $XIV_{33}$), ამფორის ყურის ნაწილი, აგურისფრად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. განივკვეთში ოვალურ ყურს თითის ანაბეჭდი აქვს დატანილი. ყურის სიგანე – 3,7 სმ.

34. ინვ. 34 (ტაბ. $XIV_{34}$), ამფორის ყური მოყვითალოდ გამომწვარი, განივკვეთში ყური ოვალურია. ყურის სიგანე – 4 სმ.

35. ინვ. 35 (ტაბ. $XIV_{35}$), ამფორის ყურის ნაწილი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. ქვემოთ ყურს თითის ანაბეჭდი აქვს დატანილი. ყურის სიგანე – 4 სმ.

36. ინვ. 36 (ტაბ. $XIV_{36}$), ამფორის ქუსლი აგურისფრად გამომწვარი, თიხა მინარევებს შეიცავს. შემორჩენილი სიმაღლე – 4,2 ; ქუსლის დმ – 2,4 სმ.

37. ინვ. 37 (ტაბ. $XIV_{37}$), სინოპური ამფორის ძირი, კეცი ღია მოყავისფრო, თიხაში პიროქსენის ნაწილაკებია შერეული. ძირის დმ – 4,5; კეცის სისქე – 1,1 სმ.

38. ინვ. 38 (ტაბ. $XIV_{38}$), ამფორის გვერდის ფრაგმენტი ღია ყავისფერი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცის სისქე – 2,4 სმ.

39. ინვ. 39 (ტაბ. $XIV_{39}$), კვირისტავი თიხისა ქარსნარევია. ნაკლული. დმ – 4,8 სმ.

40. ინვ. 40 (ტაბ. $XIV_{40}$), თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ყური განივკვეთში ოვალურია. კეცის სისქე – 0,6 სმ.

41. ინვ. 41 (ტაბ. $XIV_{41}$), დერგის პირის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 1,5 სმ.

42. ინვ. 42 (ტაბ. $XIV_{42}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ზედაპირს ნაღარი ტალღისებრი და კონცენტრული სახეები ამკობს. კეცის სისქე – 0,5 სმ.

43. ინვ. 43 (ტაბ. $XIV_{43}$), დერგის პირის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი ფართო აქვს, ბაკო მრგვალი. პირის სიგანე – 3 სმ.

44. ინვ. 44 (ტაბ. $XIV_{44}$), ლანგრის? ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირსა და ყელს ნაღარი კონცენტრული ღარი შემოუყვება. პირის სიგანე – 2; კეცის სისქე – 1,6 სმ.

45. ინვ. 45 (ტაბ. $XV_{1}$), კვირისტავი თიხისა, ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. სიმაღლე – 3,3; დმ – 5,2 სმ

46. ინვ. 46 (ტაბ. $XV_{2}$), სადგრის ნაწილი, აგურისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. დაზიანებულია. შემორჩენილი სიგრძე – 11 სმ.

47. ინვ. 47 (ტაბ. $XV_{3}$), სადგრის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, რქისებრი. დმ – 1,7 სმ.

48. ინვ. 48 (ტაბ. $XV_{4}$), სალესი, რიყის ქვის. შემორჩენილი სიგრძე – 5,2; სიგანე – 4 სმ.

49. ინვ. 49 (ტაბ. $XV_{5}$), სალესი, რიყის ქვის. ენისებრი, ასიმეტრიული. სიგრძე – 12,5 სმ.

50. ინვ. 50 (ტაბ. $XV_{6}$), სასმისის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ძირის დმ – 4,2 სმ.

51. ინვ. 51 (ტაბ. $XV_{7}$), სასმისის ძირის ნაწილი, მოწითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე – 0,4 სმ.

52. ინვ. 52 (ტაბ. $XV_{8}$), სასმისის ძირის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. დმ – 6,2 სმ.

53. ინვ. 53 (ტაბ. $XV_{9}$), სასმისის ფეხის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. სიგრძე – 6,5; დმ – 3 სმ.

54. ინვ. 54 (ტაბ. $XV_{10}$), ამფორის პირ-ყელის ნაწილი, აგურისფრად გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. კეცის სისქე – 0,5 სმ.

55. ინვ. 55 (ტაბ. $XV_{11}$), ჯამის ნაწილი, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. პირი მოყრილი აქვს, ბაკო გაბრტყელებული, კალთა გამოყვანილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 3,5; კეცის სისქე – 0,7 სმ.

56. ინვ. 56 (ტაბ. $XV_{12}$), ჯამის ნაწილი მოყავისფროდ გამომწვარი, პირი მოყრილი აქვს, მხარი ბირთვისებრი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 4,5; კეცის სისქე – 0,6 სმ.

57. ინვ. 57 (ტაბ. $XV_{13}$), ჯამის ნაწილი ყავისფრად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მომრგვალებული აქვს, კალთა სწორი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე – 4,2; კეცის სისქე – 0,4 სმ.

58. ინვ. 58 (ტაბ. $XV_{14}$), ქოთნის ყელ-გვერდის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. მხარს ნაღარი კონცენტრული ხაზები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,4 სმ.

59. ინვ. 59 (ტაბ. $XV_{15}$), კოჭობის პირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, ყელი კონუსური. კეცის სისქე – 0,7 სმ.

60. ინვ. 60 (ტაბ. $XV_{16}$), დერგის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადმოკეცილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

61. ინვ. 60 (ტაბ. $XV_{17}$), თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

62. ინვ. 60 (ტაბ. $XV_{18}$), თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

63. ინვ. 60 (ტაბ. $XV_{19}$), ქვევრის (დერგის?) პირის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილმარცვლოვან მინარევებს შეიცავს. პირი დაბრტყელებული აქვს. პირის სიგანე – 2,5 სმ.

64. ინვ. 60 (ტაბ. $XV_{20}$), დერგის პირ-გვერდის ნაწილი, თიხა ქარსნარევია, აგურისფრად გამომწვარი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

15. ინვ. 15 (ტაბ. XXIII$_2$) – დერგის პირ-ყელის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, შეზნექილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

16. ინვ. 16 (ტაბ. XXIII$_3$) – დერგის პირ-ყელის ნაწილი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირი მომრგვალებული (ლილვაკისებური) აქვს, ყელი შეზნექილი. პირს გარეთა მხრიდან კონცენტრული ღარი შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

17. ინვ. 17 (ტაბ. XXIII$_4$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, პირი მომრგვალებული აქვს, ყელი მაღალი, სწორი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

18. ინვ. 18 (ტაბ. XXIII$_5$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი მომრგვალებული აქვს, ყელი სწორი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

19. ინვ. 19 (ტაბ. XXIII$_6$) – ქილის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, შეზნექილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

20. ინვ. 20 (ტაბ. XXIII$_7$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

21. ინვ. 21 (ტაბ. XXIII$_8$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

22. ინვ. 22 (ტაბ. XXIII$_9$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

23. ინვ. 23 (ტაბ. XXIII$_{10}$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

24. ინვ. 24 (ტაბ. XXIII$_{11}$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

25. ინვ. 25 (ტაბ. XXIII$_{12}$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

26. ინვ. 26 (ტაბ. XXIII$_{13}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გარეთ გადაკეცილი. ზედაპირს კონცენტრული ღარები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

27. ინვ. 27 (ტაბ. XXIII$_{14}$) – თიხის ჭურჭლის პირის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

28. ინვ. 26 (ტაბ. XXIII$_{15}$) – თიხის ჭურჭლის პირის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

29. ინვ. 29 (ტაბ. XXIII$_{16}$) – თიხის ჭურჭლის პირის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

30. ინვ. 30 (ტაბ. XXIII$_{17}$) – თიხის ჭურჭლის პირის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

31. ინვ. 31 (ტაბ. XXIII$_{18}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მონაცრისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. პირს ერთი კონცენტრული ღარი შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

32. ინვ. 32 (ტაბ. XXIII$_{19}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი, ყელი დაბალი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

თხრილი 2; № 2 სათავსოში მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები:

33. ინვ. 33 (ტაბ. XXIV$_{1}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

34. ინვ. 34 (ტაბ. XXIV$_{2}$) – ქოთნის პირყელის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაკეცილი, ყელი მაღალი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

35. ინვ. 35 (ტაბ. XXIV$_{3}$) – ქოთნის პირის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, პირს ყელთან ერთი კონცენტრული ღარი შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

36. ინვ. 36 (ტაბ. XXIV$_{4}$) – ქოთნის პირყელის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

37. ინვ. 37 (ტაბ. XXIV$_{5}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

38. ინვ. 38 (ტაბ. XXIV$_{6}$) – ქოთნის პირ-ყელის ნაწილი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, დაბრტყელებული. კეცის სისქე – 0,5 სმ.

39. ინვ. 39 (ტაბ. XXIV$_{7}$) – ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

40. ინვ. 40 (ტაბ. XXIV$_{8}$) – თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

41. ინვ. 41 (ტაბ. XXIV$_{9}$) – ქილის პირყელისა და მუცლის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, ცილინდრულ ტანს წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები დაუყვება. კეცის სისქე – 0,6 სმ.

42. ინვ. 42 (ტაბ. XXIV$_{10}$) – ქილის პირყელის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი. ყელს კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,4 სმ.

43. ინვ. 43 (ტაბ. XXIV$_{11}$) – ქოთნის პირყელის ნაწილი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი, ყელს კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,5 სმ.

44. ინვ. 44 (ტაბ. XXIV$_{12}$) – დერგის პირყელის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, პირს ორი კონცენტრული ღარი შემოუყვება. კეცის სისქე – 0,7 სმ.

45. ინვ. 45 (ტაბ. XXIV$_{13}$) – ქილის პირყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელს ძირთან ირიბი ნაჭდევები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

46. ინვ. 46 (ტაბ. XXIV$_{14}$) – კოჭბის პირყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

47. ინვ. 47 (ტაბ. XXIV$_{15}$) – კოჭბის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

48. ინვ. 48 (ტაბ. XXIV$_{16}$) – კოჭბის პირყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,2 სმ.

49. ინვ. 49 (ტაბ. XXIV$_{17}$) – კოჭბის პირყელისა და მხრის ნაწილი, მონაცრისფროდ გამომწვარი, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი, მხარი დაქანებული. მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,4 სმ.

50. ინვ. 50 (ტაბ. XXIV$_{18}$) – თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ყელი შეზნექილი აქვს, მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

51. ინვ. 51 (ტაბ. XXIV$_{19}$) – თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, წითლად გამომწვა-

რი, ყელი შეზნექილი აქვს, მხარს კონცენტრული ღარები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,3 სმ.

52. ინვ. 52 (ტაბ. $XXIV_{20}$) – თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, მხარს ყელთან კონცენტრული ღარები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

53. ინვ. 53 (ტაბ. $XXIV_{21}$) – თიხის ჭურჭლის ყელის მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ყელს ნაღარი კონცენტრული ზოლები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

54. ინვ. 54 (ტაბ. $XXV_1$) – თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

55. ინვ. 55 (ტაბ. $XXV_2$) – თიხის ჭურჭლის ძირი, მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

56. ინვ. 56 (ტაბ. $XXV_3$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,9 სმ.

57. ინვ. 57 (ტაბ. $XXV_4$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

58. ინვ. 58 (ტაბ. $XXV_5$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

59. ინვ. 59 (ტაბ. $XXV_6$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

60. ინვ. 60 (ტაბ. $XXV_7$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

61. ინვ. 61 (ტაბ. $XXV_8$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

62. ინვ. 62 (ტაბ. $XXV_9$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

63. ინვ. 63 (ტაბ. $XXV_{10}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მონაცრისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

64. ინვ. 64 (ტაბ. $XXV_{11}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

65. ინვ. 65 (ტაბ. $XXV_{12}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

66. ინვ. 66 (ტაბ. $XXV_{13}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

67. ინვ. 67 (ტაბ. $XXV_{14}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

68. ინვ. 68 (ტაბ. $XXV_{15}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

69. ინვ. 69 (ტაბ. $XXV_{16}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

70. ინვ. 70 (ტაბ. $XXV_{17}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

71. ინვ. 71 (ტაბ. $XXV_{18}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,4 სმ.

72. ინვ. 72 (ტაბ. $XXV_{19}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

73. ინვ. 73 (ტაბ. $XXV_{20}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი. კეცის სისქე – 0,6 სმ.

74. ინვ. 74 (ტაბ. $XXV_{21}$) – ჯამი, პირმოყრილი, მოყავისფროდ გამომწვარი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

75. ინვ. 75 (ტაბ. $XXV_{22}$) – ჯამი, პირმოყრილი, მოწითალოდ გამომწვარი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

76. ინვ. 76 (ტაბ. $XXV_{23}$) – ფიალის ნაწილი, ბაკო დაბრტყელებული აქვს, კალთა მომრგვალებული. კეცის სისქე – 0,5 სმ.

77. ინვ. 77 (ტაბ. $XXV_{24}$) – ფიალის ნაწილი, პირმოყრილი. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

78. ინვ. 78 (ტაბ. $XXV_{25}$) – ჯამი, პირმოყრილი, მოყავისფროდ გამომწვარი, გვერდი მომრგვალებული აქვს, კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი, შიდაპირს წნევით დატანილი ნაპრიალები სახეები ამკობს. სიმაღლე – 4,5 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ.

79. ინვ. 79 (ტაბ. $XXV_{26}$) – ქილის ძირ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ძირი ბრტყელი აქვს. ძირის დმ – 5 სმ.

80. ინვ. 80 (ტაბ. $XXV_{27}$) – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, მოწითალო-მონაცრისფრო,

ზოომორფული, განივკვეთში ოვალურია. სიგანე – 2 სმ.

81. ინვ. 81 (ტაბ. $XXV_{28}$) – თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო, ძირი ბრტყელია. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,7 სმ.

82. ინვ. 82 (ტაბ. $XXV_{29}$) – თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალურია. სიგანე – 2,5 სმ.

83. ინვ. 83 (ტაბ. $XXV_{30}$) – ქოთნის პირყელისა და მხრის ნაწილი, მონაცრისფრო-მოყავისფრო, პირი გადაშლილი აქვს, ყელი დაბალი, მხარი გამობერილი, მხარზე განივკვეთში ოვალური ყურია დაძერწილი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

84. ინვ. 84 (ტაბ. $XXV_{31}$) – თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია, რომელსაც ზედა ნაწილში მეჭეჭისებრი დანაძერწი გააჩნია. კეცის სისქე – 0,4 სმ.

85. ინვ. 85 (ტაბ. $XXV_{32}$) – თიხის ჭურჭლის ყურ-გვერდის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,3 სმ.

86. ინვ. 86 (ტაბ. $XXVI_{1}$) – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია. ყურის სიგანე – 2,5 სმ.

87. ინვ. 87 (ტაბ. $XXVI_{2}$) – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, წითლად გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია, თიხა ქარსნარევი. ყურის სიგანე – 3 სმ.

88. ინვ. 88 (ტაბ. $XXVI_{3}$) – თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია. ყურის სიგანე – 0,9 სმ.

89. ინვ. 89 (ტაბ. $XXVI_{4}$) – თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფროდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია. ყურის სიგანე – 2 სმ.

90. ინვ. 90 (ტაბ. $XXVI_{5}$) – თიხის ჭურჭლის ყური, წითლად გამომწვარი, ყური განივკვეთში მრგვალია. ყურის სიგანე – 2 სმ.

91. ინვ. 91 (ტაბ. $XXVI_{6}$) – თიხის ჭურჭლის ყური, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ყური განივკვეთში ოვალურია. თიხა ქარსნარევი. ყურის სიგანე – 2 სმ.

92. ინვ. 92 (ტაბ. $XXVI_{7}$) – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, ყავისფრად გამომწვარი, განივკვეთში ოვალურია, ზედაპირს ორი მეჭეჭისებრი დანაძერწი გააჩნია. თიხა ქარსნარევი. ყურის სიგანე – 2,5 სმ.

93. ინვ. 93 (ტაბ. $XXVI_{8}$) – თიხის ჭურჭლის ყურის ნაწილი, მოჩალისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალურია, თიხა ქარსნარევი. ყურის სიგანე – 1,3 სმ.

94. ინვ. 94 (ტაბ. $XXVI_{9}$) – თიხის შვერილი, წითლად გამომწვარი, ცილინდრული ფორმის. სიგრძე – 7 სმ.; დმ. – 2,5 სმ.

95. ინვ. 95 – თიხის ჭურჭლის მუცლის ნაწილი, წითლად გამომწვარი, ზედაპირზე ფართო კანელურები დაუყვება. კეცის სისქე – 0,6 სმ.

96. ინვ. 96 – თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე ერთი რელიეფური ხოლი, ხოლოს ქვემოთ ირიბი ფართო ნაჭდევები შემოუყვება. კეცის სისქე – 0,6 სმ.

97. ინვ. 97 – თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი, მოწითალოდ გამომწვარი, ყურის დაძერწვის კვალი ემჩნევა. კეცის სისქე – 0,3 სმ.

98. ინვ. 98 (ტაბ. $XXVI_{10}$) – თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი, მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირს ნაღარი, კონცენტრული ხაზები შემოუყვება. თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე – 0,5 სმ.

99. ინვ. 99 (ტაბ. $XXVI_{11}$) – თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ნაწილი, შავად გამომწვარი, ყელი დაბალი, მხარი დაქანებული, ყელს ძირთან გრეხილი, რელიეფური სარტყელი შემოუყვება, მხარზე რელიეფური დანაძერწი გააჩნია. კეცის სისქე – 0,4 სმ.

100. ინვ. 100 (ტაბ. $XXVI_{12}$) – თიხის კვირისტავი, მოყავისფრო, კონუსური ფორმის, ასევითვე ნახვრეტით, ზედაპირს წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები დაუყვება. დმ. – 5 სმ.; h-3 სმ.

101. ინვ. 101 – ხელსაფქვავი ქვის. სიგრძე – 13 სმ.

102. ინვ. 102 – კაჟის ქვა. სიგრძე – 7 სმ.

103. ინვ. 103 – კაჟის ქვა, სფერული. დმ. – 6 სმ.

104. ინვ. 104 – სანაყი რიყის ქვა. სიგრძე – 10,5 სმ.

105. ინვ. 105 – სანაყი რიყის ქვა (დაზიანებულია). შემორჩენილი სიგრძე – 9,5 სმ.

106. ინვ. 106 – შურდული რიყის ქვის, სფერული. დმ.- 5 სმ.

107. ინვ. 107 – შურდული რიყის ქვის, სფერული. დმ. – 5,5 სმ.

108. ინვ. 108 – შურდული თიხის, სფერული. დმ. – 3 სმ.

109. ინვ. 109 – ბათქაშის ფრაგმენტი, ემჩნევა ცეცხლის კვალი. სიგრძე – 12 სმ.

ფიქსაციის შემდგომ, სათავსოს ნაშთები ავალაგეთ და ნაკვეთი საკონტროლო თხრილით (18×1×1,5 მ) გავჭერით. ქვემოთ კულტურული ფენა არ დადასტურდა. როგორც ჩანს, პირველი ნაკვეთისაგან განსხვავებით ზემოაღნიშნული ორი სათავსო არ წარმოადგენდა ნახევრადმიწურს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორი ნაგებობა პირდაპირ, ყოველგვარი შემზადების გარეშე უნდა ყოფილიყო ნიადაგზე გამართული.

პარალელურად სამუშაოები მეშვიდე თხრილშიც გრძელდებოდა. იქაც საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა გამოვლინდა. სამწუხაროდ, ამჟამად შედარებით დაჭაობებულ მონაკვეთში გრუნტულმა წყლებმა სამუშაოების გაგრძელების საშუალება არ მოგვცა.

სამუშაოების დასასრულს ძირითადად მიმდინარეობდა გათხრილი თხრილებისა და შესწავლილი ნაკვეთების შევსება-რეკულტივაცია.

ამრიგად, რა მოგვცა მიმდინარე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სოფ. ნიგოეთში.

ა. გაირკვა ნამოსახლარის გავრცელების მიახლოებითი საზღვრები (8-12 ჰა).

ბ. კულტურული ფენების სიმძლავრე.

გ. ნაგებობის ტიპი.

დ. სტრატიგრაფია.

ე. ზოგადად დასახლების (ძვ.წ. IX-VII სს.), ასევე კონკრეტულად რამდენიმე ნაგებობის ფუნქციონირების დრო (ძვ.წ. VIII-VII სს.), რომელიც მოიცავს კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მნიშვნელოვან მონაკვეთს.

ზემოაღნიშნული სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა დაზვერვები ჯაპანა-შუხუთის (ლანჩხუთის რ-ნი) შუალედურ ტერიტორიაზე.

გაიწმინდა და აიგეგმა ქვიანში (ტაბ. XXIX), ჯაპანასა (ტაბ. $XXIII_{1-2}$) და შუხუთში (ტაბ. $XXVIII_{1-3}$) გამოვლენილი საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთები.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I, 1 – ნიგოითის ნამოსახლარი. საერთო გეგმა.

ტაბ. II, 1-2 – ნიგოითი, ნაკვეთი I, პრეპარაციის პროცესი.

ტაბ. III, 1-3 – ნიგოითი, ნაკვეთი I, პრეპარაციის შემდგომ, დეტალები.

ტაბ. IV, 1-3 – ნიგოითი, ნაკვეთი I, დეტალები.

ტაბ. V, 1-3 – ნიგოითი, ნაკვეთი I, სათავსო 1 და 2, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. VI, 1-16 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 1-16).

ტაბ. VII, 1-14 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 17-30).

ტაბ. VIII, 1-12 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 31-42).

ტაბ. IX, 1-12 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 44-55).

ტაბ. X, 1-8 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე თიხის ჭურჭლისა და ხელსაფქვავების ნატეხები, შურდულის ქვა (ინვ. 56-65).

ტაბ. XI, 1-5 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტიდან მომდინარე სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღის ნატეხები (ინვ. 64-69).

ტაბ. XII, 1 – ნიგოითი, ნაკვეთი I, ზედა სამშენებლო ჰორიზონტი, კაჟის ჩასართი (ინვ. 70); 2-7 – თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 71-77); 8-11 – ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი, თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 79-81).

ტაბ. XVIII, 1-13 – სათავსო № 1, ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი, თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 82-94).

ტაბ. XIV, 1-6 – სათავსო № 1, ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი, თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 96-101); 7-9 – სათავსო № 1, ქვედა სამშენებლო ჰორიზონტი, სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღი (ინვ. 102-104).

ტაბ. XV, 1 – ნიგოითი, თხრილი № 5, სათავსო 1-3 პრეპარაციის შემდგომ; გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XVI, 1-17 – ნიგოითი, თხრილი № 5; მე-2 სათავსოდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 110-126).

ტაბ. XVII, 1-18 – ნიგოითი, თხრილი № 5; მე-2 სათავსოდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 127-146).

ტაბ. XVIII, 1-15 – ნიგოითი, თხრილი № 5; მე-2 სათავსოდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 147-161).

ტაბ. XIX, 1-13 – ნიგოითი, თხრილი № 5; მე-2 სათავსოდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 162-174).

ტაბ. XX, 1-9 – მე-2 სათავსოდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხები, კაჟისა და ქვის შურდულის ქვა (ინვ. 175-183).

ტაბ. XXI, 1 – თხრილი № 2; № 1 და № 2 სათავსო პრეპარაციის შემდგომ; გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XXII, 1-13 – თხრილი № 2; № 1 სათავსოს ტერტორიაზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 1-13).

ტაბ. XXIII, 1-19 – თხრილი № 2; № 2 სათავსოს ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 14-32).

ტაბ. XXIV, 1-21 – თხრილი № 2; № 2 სათავსოს ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 33-53).

ტაბ. XXV, 1-32 – თხრილი № 2; გათხრილ ფართობზე აკრეფილი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. 54-85).

ტაბ. XXVI, 1-12 – თხრილი № 2; გათხრილ ფართობზე აკრეფილი თიხის ჭურჭლის ნატეხები და კვირისტავი (ინვ. 86-100).

ტაბ. XXVII, 1-2 – ჯაპანა. ეკლესიის ტოპოგეგმა; გეგმა და ჭრილი.

ტაბ. XXVIII, 1-3 – შუხუთი. ეკლესიის ტოპოგეგმა; გეგმა და ჭრილები.

XXIX, 1 – ქვიანი. ნამოსახლარის ტოპოგეგმა.

ტაბ. I


მდ. ფიჩორის ახალი კალაპოტი
თხრილი № 2
თხრილი № 4
თხრილი № 3
თხრილი № 1
თხრილი № 7
თხრილი № 6
თხრილი № 5
თხრილი № 8
თხრილი გათხრილი 1997 წ.
ნავთობსადენის ტრასა
0 10 20 30 40 50 100 m







ტაბ. III













ტაბ. V







კვეთი I - I




კვეთი II - II





## ტაბ. VII





# ტაბ. IX





# ტაბ. XI




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

# ტაბ. XIII





# ტაბ. XV


1
2
3
N
0 1 2 3m
12.0 m
1.0m
ჭრილი II-II
±0,00
-0,35
-1,00
-1,55
ჭრილი I-I
±0,00
-0,25
-1,90
-0,50
ფენა-ფენა აღწერილობა


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
15
13
14
16
17

ტაბ. XVII




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15

ტაბ. XIX




1


2


3


4


5


6


7


8


9

# ტაბ. XXI




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13

## ტაბ. XXIII




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21

ტაბ. XXV


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

# ტაბ. XXVII

ჯაჯანა - ეკლესიის ტოპოგეგმა. 2000 წ.




ჯაჯანა. ეკლესია. 2002 წ.




N
-0,26
-0,37
+0,03
+0,25
-0,25
-0,06
+0,50
-0,04
+0,40
-0,57
+0,10
±0,00
+0,50
+0,25
+0,50
+0,05
+0,25
-0,28
+0,22
+0,25
+0,27
+0,37
+0,04
+0,20
+0,25
±0,00
+0,54
-0,06
0
5
10 m

1


625
10
-0,50
-0,66
-0,42
-0,49
+0,22
±0,00
+0,40
+0,30
+0,09
-0,49
-0,46
-0,11
70
252
424
-0,40
-0,50
-0,10
+0,30
-0,35
280
77
-0,50
140
97
56
25
159
25
172
+0,50
-0,43
-0,35
-0,58
+0,40
66
+0,36
+0,61
-0,12
-0,32
-0,29
217
74
349
10
77
483
75
635

2


ჭრილი I-I
ჭრილი II-II
0
5

3

ტაბ. XXIX



რევაზ პაპუაშვილი

# ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო

სოფელი ერგეტა მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რაიონული ცენტრიდან 28 კმ-ის დაშორებით. სოფ. ერგეტაში სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი სამაროვანია აღმოჩენილი. II სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ზღვიდან 2,5 კმ. აღმოსავლეთით.

სამაროვანი ითხრებოდა 1980-82 და 1997-99 წლებში. ეს სამაროვანი, თავისი მორფოლოგიური აგებულებითა და ნივთიერი მასალის შედგენილობით, მსგავსია ამავე სოფელში მიკვლეული სხვა სამი სამაროვნისა და ცენტრალურ კოლხეთში ცნობილი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ანალოგიური ძეგლებისა.

ამ ტიპის კოლხური სამაროვნების დამახასიათებელი ნიშნებია მიწის ზედაპირზე გამართული საკულტო მოედნები და საკულტო მოედნის პერიმეტრზე განლაგებული დიდი ზომის კოლექტიური სამარხი ორმოები, მიცვალებულების მეორადი დაკრძალვით. ამ ნიშნების მატარებელი, კოლხეთში ცნობილი, ორ ათეულამდე სამაროვანი ერთ გარკვეულ ჯგუფად ერთიანდება. ისინი მკვეთრად გამოირჩევიან სხვადასხვა ეპოქის, რეგიონებისა და კულტურის სამაროვანთაგან.

საკულტო მოედნის შემადგენელ კომპონენტებად მიჩნეულია: 1) ტრაპეზისა და კულტთან დაკავშირებული რიტუალის მატერიალური ნაშთების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენა, რომელიც განსაზღვრავს მოედნის ფართობს; 2) სპეციალური საძვლე ორმოები, თხრილები ან გროვები მიცვალებულთა კრემირებული ძვლებისათვის და 3) ქვაყრილები, რომლებიც შესაძლოა საკრემაციო ქურების ან სამსხვერპლოების ნანგრევებს განასახიერებენ.

საკულტო მოედნის პერიმეტრზე განლაგებული კოლექტიური სამარხი ორმოები მიცვალებულებისათვის განკუთვნილ, ხისგან ნაკეთებ მიწურ ან ნახევრად მიწურ ნაგებობის ნაშთებს წარმოადგენენ. მათ მიცვალებულთა სახლის თუ აკლდამის ფუნქცია გააჩნდათ. ამ ორმოსამარხებში, როგორც წესი, მიცვალებულთა დაუწვავი ნეშთის ცალკეული ნაწილებია განმარხებული ინვენტართან ერთად [რ. პაპუაშვილი, 2000: 55-58]. მიცვალებულთა რაოდენობა ზოგიერთ სამარხში ორ ასეულს აჭარბებს.

ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმო, რომელიც 2002 წელს გაითხარა და რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, ერთ-ერთი ამგვარი სამარხი ნაგებობაა. ის აღმოჩნდა სამაროვნის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. I).

სამარხი ორმოს გამომსახველი კონტური 90 სმ. სიღრმეზე გამოიკვეთა და წარმოადგენდა 10-15 სმ. სიფართის მოლურჯო-მონაცრისფრო ზოლს, მკვეთრად გამოყოფილს ნიადაგის საერთო ფონზე. ზოლის შეფერილობა ხის კონსტრუქციის ლპობის შედეგად უნდა იყოს მიღებული. ორმოს კონტურმა აღნიშნულ სიღრმეზე კუთხეებმომრგვალებული არაწესიერი მართკუთხედის ფორმა მიიღო და კარგად იკითხებოდა სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. შედარებით ცუდად აღმოსავლეთიდან, საკულტო მოედნის მხრიდან. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მას ერწყმის სხვა, ჯერ კიდევ გაუთხრელი № 7 სამარხი ორმოს კონტური. სამარხის ზომები ამ დონეზე სიგრძე-სიგანეში თითქმის თანაბარი იყო და 4×4 მ უდრიდა. 1,2 მ-ის სიღრმეზე მისი ზომები შემცირდა და 3×3,5 მ არ აღემატებოდა.

ამავე სიღრმეზე დაფიქსირდა სამარხეული ფენაც, რომელიც ჩატანებული ინვენტარის, მიცვალებულების დამპალ-დაშლილი ძვლებისა და სხვა ორგანული ნივთიერებების ხრწნის შედეგად წარმოქმნილ ტორფისებურ მასას წარმოადგენდა. სამარხეული ფენა ჰორიზონტალურად იყო განფენილი. მისი სიმძლავრე არათანაბარი იყო და 20-30 სმ. შორის მერყეობდა. სამარხის მაქსიმალური სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,4 მ-მდე აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ძვლის ნაშთები თითქმის მიწად იყო ქცეული, მიცვალებულების ყბებზე შემორჩენილი კბილების მიხედვით, რომლებიც სხვა ძვლებზე უკეთესად იყო დაცული, სამარხი ორმო ასამდე ინდივიდის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ.

ორმოს ძირზე, სამარხეულ ფენაში, უსისტემოდ იყო მიმოფანტული მიცვალებულებისათვის ჩატანებული ინვენტარი (ტაბ. II). სხვა ანალოგიურ სამარხებში ორმოს კიდეებზე, ძირიდან 40-50 სმ-ით მაღლა, ხშირად გვხვდებოდა ცალკეული ნივთები, რაც სამარხი ნაგებობის შიგნით, კედლების გასწვრივ მოწყობილი მერხის ან ინვენტარის კედელზე ჩამოკიდებას გვავარაუდებინებდა [პაპუაშვილი 1999:5]. ამ სამარხში მსგავსი ვითარება არ დაფიქსირებულა.

მძივსამკაულის გარდა (რომელთა რაოდენობა 123 ცალია) სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული 55 ნივთი. ლითონისაგან დამზადებული ნივთები ძალზე ცუდადაა დაცული და მათი ნაწილი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი.

დასამზადებელი მასალის მიხედვით სამარხეული ინვენტარი იყოფა: თიხის, ქვის, ბრინჯაოს, რკინის, ტყვიის, სარდიონის, მინისა და პასტის ნაწარმად.

დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: ჭურჭელი, სამეურნეო იარაღი, საბრძოლო იარაღი,

ტუალეტთან დაკავშირებული ნივთები, ლითონის სამკაული და მძივსამკაული.

**თიხის ნაწარმი.** თიხისაგან დამზადებული ხუთი ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტებია მოპოვებული. მხოლოდ ერთი მცირე ზომის კოჭობია სრულიად დაცული (ტაბ. $III_2$). მეორე, ასევე მცირე ზომის ჭურჭელი რამდენიმე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. მას კორპუსზე შემორჩენილი აქვს ყურის ნაშთიც. მისი გრაფიკულად აღდგენა მოხერხდა (ტაბ. $III_1$). გარდა აღნიშნულისა, სამარხში იყო მოზრდილი ჭურჭლის, როგორც ჩანს ტოლჩის, ბრტყელი სახელური (ტაბ. $III_5$) და ორი ზოომორფული ყურის ფრაგმენტი (ტაბ. $III_{3,\ 4}$). ყურის ფრაგმენტებიც ტოლჩების კუთვნილი უნდა იყოს.

**ქვის ნაწარმი.** შავი ფიქლის ქვისაგან დამზადებული სალესების ოთხი ფრაგმენტია აღმოჩენილი. ორი მათგანის თავი გახვრეტილია და ემჩნევათ გამოყენების კვალი (ტაბ. $III_{10,\ 12}$). ერთ-ერთის მხოლოდ ბოლოა შემორჩენილი (ტაბ. $III_{11}$). ერთი კი დაზიანებული, გაურკვეველი ფრაგმენტის სახითაა მოღწეული (ტაბ. $III_{13}$).

**ბრინჯაოს ნაწარმი.** ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები მრავალფეროვანია. გვხვდება: სეგმენტისებრი იარაღი – 1 ცალი (ტაბ. $III_6$), ის სრულადაა დაცული, თუმც ძლიერ დაჟანგულია; მინიატურული ბრინჯაოს კოლხური ცული – 1 ცალი, მახვილყუიანია (ო. ჯაფარიძის I ტიპი), ისიც ძლიერ დაჟანგულია (ტაბ. $IV_{13}$). რიცხვმრავლობით გამოირჩევიან სატევრები – 8 ცალი, შვიდი მათგანი ყუნწიანია. ყუნწზე ან ყუნწიდან მხრებზე გადასვლის ადგილას სამანჭვლე ნახვრეტები აქვთ დატანილი. ერთ-ერთს ყუნწზე ჭდეებიც აქვს გაკეთებული (ტაბ. $IV_6$). ოთხი სატევრისპირი სადაა, ლინზისებრგანივკვეთიანი (ტაბ. ($IV_{2-5}$). ორი – გრავირებული ზოლებითაა შემკული (ტაბ. $IV_{6,\ 7}$). ერთს სიგრძეზე მახვილი ქედი გასდევს (ტაბ. $IV_8$). ერთ სატევარს ბრინჯაოსვე ბრტყელი სატარის ნაშთი აქვს შემორჩენილი (ტაბ. $IV_1$).

ბრინჯაოს სამკაული აერთიანებს ხატისუღლებს, სამაჯურებს და სასაფეთქლე რგოლებს, აბზინდებსა და საკიდს. ხატისუღლები – 2 ცალია. ორივე მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული, სადაა, თავებდახვეული. მხოლოდ ერთი ცალია სრულიად დაცული (ტაბ. $V_{19}$). სამაჯურები – 17 ცალია აღმოჩენილი. შედარებით სრულადაა დაცული 9 ცალი (ტაბ. $V_{2-7}$). ყველა მათგანი სადაა, მრგვალგანივკვეთიანი და ბოლოებგახსნილი. ოთხი სამაჯური (ტაბ. $V_7$) ერთმანეთზე იდო. 1 ცალი ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი სადა, რომბისებრგანივკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული. მისი ბოლოები ერთმანეთზეა გადასული.

ბრინჯაოს სამკაულში ცალკე ჯგუფს ქმნიან აბზინდები – 2 ცალი. ორივე სხვადასხვა ტიპისაა. ორივე ძლიერ დაჟანგულია, ნაკლული, მაგრამ ორივეს აღდგენა ხერხდება. ერთ-ერთი აბზინდა „პეპლისებრი" ფორმისაა. აქვს სადა, ბრტყელი ზედაპირი. ფუძეზე ამოკვეთილ ღარში შვიდი სათასმე ნახვრეტი აქვს დატანილი (ტაბ. $III_7$). მეორე აბზინდაც „პეპლისებრი" ფორმისაა. უფრო დიდია, ვიდრე პირველი. აქვს მკვეთრად ჩაზნექილი და დაწახნაგებული ზედაპირი. ფუძეზე ამოკვეთილ ღარში ცხრა სათასმე ნახვრეტია დატანილი (ტაბ. $III_8$).

მაღალმხატვრული ოსტატობითაა დამზადებული ბრინჯაოს საკიდი (ამულეტი). საკიდს აქვს მინიატურული, სატევრის ფორმის პირი, რომელსაც ორივე მხარეს გრავირების წესით შესრულებული, ექვს იარუსად განლაგებული ოთხ-ოთხი ტოლფერდა სამკუთხედებით მიღებული დეკორი ამშვენებს. ყოველი ოთხი სამკუთხედიდან სამი – წერტილოვანი ჭდეებითაა შევსებული. საკიდის თავი ძაღლისებრი ცხოველის დაღრენილ გამოსახულებას წარმოადგენს. ყელის არეში სათასმე ნახვრეტი აქვს დატანილი ($V_1$). ამგვარი საკიდები ჯერჯერობით მხოლოდ კოლხეთის ზღვისპირა ზოლისთვისა ჩანს დამახასიათებელი.

**რკინის ნაწარმი.** რკინის ნაწარმი ერთი სატევრისა და სამი დანის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. როგორც სატევარი, ასევე დანები ძლიერ დაჟანგული, დეფორმირებული და დამტვრეულია (ტაბ. $IV_{9-12}$). მათი კონსტრუქციული თავისებურებების დანახვა საგანგებო გაწმენდისა და რესტავრაციის გარეშე შეუძლებელია.

რკინისგანაა დამზადებული სამარხში აღმოჩენილი ერთადერთი ჩქიფიც. ისიც დეფორმირებულია და აკლია ბოლოები (ტაბ. $III_9$).

**ტყვიის ნაწარმი.** ტყვიისაგან დამზადებული სამი სასაფეთქლე რგოლია მოპოვებული. ორი მათგანი რომბისებრგანივკვეთიანია (ტაბ. $V_{8-9}$), ერთი კი მრგვალგანივკვეთიანი. ის დეფორმირებულიცაა (ტაბ. $V_{10}$).

**მძივსამკაული.** მძივსამკაულის უმრავლესობა – 74 ცალი, საშუალო და მცირე ზომის სარდიონის ქვისგანაა დამზადებული. ყველა მათგანი სფერული ფორმისაა და მდარე ხარისხის მინერალისგანაა დამზადებული (ტაბ. $V_{16}$). მოპოვებულია აგრეთვე: მომწვანო ფერის მინის მძივი – 10 ცალი (ტაბ. $V_{12}$), ფირუზისფერი მინის – 7 ცალი, შავი ფერის მინის – 9 და მელნისფერი მინის – 1 ცალი მძივი (ტაბ. $V_{13}$).

პასტისგანაა დამზადებული – 1 ცალი ბიკონუსური ფორმის ღარებით შემკული მძივი (ტაბ. $V_{15}$), ყვითელი ფერის კასრისებრი ფორმის – 12 ცალი და მოცისფრო – 8 ცალი მძივი (ტაბ. $V_{14}$). აგრეთვე მომწვანო ფერის წვრილი იოტა მძივები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მწვანე მინისებრი პასტისაგან დამზადებული, დაბრტყელებული, ნახევარსფეროს ფორმის საკიდი. საკიდს გრძივი-გამჭოლი ნახვრეტი აქვს. გვერდებზე ირიბი ჭდეების ორი რიგი შემოსდევს. ჭდეები მოყვითალო მასითაა შევსებული და გრეხილის

იმიტაციას ქმნის. ზედაპირი ყვითელი ფერის მასაში ჩამჯდარი შავი ფერის ნივთიერებითაა ინკუსტრირებული (ტაბ. V$_{II}$).

წარმოდგენილი სამარხი ორმო კონსტრუქციული თავისებურებებით, ზომებით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარის შედგენილობითაც ახლო ანალოგიებს პოულობს ისეთ ძეგლებთან, როგორებიცაა: ერგეტის I სამაროვნის № 2 კოლექტიური სამარხი ორმო, ერგეტის III სამაროვნის № 2 კოლექტიური სამარხი ორმო, ერგეტის IV სამაროვნის № 2 და დღვაბის სამაროვნის № 1 სამარხი ორმო [მიქელაძე, 1995: 1-22].

ჩამოთვლილი სამარხეული კომპლექსები გაერთიანებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ ორმოთა II ქრონოლოგიურ ჯგუფში და შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ყველა სამარხში მოპოვებული ცულები ბრინჯაოსგანაა დამზადებული, ბრინჯაოსაგანაა დამზადებული სეგმენტისებრი იარაღი, თოხები, სატევრებისა და დანების აბსოლუტური უმრავლესობა. კერამიკა ძირითადად მცირე ზომის ქოთნებითა და კოჭბებითაა წარმოდგენილი. სამკაულის ძირითადი ნაწილი საშუალო და წვრილი სფეროს ფორმის ცუდად ნაპრიალები მძივებისგან შედგება. ძალზე იშვიათია გიშერი. ამ ჯგუფის სამარხებში აშკარად ჩანს, რომ რკინა ჯერ კიდევ იშვიათი ლითონია და საზოგადოება, რომელთა მიერაც აღნიშნული ჯგუფის სამარხებია გამართული, რკინის ათვისების საწყის საფეხურზე ცხოვრობს [პაპუაშვილი, 1998:45].

ლითონის ინვენტარის შედგენილობით სამარხთა ეს ჯგუფი და, შესაბამისად, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ერგეტის II სამაროვნის № 6 სამარხი ორმოც, აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს 2000 წელს სოფ. ყულევში მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე გათხრილ ვრცელ ნამოსახლარზე, II კულტურულ ფენაში მოპოვებულ მასალასთან. მსგავსია: ბრინჯაოს ცულები, სატევრები, სეგმენტისებრი იარაღი, სამაჯურები, სატევრის პირის ფორმის საკიდები მტაცებელი ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით და სხვ.

როგორც ვიცით, ერგეტის ამ სამარხში კერამიკა მცირე რაოდენობითაა. ერთი მთლიანად დაცული კოჭბის გარდა, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია აღმოჩენილი. ზოომორფულყურიანი ტოლჩის ორი ფრაგმენტი და ტოლჩის ერთი ბრტყელი სახელური, ისევე როგორც ლითონის ჩამოთვლილი ნივთები, აშკარად იდენტურია ყულევის II ფენის მრავალრიცხოვანი თიხის ნაწარმის შესაბამისი ტიპის ჭურჭელთან.

შესაძლებლად მიგვაჩნია ყულევის ნამოსახლარის II ფენა და ერგეტის II სამაროვნის № 6 კოლექტიური სამარხი ორმო ზემოხსენებულ იდენტურ სამარხეულ კომპლექსებთან ერთად გაერთიანდეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხ ორმოთა II ქრონოლოგიურ ჯგუფში და ფარდობითი ქრონოლოგიის თვალსაზრისით რკინის ათვისების საწყის საფეხურს დავუკავშიროთ.

უფრო რთულია აღნიშნული სამარხეული ომპლექსისა და საერთოდ ამ ჯგუფის ძეგლების თარიღის განსაზღვრა აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის I-IV და დღვაბის სამაროვნებზე, ნივთიერი მასალის განსაზღვრული კატეგორიებით გამოყოფილია ისეთი სამარხი ორმოები, რომლებიც ერთიანდებიან გარკვეულ ქრონოლოგიურ ჯგუფებად. ხუთი ასეთი ჯგუფი იქნა გამოყოფილი [პაპუაშვილი, 1998:44].

ყველაზე გვიანდელად V ჯგუფი იქნა მიჩნეული, სადაც ორი, ნიგვზიანის სამაროვნის № 12 და ერგეტის III სამაროვნის № 1 კოლექტიური სამარხი ორმოებია გაერთიანებული. ამ ჯგუფის სამარხებში მრავალრიცხოვანი სამეურნეო და საბრძოლო იარაღის აბსოლუტური უმრავლესობა რკინისგანაა დამზადებული. ბრინჯაოს ინდუსტრიის გავლენა რკინის ნივთების ფორმალურ-ტიპოლოგიურ მახასიათებლებში არ შეინიშნება. ორივე სამარხშია აღმოჩენილი სკვითური ტიპის აკინაკები. ნიგვზიანის აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილია სკვითური ტიპის სამფრთიანი ისრისპირები, მასრაზე დეზით. როგორც აკინაკების, ასევე ამ ტიპის ისრისპირების თარიღად, მრავალრიცხოვანი ანალოგიების საფუძველზე, ძვ.წ. VII საუკუნის დასასრული და VI საუკუნის დასაწყისია განსაზღვრული [ფირცხალავა, 1978:31-42]. ამ ძეგლების ამგვარ დათარიღებას არც აქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმის ფორმობრივი მახასიათებლები უშლის ხელს. ორივე სამარხში მოპოვებულია კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ყურმილიანი ხელადები, რომელთა უადრესი ნიმუშები ძვ.წ. VIII საუკუნეში იჩენენ თავს [რამიშვილი, 1975:136-153] და ფართოდ ვრცელდებიან ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში. იგივე შეიძლება ითქვას შევიწროებულძირიან ძაბრისებრ სასმისებზეც.

უფრო ადრეულია IV ქრონოლოგიური ჯგუფი, სადაც ერგეტის I სამაროვნის № 6, ერგეტის III სამაროვნის № 4, ერგეტის IV სამაროვნის № 1 და დღვაბის სამაროვნის № 2 სამარხი ორმოებია გაერთიანებული. ამ ჯგუფის სამარხებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღის, განსაკუთრებით კი რკინის სატევრების არსებობა; თანაარსებობა ბრინჯაოსა და რკინის ცულებისა, ბრინჯაოსა და რკინის თოხებისა, ბრინჯაოსა და რკინის სეგმენტისებრი იარაღისა. ამავე დროს, რკინის ცულები, თოხები და სეგმენტისებრი იარაღი ფორმალური თვალსაზრისით დაკავშირებული არიან ბრინჯაოს პროტოტიპებთან, რასაც ვერ ვიტყვით რკინის სატევართა უმრავლესობაზე. ამ ჯგუფის სამარხებში გვხვდება რკინის სახნისებიც. მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მძივსამკაულში სჭარბობს დიდი ზომის კარგად ნაპრიალები სარდიონისა

და ანალოგიური ზომისა და ფორმის გიშრის მძივები. ზოგადად სამარხეულ კომპლექსთა ეს ჯგუფი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით IV ჯგუფის სამარხებში ყურადღებას იქცევს ისეთი ნივთების აღმოჩენის ფაქტი, როგორებიცაა რკინისაგან დამზადებული დიდი ზომის კარგად ნაპრიალები სარდიონისა და ანალოგიური ზომისა და ფორმის გიშრის მძივები. ზოგადად სამარხეულ კომპლექსთა ეს ჯგუფი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით ამ ჯგუფის სამარხებში ყურადღებას იქცევს ისეთი ნივთების აღმოჩენის ფაქტი, როგორებიცაა რკინისაგან დამზადებული დიდი ზომის მოხრილი, ე.წ. ურარტული დანები, ბრინჯაოს ორფრთიანი სკვითური ტიპის ისრისპირები და აკინაკისებრი სატევრები.

დიდი ზომის მოხრილი, ე.წ. ურარტული დანების გავრცელების თარიღად ძვ.წ. VII საუკუნე, უფრო ზუსტად კი მისი შუა ხანები და მეორე ნახევარია მიჩნეული [აბრამიშვილი, 1961:368-374]. უპირატესად ამავე ხანითაა განსაზღვრული კოლხეთში, კერძოდ კი, მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი ურარტული ფიბულა [სულავა, 2001:56]. მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილი ინვენტარი [გოგაძე, 1984:28-38, ნახ. 1] ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით შეესაბამება ამ ჯგუფის აღნიშნულ სამარხებში მოპოვებულ ნივთიერ მასალას. ორფრთიანი სკვითური ისრისპირების უმრავლესობა დაკავშირებულია ჟაბოტინოს ჯგუფის ძეგლებთან, კელერმესის ადრეულ ყორღანებთან და მათ თანადროულ ძეგლებთან. მათი გავრცელების თარიღად ძირითადად VIII საუკუნის მეორე ნახევარი და VII საუკუნეა მიჩნეული [კოსაკი, 1987; გალანინა, 1997; მედვედსკაია, 1992]. ამ ჯგუფის სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე აკინაკისებრი სატევრები, რომლებიც მხოლოდ ვადის მიხედვით უკავშირდებიან ე.წ. თირკმელისებრვადიან აკინაკებს თუმც, ბრტყელი სატარე ნაწილით ისინი არ გვანან სკვითურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ აკინაკად წოდებულ იარაღს. გარკვეული თვალსაზრისით ის ამგვარი იარაღის ერთგვარ პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ ჯგუფის სამარხებში მოპოვებული კერამიკა და მოგვიანო V ჯგუფის სამარხებში მოპოვებული თიხის ნაწარმი თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, ამ ორი ჯგუფის სამარხებში მოპოვებული ერთი და იმავე კატეგორიის ნივთიერი მასალის რაოდენობრივი და ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზი მათ მიჯნავს ერთმანეთისაგან. ეს მომენტი კი ქრონოლოგიური სხვაობით აიხსნება. დიდად არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ IV ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხების გამართვა ძვ.წ. VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

IV ქრონოლოგიურ ჯგუფზე ადრინდელია III ქრონოლოგიური ჯგუფი, რომლებშიც ურეკის სამაროვნის № 3, ერგეტის I სამაროვნის № 5 და ერგეტის II სამაროვნის № 4 კოლექტიური სამარხი ორმოებია გაერთიანებული. IV ჯგუფის მსგავსად ამ სამარხებშიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარია აღმოჩენილი. IV ქრონოლოგიური ჯგუფისგან განსხვავებით კი ამ სამარხებში ვერ ვხედავთ რკინის ცულებს (გამონაკლისი ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხში მოპოვებული ცულია), რკინის თოხებს, რკინის სეგმენტებს, რკინის სახნისებს, რკინის აკინაკებს, ურარტული ტიპის დიდი ზომის რკინის მოხრილ დანებს. რკინის სატევრები ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაკავშირებულნი არიან ბრინჯაოს ანალოგიურ იარაღთან. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ იგრძნობა არა რკინის დეფიციტი (როგორც ჩანს რკინა უკვე უხვად აქვთ), არამედ რკინის დამუშავების ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ დიდი რაოდენობით რკინის სატევრების, ასევე დიდი რაოდენობით მოპოვებული მარტივი ფორმის რკინის სამკაულის გვერდით ვერ ვხვდებით ისეთ რთულ ნივთებს, როგორებიცაა: სატარე ხვრელიანი რკინის ცული, თოხი ან სახნისი, ე.ი. ისეთ ნივთებს, რომელთა დამზადებასაც ის სპეციალური სამარჯვი ხელსაწყოები და რკინის ჭედვისა და წრთობის სათანადო ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროებათ, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. VII საუკუნის ძეგლებზე.

რაც შეეხება II ქრონოლოგიურ ჯგუფს ანუ ჯგუფს, რომელშიაც ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ერგეტის II სამაროვნის № 6 კოლექტიური სამარხი ორმოა გაერთიანებული, აშკარად არქაულად გამოიყურება, ვიდრე ზემოთ განხილული აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსაზღვრული III-V ჯგუფების კოლექტიური სამარხი ორმოები.

II ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში რკინა ჯერ კიდევ იშვიათი ლითონია. პროცენტული შეფარდება ბრინჯაოსთან ერთი ათთან და ზოგჯერ უფრო ნაკლებიცაა.

თიხის ნაწარმში ვერ ვხვდებით III-V ქრონოლოგიური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ყურმილიან ხელადებსა (ერთი დღვაბის სამაროვნის № 1 სამარხი ორმოს გარდა) და ძაბრისებრი ფორმის ვიწრო ძირიან სასმისებს. შემკულობაში არ გვხვდება ნაკაწრი ხაზებით შესრულებული გეომეტრიზიული ორნამენტი. შედარებით მცირე რაოდენობითაა აბზინდები, ფიბულები, გრავირებული ბრტყელი სამაჯურები, დიდი ზომის კარგად ნაპრიალები სარდიონის მძივები. არ გვხვდება გიშერი. მართალია აღნიშნული ერთმანეთისაგან განასხვავებს II და III ქრონოლოგიურ ჯგუფებს, მაგრამ არის ზოგი გარემოება, რაც აახლოებს მათ ერთმანეთთან. ორივე ჯგუფში მოპოვებული რკინისა და ბრინჯაოს სატევრები ერთი და იმავე ფორმალურ-

ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. განსხვავება რაოდენობრივ თანაფარდობაშია. ერთნაირია ცულები, ბრინჯაოს ხატისუღლები, სეგმენტისებრი იარაღი. არსებითად ერთგვაროვანია სატევრისპირისებრი ფორმის საკიდები მტაცებელი ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით, ფაიანსისა და პასტის რთული გეომეტრიული ფორმებისა და ინკრუსტირებული მძივების გარკვეული ნაწილი და სხვ.

აღნიშნული მეტყველებს, რომ ამ ორი ჯგუფის სამარხებს შორის ქრონოლოგიური წყვეტილი არ უნდა ვივარაუდოთ და შედარებით ახალი შედარებით ძველის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

თუ ჩვენს მიერ განსაზღვრული თარიღი ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარი და ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევარი III ქრონოლოგიური ჯგუფისათვის მისაღებია, მაშინ, II ქრონოლოგიური ჯგუფისა და შესაბამისად ერგეტის II სამაროვნის № 6 კოლექტიური სამარხი ორმოს თარიღიც მისი წინარე ხანით – ძვ.წ. VIII საუკუნის პირველი ნახევრით ან უფრო ზოგადად – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით უნდა განისაზღვროს.

## ლიტერატურა


**აბრამიშვილი რ., 1961**

აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.), სსმმ XXII-B, თბ., 1961.

**2. გალანინა ლ., 1987**

**Галанина Л.,** Келермесские курганы, М., 1987.

**3. გოგაძე ე., 1984**

**Гогадзе Е. М.,** К вопросу о хронологической периодизации памятников колхидской культуры, სსმმ XXII-B, 1984.

**4. კოსაკი გ., 1987**

**Kossak G.,** Von dem anfagen das skitho-iranischen Tierstils, Skytihika, München, 1987.

**5. მედვედსკაია ი., 1992**

**Медведская И. Н.,** Периодизация скифской архайки и Древней Восток, Российская археология №3, 1992, М., 1992.

**6. მიქელაძე თ., 1985**

მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.

**7. მიქელაძე თ., 1990**

**Микеладзе Т.К.,** К археологии Колхиды, Тб., 1990.

**8. მიქელაძე თ., 1995**

**Mikeladse T.,** Grosse kollektive Grabgruben der eisenzeit in Kolchis, Archäologischer Anzeiger, 1995, Heft-1, Berlin, 1995.

**9. პაპუაშვილი რ., 1998**

პაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, ძიებანი № 1, 1998.

**10. პაპუაშვილი რ., 1999**

პაპუაშვილი რ., ერგეტის II სამაროვანი (სამარხი ორმო № 4), ძეგლის მეგობარი № 3 (106), 1999.

**11. პაპუაშვილი რ., 2000**

პაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის, ძიებანი № 5, 2000.

**12. სულავა ნ., 2001**

სულავა ნ., ურარტული ფიბულები საქართველოში, ჟურ. აკადემია № 1, 2001.

**13. ფირცხალავა მ., 1978**

ფირცხალავა მ., სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I, თბ., 1978.


## ტაბულების აღწერა

I. ერგეტა. სამაროვანი № 2. გეგმა.

II. ერგეტა. სამაროვანი № 2. სამარხი ორმო № 6. გეგმა, ჭრილი.

III. ერგეტა. სამაროვანი № 2. სამარხი ორმო № 6. 1-5. თიხის ჭურჭელი; 6. ბრინჯაოს სეგმენტი; 7-8. ბრინჯაოს აბზინდები; 9. რკინის ფიბულა; 10-13. ქვის სალესები.

IV. ერგეტა. სამაროვანი № 2. სამარხი ორმო № 6. 1-8. ბრინჯაოს სატევრები; 9. რკინის სატევარი; 10-12. რკინის დანები; 13. ბრინჯაოს ცული.

V. ერგეტა. სამაროვანი № 2. სამარხი ორმო № 6. 1. ბრინჯაოს საკიდი; 2-7. ბრინჯაოს სამაჯურები; 8-9. ტყვიის რგოლები; 11-16. სარდიონის, მინისა და პასტის მძივსამკაული; 17. ბრინჯაოს ხატისუღელი.

# ტაბ. I



# ქრგქტა № 2

## სამარხი ორმო №6. გეგმა




ჭრილი



## ტაბ. III



ტაბ. IV



ტაბ. V



# Summaries

**Ts. Chikoidze, G. Mindiashvili, M. Chkhatarashvili, N. Patchikashvili**

## ARCHAEOLOGICAL INVESTIGATION IN KUKHETI REGION

During the years the Kukheti archaeological expedition carried out excavations in Kukheti region(Eastern Georgia). Along the pipeline was excavated different archaeological sites dated back to 18th cent.B.C. – Medieval period ( Jandara, Vaziani, Didi Lilo, Gldani).

**N. Mirianashvili.**

## NASTAKISI ARCHAEOLOGICAL EXPEDITION IN 2001

Archaeological excavations was carried out in Kaspi district, on the site Grakliani Gora. Was excavated settlement of 2nd cent. B.C. – 1st cent. A.D.

**G. Mindiashvili, B. Murvanidze, A. Ramishvili, G. Chikovani**

## ARCHAEOLOGICAL INVESTIGATIONS ON THE KP 143

Near Gori (central part of Georgia), on the territory of vill. Tedotsminda, was excavated burial mound (Early Bronze Age) and settlement(Late Bronze-Early Iron Age).

**V. Sadradze, R. Davlianidze, B. Murvanidze, K. Kakhiani, E. Gligvishvili, M. Karashvili**

## GURIA ARCHAEOLOGICAL EXPEDITION IN 2000 – 2002

Guria archaeological expedition carried out investigations around Supsa Terminal and near vill. Gvimbralauri, Nigoiti, Patari, Gadziruli.( settlements of Late Bronze age- 1st mill. B.C.).

**R. Papuashvili**

## PITGRAVE N 6 OF ERGETA 2nd NECROPOLIS

On the territory of vill. Ergeta was excavated grave of 1st quarter of 1st mill.B.C.

აიწყო და დაკაბადონდა
არქეოლოგიური კვლევის ცენტრში

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
თბილისი 380002
დიმიტრი უზნაძის ქ. № 14